სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 24 თებერვალი 2001 №32 (1305) | ფასი 50 თეთრი

# ხიზანიშვილის სტატუსი: შუბი ხალთაში? ტყუილგანგაში! ფიფას ეცნობა პასუხი...

თბილისის „ლოკომოტივმა" ახალი ვერაფერი თქვა, შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც ნათქვამის გამეორება მოუხდა.

სამაგიეროდ, სიახლე ისაა, რომ ზურაბ ხიზანიშვილთან და მის ინგლისელ აგენტ ათოლ სტილთან მოდავე ქართულმა მხარემ საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად დამატებითი არგუმენტი ვერ წარადგინა.

ხიზანიშვილ — „ლოკომოტივის" საქმე ბოლოში გავიდა. ამის შემდეგ 19 წლის ნიჭიერი ფეხბურთელის სამომავლო ადგილსამყოფელის გარკვევა არ უნდა დახანდეს.



შეგახსენებთ, რომ გუშინ, 23 თებერვალს ფიფა მისადმი დაქვემდებარებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაცისგან 5 თებერვლის წერილის პასუხს ელოდა. რა უპასუხეს მოთამაშეთა ტრანსფერისა და სტატუსის ფიფასეულ იურიდიულ სამსახურს? ამ კითხვაზე უეფას სამოყვარულო ფეხბურთის კომიტეტის თანა და სფფ-ს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით პეტრიაშვილმა ეს მოგვიგო:

— თბილისში ათენიდან ოთხშაბათს ღამით დავბრუნდი და ხუთშაბათს სამსახურში მისულს თბილისის „ლოკომოტივის" წერილი დამხვდა. ჩვენმა კლუბმა ფიფას მოთხოვნის მიუხედავად ვერანაირი დამატებითი არგუმენტი ვერ წარმოადგინა. წერილში იგივე გაიმეორა, რასაც ადრე ჩიოდა, აგენტმა ფეხბურთელი ჩვენს უკითხავად შესთავაზა ევროპულ კლუბებს, კერძოდ, ბერლინის „ჰერტასო". ამის შესახებ ფიფას ვაცნობეთ.

— როდის?

— დღეს, 23 თებერვალს.

— ფაქსით თუ ფოსტით?

— ტელეფონით.

— ასეთი რამ დასაშვებია?

— ეს მიღებულია. მოთამაშეთა ტრანსფერის და სტატუსის იურიდიულ სამსახურს სიტყვიერად შევატყობინეთ პასუხი.

რა უფლება გვაქვს, საერთაშორისო ურთიერთობებში ჭიპმოჭრილ დავით პეტრიაშვილს სიტყვაზე არ ვენდოთ. მითუმეტეს, რომ ფიფა 5 თებერვლის ფაქსით საჭირო ინფორმაციას ითხოვს, ხოლო რა გზით, ამაზე კრინტს არ ძრავს. ჩანს, ეს გახდა საფუძველი, ფედერაციასაც „ლოკომოტივის" მსგავსად ტყუილად წერით არ შეეწუხებინა თავი.

მაგრამ ის, ვინც ამ გაჭიანურებული საქმის დეტალებში თვით ფედერაციაზე უკეთაა გარკვეული, რა გასაკვირია, ფიქრობდეს, ემანდ, შუბი ხალთაში სწორედ აქ არ იმალებოდესო.

იხილეთ მეორე გვერდი



სარბიელის არქივიდან

კახა კალაძე

# TUTTOSPORT

# კალაძე კაპერონის იარაღი ზიდანის წინააღმდეგ



სარბიელის არქივიდან

ზინედინ ზიდანი

*ასე წერს ტურინული გაზეთი „ტუტოსპორტი". იტალიის ჩემპიონატის მეოცე ტურში მთავარ შეხვედრას ტურინის „სტადიო დელე ალპი" მასპინძლობს: „იუვენტუსი"— „მილანი". ტურინელთა ამოცანა ნათელია — მხოლოდ გამარჯვება. კარლო ანჩელოტის გუნდი ლიდერს, „რომას" კვალში უდგას და მის ფეხის გადაბრუნებასაა ჩასაფრებული, ასეთ დროს კი, ბუნებრივია, თავად ქულის დაკარგვას ვერ დაუშვებს. აშკარაა მილანელთა მიზანიც: გუნდი, რომელიც ოთხეულში შესასვლელად იბრძვის, წინა ტურში კი მეშვიდე ადგილამდე დაქვეითდა, ვერაფერს დათმობს, თუნდაც უძლიერესის წინააღმდეგ. თანაც, მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის წყალი შეუდგა, მდგომარეობის გამოსწორებაში კი, სხვას რომ თავი დავანებოთ, წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები უშლის ხელს. და ასეთ დროს, „ტუტოსპორტის" თანახმად, მან იარაღი შეარჩია: კახა კალაძე.*

იტალიის, ესპანეთის, ინგლისის და გერმანიის ჩემპიონატების საუკმეო ტურების ანონსი იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდებზე

# 1+5

## მეცადინეობა ბასკოლოგიაში

*დღეიდან საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი განახლდება და უეჭველია, სხვა ელფერსაც შეიძენს. ოქროსკენ სავალ გზას ექვსი გუნდიღა შემორჩა და ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა სანუკვარი ჯილდო ირგუნონ. საბოლოოდ ხელთ ვის რა შერჩება, ამას მომავალი გვიჩვენებს. დღესდღეობით კი „ბასკო" ბატონობს და ზედიზედ მეორე ტიტულისკენ ჯიქურ მიიწევს. მეათე ეროვნულში წაუგებელი და ჩრდილოურ ლიგაში თამაშით პრაქტიკაშემატებული ჩემპიონი ამ უქმეებზე თბილისში „შევარდენსა" და თსუ-ს სტუმრობს და შინ, ალბათ, ოთხ ქულასაც გაიყოლებს. ამ შაბათ-კვირის უმთავრესი მატჩი კი უდავოდ „აზოტი"— სტუ-ა. წინა ჩემპიონატის მეორე და მესამე ადგილოსნები წლეულსაც „ბასკოს" კვალში ჩამდგარან.*

იხილეთ მეათე გვერდი



ხვალ ირაკლი ხოშტარიას (ბურთით) სტუ და ზვიად ბაბიაშვილის „აზოტი" სეზონში მესამედ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს

# ხიზანიშვილის სტატუსი: შუბი ხალთაში? ტყუილგანგაში!

დასაწყისი პირველ გვერდზე

— უმჯობესი იქნებოდა, ფედერაციას წერილობით ეპასუხა. საეჭვოა, ასეთ საქმეში სიტყვა დოკუმენტად გამოდგეს — გვითხრა გუშინ ფეხბურთელის მამამ, თასების თასის მფლობელმა ყოფილმა დინამოელმა **ნოდარ ხიზანიშვილმა**.

ბატონ ნოდარს გუშინ ერთი დაუზუსტებელი ინფორმაციით შეშფოთებულები დავუკავშირდით. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები სამშაბათს, 27 თებერვალს კიოლნის „მიუნგერსდორფერშტადიონზე" ადგილობრივ ბუნდესკლუბს ეთამაშება.

საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა ხიზანიშვილი „კიოლნთან" სათამაშოდ გამოიძახეს, მაგრამ, როგორც გუშინ სფფ-ს პრესატაშემ, მამუკა კვარაცხელიამ გვაცნობა, ლონდონში მყოფ ფეხბურთელს პრობლემები შექმნია მესამე ქვეყნის ვიზასთან დაკავშირებით:

— საგანგაშო არაფერია. ზურას ვიზა უკვე აქვს და კიოლნშიც მიდის — ბატონმა ნოდარმა ჩვენ, ჩვენ კი პრესატაშე დავამშვიდეთ.

ერთი სიტყვით, ერთის გარდა ყველაფერი ცხადია:

„ლოკომოტივმა" ფარ-ხმალი დაყარა!

ფედერაციამ ამის თაობაზე ფიფას აცნობა!

ფიფა დაპირებულია, თუ „ლოკომოტივი" საკუთარ პრეტენზიათა დამადასტურებელ გარკვეულ დოკუმენტებს არ წარმოადგენს, საქმეში აღარ ჩავერევითო.

არარსებულ დოკუმენტებს ვერავინ წარადგენს, ხიზანიშვილთან უვადო ხელშეკრულება ფიფასგანვე ბათილადაა ცნობილი.

გამოდის, გასარკვევი ხიზანიშვილის ახალი კლუბიღა დარჩა. რაკი საქმე ბოლოში გავიდა, ალბათ, არც ახალი მისამართის გარკვევა დაახანებს. მსურველი ბევრია და არჩევანი დიდი, მაგრამ, ალბათ, გასაგებია, აქამდე რასაც ელოდნენ.

ფიფას ეცნობა პასუხი...

**ვახტანგ ბზიკაძე**

# მარტივი გამოსავალი: მერე რა...
## ბურთი ხნულშიც გაგორდება

**ნათქვამია**, გული გულობდეს და ქადა ორი ხელითაც იჭმევაო. ჰოდა, რა მოხდა მერე, თუ თბილისის ორი გუნდი „ლოკომოტივი" და „დინამო" მეორე წრის დარჩენილ მატჩებს, შესაბამისად, ვაკეში, ჯერაც მოუწესრიგებელ „მიხეილ მესხზე" და დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ითამაშებენ.

საშინელ დღეშია „ეროვნულის" სათამაშო გაზონი. ერთ თვეში კი რუმინეთთან პრინციპული მატჩია. თუ ღმერთმა ინება, მანამდე ეგებ გამოსწორდეს კიდეც უსაშველოდ შელანძული მინდორი, მაგრამ...

28 მარტამდე „ეროვნული" უნდა დავასვენოთო, თქვეს. გამოსავალი ნაპოვნია, თუმც ისიც საკითხავია, რა ვუყოთ მორაგბეებს, რომლებიც 18 მარტს პრინციპულ მატჩში ესპანელებს უნდა დაუხვდნენ?! პრობლემა დიდია, გამოსავალი კი არ ჩანს.

არა, „ეროვნულს" აუცილებლად უნდა ვუშველოთ, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციას, „ლოკომოტივსა" და „დინამოს" გადაწყვეტილებას ნამდვილად ვერ მოვუწონებთ.

კარგით, თავი ვანებოთ მეტოქისადმი უპატივცემულობას. ჩვენებური კლუბები ერთმანეთის სიყვარულით ნამდვილად არ გიჟდებიან, მაგრამ ან ქომაგებს რაღას ერჩიან, ანაც ჩვენ, ჟურნალისტებს. არაფერს ვამბობთ მოზარდებზე, რომელთა ინტერესები ჩვენში თითქმის უგულებელყოფილია.

„მიხეილ მესხზე" გაზონი ნასვენებია, მოვლილი... ფეხბურთელებს პრეტენზია არ ექნებათ, მაგრამ გასახდელები, ცხელი წყალი... ან ქომაგი სად დაჯდეს, ჟურნალისტმა როგორ იმუშაოს?!

რკინიგზელთა და გორელთა დაპირისპირებას, ალბათ, ცოტა მაყურებელი დაესწრება, მაგრამ „ლოკომოტივ" — „ბათუმისა" და „ლოკომოტივ" — „ვიტ ჯორჯიას" პრინციპულ პაექრობებს მაყურებელი ბევრი ეყოლება. ამაზე თუ იფიქრა ვინმემ?

ორი საშინაო თამაში დარჩენია „დინამოს". „დილასა" და „იბერია-შევარდენს" მასპინძლობენ ათგზის ჩემპიონები. დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მინდორს არა უშავს, მაგრამ...

„შევარდენი", „ისანი", „სინათლე"... ისე არც მცხეთის „არმაზია" მაინცდამაინც შორს. არა გვგონია, საჭიროების შემთხვევაში „ლოკომოტივისთვის" და „დინამოსთვის" ვინმეს იმ სტადიონებზე ბურთაობა დაეშალა.

...მაგრამ რა საჭიროა ზედმეტი შეწუხება, ხომ ვნახეთ, პრობლემები რა უბრალოდ გადაიჭრა. მრავალ ჭირნახული ქართული ფეხბურთი როგორმე ამასაც გადაიტანს.

საინტერესო ერთიცაა, ფეხბურთის ფედერაცია სუსტ და უპატრონო კლუბებს თუ დაუთმობდა იმდენს, რამდენსაც ბობოლებს უთმობს?!

**ვაჟუკა ძვანტალიანი**

### გერმანია

XXIII ტური

**ლევერკუზენი 1:3 კოტბუსი**

0:1 მიროუჩა (33), 0:2 ლაბაკი (42), 0:3 მიროუჩა (62), 1:3 ზე რობერტო (74)

II ბუნდესლიგა. XXIII ტური

**ქემნიცი — ობერჰაუზენი** გადაიდო

**ზაარბრიუკენი 1:1 ულმი**

**დუისბურგი 3:2 ნიურნბერგი**

### საფრანგეთი

გადადებული მატჩი

**ტრუა 3:1 რენი**

1:0 საიფო (8), 2:0 ჯუკიჩი (58), 2:1 დელაიე (88), 3:1 ჯუკიჩი (90)

### იტალია

სერია B. XXIV ტური

**ვენეცია 2:1 ანკონა**

### შვეიცარია

A ჯგუფი. I ტური

**გრასჰოპერი 2:1 სენტ გალენი**

0:1 კონტინი (37), 1:1 დიობი (48), 2:1 კამარა (69)

### ჰოლანდია

**ნაიმეგენი 0:3 სპარტა**

0:1 ლანგერაკი (8), 0:2 ბუხარი (24), 0:3 ელხატაბი (73)

**ტილბურგი 1:6 ჰერენვენი**

1:0 ლანჟზაატი (33), 1:1 ალბაკი (4), 1:2 ლურლინგი (28), 1:3 ალბაკი (31), 1:4 ტალანი (65), 1:5 ალბაკი (68), 1:6 ტალანი (89)

### პორტუგალია

XXII ტური

**ბელენენსეში 0:3 ამადორა**

0:1 გაუჩო (15), 0:2 რენატო (30), 0:3 გაუჩო (80)

### ინგლისი

I დივიზიონი. XXXIV ტური

**ბოლტონი 1:4 ბლეკბერნი**

### ჩეხეთი

XVIII ტური

**ბრნო — ტეპლიცე** გადაიდო

### თურქეთი

XXII ტური

**გაზიანთეფი 1:0 გენჩლერბირლიგი**



ბადრი ქოთათელაძის ფოტო

კახა გოგოლაძე „დინამოს" ერთი გოლით შეეწია

# დინამო ცაიტნოტში
## საბუთი? მწვრთნელი? ფული?

**ფორმალობების** დროულად მოუგვარებლობის გამო „დინამოს" რეგისტრაცია გუშინაც ვერ მოესწრო და მომავალი კვირისთვის გადაიდო. არადა, გუნდში მთავარი მწვრთნელია დასანიშნი, ფეხბურთელთა დავალიანებაც გასასტუმრებელია.

დინამოელებმაც გუშინ ოდენ საკონტროლო მატჩში შთამბეჭდავი გამარჯვებით თუ მოიოხეს გული — დიღმის ბაზაზე ბოლნისის „სიონს" ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს. ორი გოლი დავით დათვაძემ მიითვალა, თითო-თითო კახა გოგოლაძემ, ლადო ბურდულმა და „მერანიდან" „დინამოში" გასასინჯად მისულმა ლევან ბაჯელიძემ.

ათგზის ჩემპიონთა რიგებში ვერ ითამაშეს კახა ცხადაძემ და ვახტანგ იაგორაშვილმა. ნაკრების ყოფილ კაპიტანს გრიპი შეყრია, ხოლო იაგორაშვილს ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და 28 თებერვალს განახლებული მეთორმეტე ეროვნულის პირველ მატჩშიც ვერ ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**

# აქა ხარ, ჩემო სულიკო



ბადრი ქოთათელაძის ფოტო

სულიკო დავითაშვილი (მარჯვნივ) ბოლნისის „სიონისთვით" გაიტანს

**უეფას** თასისი საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოსვლით დაიწყო ეს სეზონი თბილისის „ლოკომოტივმა". გუნდის იმდროინდელმა დამრიგებელმა რევაზ ძოძუაშვილმა რამდენიმე ფეხბურთელით სცადა „ლოკომოტივის" გაძლიერება, მათ შორის იყო ცაცია ფორვარდი სულიკო დავითაშვილი, თუმც რკინიგზელთა გუნდი უეფას თასზე მყისვე ჩაფლავდა და, ალბათ, კლუბის ხელმძღვანელების პრეტენზიებმა რევაზ ძოძუავშილისა და მის მიერ მოწვეული ფეხბურთელების მიმართ მაშინვე იჩინა თავი. საშემოდგომო ეტაპის ჩამთავრების შემდეგ კი, მოგეხსენებათ, რევაზ ძოძუაშვილი ჩამოშორდა ეროვნული ჩემპიონატის ლიდერ გუნდს და მის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ, ქუთაისის „ტორპედოს" გაწვრთნას შეუდგა დავით ყიფიანთან ერთად.

„ლოკომოტივში" აღარ დაედგომებოდა სულიკო დავითაშვილსაც. „აბრეზა", რომელიც რკინიგზელთა გუნდში გადასვლამდე რამდენიმე სეზონი „მერანის" საუკეთესო მეგოლე გახლდათ, არც თუ ცოტა ხანს უგუნდოდ იყო, თუმც მისი მოსურნე კლუბი უკვე გამოჩნდა — დავითაშვილი საგაზაფხულო ეტაპზე ბოლნისის „სიონის" ღირსებას დაიცავს. ქვემოქართლელებს ჰამლეტ წივწივაძის ფოთის „კოლხეთში" გადასვლის შემდეგ ნამდვილად ესაჭიროებოდათ თავდამსხმელი და აკი გამოძებნეს კიდეც.

**დავით თავართქილაძე**

# ერთჯერადი სამზადისი

**იტალიური** შეკრებიდან დაბრუნებულმა „ვიტ ჯორჯიამ" 18 თებერვალს მცხეთაში გორის „დილა" ისტუმრა და 4:1 მოუგო. მეორე დღესვე თემურ მახარაძემ ისევ შეკრებაზე გადაიყვანა გუნდი. ვეტერინარები დღეში ორჯერ ვარჯიშობდნენ.

გუშინ კი ვიცე-ჩემპიონმა მოსამზადებელ ეტაპზე ბოლო საკონტროლო მატჩი ითამაშა. მეტოქე ამჯერად რეგიონული ლიგის „ჭაბუკიანი" იყო. ვიტელებმა დიდი ანგარიშით 5:0 იმარჯვეს. გოლები მუჯირმა, ყიფიანმა, გვაზავამ, გოჩაშვილმა და წუწუნავამ გაიტანეს.

თემურ მახარაძემ „ჭაბუკიანთან" მატჩში, როგორც ბოლო დროს სჩვევია, ორი შემადგენლობით ითამაშა. პირველ ტაიმში მოედანზე იყვნენ: მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, მუჯირი, ნოზაძე, დიღმელაშვილი, ყიფიანი, გოჩაშვილი, ქორიძე, მელქაძე; მეორეში: ჭურაძე, გვაზავა, ინწკირველი, კობიაშვილი, დოლიძე, ადამია, გოცირიძე, ხაჭაპურიძე, გოჩაშვილი, წუწუნავა, სულთანიშვილი;

დღეიდან „ვიტ ჯორჯია" ერთჯერად წვრთნაზე გადავა. 27 თებერვალს ვეტერინარები ისევ შეიკრიბებიან, ხოლო 28-ში ჩემპიონატიც იწყება.

**დათო დანელია**

გიო ახვლედიანის

# სველი დარიგება

**მწვრთნელი** რომ ვიყო, ფეხბურთელების დარიგება მომიხდებოდა.

სიმართლე ითქვას და არ ვიცი, როგორ დავარიგებდი თამაშის წინ, რადგან მწვრთნელობისა არაფერი გამეგება, მაგრამ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ დაახლოებით დავადგინე, რა არ უნდა ვთქვა.

კერძოდ:

„ახლა, უყურეთ თქვენ, სათამაშოდ გადიხართ და უნდა მოიგოთ. შავი და თეთრი იქ გამოჩნდება. მე ვფიქრობ, რომ ასე და ასე უნდა გააკეთოთ და მოიგებთ. მე, მაგალითად, როცა ვთამაშობდი, ვაკეთებდი და ვაბშე, ძაან ბევრი მაქ გაკეთებული. თქვენ მაგრა გაგიჭირდებათ იმის გაკეთება, რაც მე მაქ გაკეთებული. ის კი არა, იმის ნახევრის გამკეთებლები არ ხართ, რაც მე გამიკეთებია... იმიტო გეუბნებით, რო ჩვენ იგროკები ვიყავით და ეხლა იგროკები აღარ არიან. ერთხელ ჩამომიგდეს კრაიდან და მარცხენათი მივიღე, წკაპ, გადმოვიტანე და კორპუსით ერთი მოვტეხე, მარჯვენათი შევიგდე და ცოტა წინ მომივიდა, მარა მივაყოლე მარჯვენა ნასოკი და გავუშვი ბლიჟნი ძევიატკაში. ე მე რაც გაკეთებული... იმიტო გეუბნებით, რო მაგარი ძნელია, როცა თამაში არ იცი და სათამაშო გაქ. ეხლა მე რომ მქონდეს სათამაშო, მაგათ მარტო მოვუგებდი, მაგრამ თქვენ გაქთ სათამაშო და მე რა ვქნა? უნდა მოიგოთ და ეგ არი. ჩემზე მაგრები ვერასდროს იქნებით, ეს ერთი კი უნდა მოიგოთ. თქვენ რა გისწავლიათ? რა გინახიათ ვაბშე? რო ჩავიდოდი სადმე, ქალები დამდევდნენ, სასტუმროს ფანჯრებთან იდგენ და ჩემ სახელს ყვიროდნენ. მართლა ისე იყო, რო ყველაზე მაგარი ვიყავი.

ტელევიზორს არ უყურებდით ბავშვობაში? საერთოდ, რას ხედავდით იქ? ახლა მე რა გითხრათ? უყურეთ თქვენ, მე აქედან ვუყურებ. იქ აზრზე უნდა მოხვიდეთ. მე ეგრევე მოვდიოდი აზრზე, აქედან რა გითხრა? თამაში იმისია, რო მოიგო. ლაპარაკი არ ვიცოდი და ეგ უკვე ვიცოდი. ვაბშე ჩვენ სხვანაირები ვიყავით, ეხლა ვეღარა ხართ იმის ნახევარი, რაც ჩვენ ვიყავით. პროსტომც, ჩემი ნახევარი თამაში რომ იცოდეთ, მაგრა გამეხარდებოდა. იმის გაგება არ უნდათ, რომ მე ვერ გავალ და ვერ მოვიგებ.

მე რო ვიყო, ხო ნაღდად მოვიგებდი ამ თამაშს. თქვენ რომც წააგოთ, მე მაინც არაფერი დამაკლდება, მე იმხელა ფეხბურთელი ვიყავი, თქვენი წაგება რას მიზამს? თქვენ ისედაც სულ აგებთ, მე კიდევ სულ ვიგებდი.

ვააჰ, პროსტომც ვიცი, როგორ უნდა ამ თამაშის მოგება, მარა რა ვქნა? მე რო გამოსვლა შემეძლოს, რაებს ვიზამდი.

გადით, ეხლა, აზრზე მოდით და მოიგეთ".

აი, ამას არ ვიტყოდი, არა მარტო სიტყვებით, არამედ იერითაც.

ჩვენი მეტოქე

# სირცხვილი კუნძულზე

## რუმინეთი რუსებმა დაჩაგრეს

### რუმინეთი

**საქართველოს** ეროვნული გუნდის მომავალი მეტოქე, რუმინეთის ნაკრები, რომელთანაც 28 მარტს თბილისში თამაშს ჩვენებურთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დღესდღეობით კვიპროსზეა და ვიდრე იქაურ ტრადიციულ ტურნირში მიიღებდეს მონაწილეობას, ამხანაგურ მატჩებს ატარებს.

გუშინწინ რუმინელები რუსეთის უმაღლესი ლიგის რამენსკოეს „სატურნს" ლარნაკაში გაეჯიბრნენ და მოულოდნელად დიდი ანგარიშით — 0:4 დამარცხდნენ.

ჩვენებურთა მეტოქეები თურმე მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან უხეშობდნენ და თამაშის დაწყებამდე ნახევარ საათში ათი ფეხბურთელითაც დარჩნენ, თუმცა ამ დროისთვის ანგარიში უკვე 0:2 იყო.

როგორც ჩვენმა რუმინელმა კოლეგამ გვითხრა, მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ „სატურნთან" ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა და უკმაყოფილოც დარჩა. ისე კი, კოლეგისვე თქმით, ბოლონი თურმე ძალიანაც არ ნერვიულობს და ამბობს, კვიპროსზე ჩატარებული მატჩები მარტში, იტალიასთან და საქართველოსთან ოფიციალური თამაშებისთვის კარგად მოსამზადებლად გამოგვადგებაო.

და კიდევ, „სატურნთან" რამდენიმე იმ ფეხბურთელმაც ითამაშა, შარშან ევროპის ჩემპიონატშიც რომ მონაწილეობდნენ.

ლადისლაუ ბოლონიმ „სატურნთან" რუმინეთის ეროვნული გუნდი 5-3-2 ტაქტიკური სქემით ათამაშა:

*ირიმია; დუმიტრუ, რადოი, იენჩი, ჯოანე (პროდანი 57), სოავა (მალდარასანუ 57); ტრიკა (ჯოანე 75), ტამეში, მარა; მიჰალჩია, ბარკაუანი (მ. ნიკულაე 75).*

**კობა ინასარიძე**



საქართველოს ეროვნული ნაკრები უკრაინასთან მატჩის წინ

# პირველი მატჩის ფაქტორი

**უკვე** მეშვიდე წელია, საქართველოს ეროვნული გუნდი საერთაშორისო სანაკრებო ფერხულში ჩაება. ბევრი რამ მოხდა ამ დროში. იყო დასამახსოვრებელი გამარჯვებებიც და სამარცხვინო წაგებებიც. იმედს უიმედობა ცვლიდა და პირიქით, უნიათობის მწვერვალი კი 1999 წელი გახლდათ. ქართველებმა მაშინაც უკრაინასთან თბილისური მატჩით დაიწყეს სეზონი, დამარცხდნენ და მერე წელიწადი ისე მიილია, თამაში აღარ მოუგიათ.

როგორ გგონიათ, ზოგადად პირველ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს? გააჩნია, რა შემთხვევაშიო, იტყვით და მართლებიც იქნებით. აი, მაგალითად, შესარჩევი მატჩით ჩვენებმა სეზონი სულ ერთადერთხელ გახსნეს. 1995 წლის 29 მარტს თბილისში გერმანიას უმასპინძლეს. გარემო საოცრად დამუხტულიყო და ფეხბურთელებიც უჩვეულოდ ნერვიულობდნენ. მაშინ გამოუცდელ ბიჭებს კლინსმანებისა და მიოლერების წინააღმდეგ უნდა ეთამაშათ. არადა, შეხვედრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა...

0:2 წააგეს და ეს ლოგიკურიც იყო. მაგრამ წლები გავიდა, ასაკიც მოემატათ, გამოცდილებაც და დღეს ყველაფერს სხვაგვარად უდგებიან. ვთქვათ, კალაძე მილანში ჩადის და ამბობს, რომ „სან სიროს", მალდინებსა და ლეონარდოებს სულაც არ დაუთრგუნიათ. ეს კარგი მაგალითია იმისა, რომ ქართველი ფეხბურთელების აზროვნებაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. თუნდაც იტალიასთან ბოლო შესარჩევი მატჩი გავიხსენოთ, როცა „შინდისფერები" „ცისფერებს" უკომპლექსოდ, ტოლ-სწორად ეთამაშნენ.

ახლანდელი, უკრაინასთან სეზონის გამხსნელი შეხვედრა ერთი შეხედვით, გამორჩეული არაფრით ყოფილა. ჩვენებმა ხეირიანად წავარჯიშებაც ვერ მოახერხეს, მაგრამ „ეროვნულის" გაქუცულ მინდორზე ჯანმაგარ მოწინააღმდეგეს არაფერი დაუთმეს და ლიტვა-იტალიის შემდეგ გაჩენილი იმედი არ მოგვიკლეს.

პირველი შეკრება, პირველი მატჩი და პირველი შთაბეჭდილება. აბა, ვინ იცის, როგორი იქნება წლევანდელი წელი „შინდისფერთათვის". მაგრამ უკრაინის მერე რომ ფსიქოლოგიურად ნაკლებად გაუჭირდებათ, უეჭველია. „მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ნაკრებმა ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა. მადლობელი ვარ უკრაინელებისაც. მათ კარგი ბრძოლა და დაცვის ძალა გვიჩვენეს, რაც სარუმინეთოდ აუცილებლად წაგვადგება" — ქართველთა მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის ნათქვამიც ამის დასტურია.

ასე რომ, სეზონი გაიხსნა. აქამდე ქართველებს ოთხი გამხსნელი მატჩი მოეგოთ და სამი წაეგოთ. ფრით კი პირველად დაიწყეს. ცხადია, 1990-ში ლიტვასთან ნათამაშევ 2:2 არ ვთვლით, რადგან 1994 წლამდე ჩვენებს ოფიციალური შეხვედრები არ ჩაუტარებიათ.

**სოლომონ ბულისაშვილი**

### წლის პირველი მატჩები და წლიური შედეგი

| | | | | | | მ | ფ | წ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.02.94 | მტ | სლოვენია | 1:0 | საქართველო | 11 | 5 | 1 | 5 |
| 29.03.95 | ეჩშ | საქართველო | 0:2 | გერმანია | 6 | 3 | 0 | 3 |
| 27.03.96 | ამ | კვიპროსი | 0:2 | საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 |
| 30.03.97 | ამ | საქართველო | 7:0 | სომხეთი | 7 | 4 | 1 | 2 |
| 06.02.98 | მტ | საქართველო | 2:1 | ლატვია | 11 | 5 | 2 | 4 |
| 20.03.99 | ამ | საქართველო | 0:1 | უკრაინა | 8 | 0 | 2 | 6 |
| 02.02.00 | კტ | სლოვაკეთი | 0:2 | საქართველო | 10 | 3 | 4 | 3 |
| 14.02.01 | ამ | საქართველო | 0:0 | უკრაინა | - | - | - | - |

*შენიშვნა: მტ — მალტის ტურნირი; კტ — კვიპროსის ტურნირი; ეჩშ — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი; ამ — ამხანაგური მატჩი*

# არგენტინა იტალიას ამზადებს

### იტალია

**28 თებერვალს** თამაშობენ რუმინეთი, უნგრეთი, ლიტვა... წინადღით საქართველოს ეროვნული გუნდი ბუნდესლიგურ „კიოლნს" ხვდება. ერთი სიტყვით, მერვე ჯგუფელები ამხანაგურად ემზადებიან. რაღა თქმა უნდა, ჯგუფის ფავორიტი იტალიაც თამაშობს.

რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე" „სკუადრა აძურა" არგენტინის ეროვნულ გუნდს დაუხვდება. დაუხვდებაო კი ვამბობთ, მაგრამ არგენტინელების უმეტესობა ხომ უკვე იტალიაშია. რომაელები — ვალტერ სამუელი, გაბრიელ ბატისტუტა, ერნან კრესპო, დიეგო სიმეონე, ლუკას მარტინ კასტრომანი და ხუან სებასტიან ვერონი „ოლიმპიკოს" ნაჩვევნი არიან და თანამემამულეებსაც იქვე დაუხვდებიან. ერთი სიტყვით, იტალიელები ნაცნობ არგენტინელებს გაეჯიბრებიან.

ჯოვანი ტრაპატონიმ გუშინ სწორედ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებსაც 28-ში სამხრეთამერიკელებს შეახვედრებს. ტრაპატონიმ ბერგამოელი ტყუპები — კრისტიანო და დამიანო ძენონებიც გამოიძახა და არაა გამორიცხული, ათამაშოს კიდეც. ერთწლიანი შესვენების შემდეგ, „სკუადრა აძურას" დაუბრუნდება მთავარი მეგოლე — კრისტიან ვიერი.

არგენტინელებთან სათამაშოდ ესენი ემზადებიან:

*მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა);*

*მცველები: ვალერიო ბერტოტო (უდინეზე), ფაბიო კანავარო (პარმა), პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო (ორივე ლაციო), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა);*

*ნახევარმცველები: კრისტიანო ძენონი, დამიანო ძენონი (ორივე ატალანტა), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯანლუკა პესოტო, ალესიო ტაკინარდი (ორივე იუვენტუსი), დამიანო ტომაზი, ფრანჩესკო ტოტი (ორივე რომა), ფრანჩესკო კოკო (მილანი);*

*თავდამსხმელები: კრისტიან ვიერი (ინტერი), ფილიპო ინძაგი, ალესანდრო დელ პიერო (ორივე იუვენტუსი), მარკო დელვეკიო (რომა).*

ეს ცნობა კი ჩვენი ახალგაზრდების თავკაც მურთაზ ხურცილავას უეჭველად დააინტერესებს — 27 თებერვალს იტალიის ახალგაზრდული ნაკრები პატარა ქალაქ ლივორნოში ავსტრიელ თანატოლებს უმასპინძლებს.



კრისტიან ვიერი ნაკრებში დაბრუნდა

იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა, წარსულში ტურინის „იუვენტუსის" და „სკუადრა აძურას" მცველმა კლაუდიო ჯენტილემ შეკრებაზე 20 ფეხბურთელი იხმო. ჯენტილემ სადღეისოდ მართლაც რომ რჩეული იტალიელები შეკრიბა, ეგაა, „ვერონას" ტრავმირებულ თავდამსხმელ ემილიანო ბონაცოლის სერია B-ს „ემპოლის" ჯუზეპე მაკარონე შეცვლის. გუნდშია სავარსკვლავოდ გამზადებული, „ბარის" 20 წლის ანტონიო კასანოც. აქვე ვთქვათ, რომ უახლოეს დღეებში კასანომ უნდა აცნობოს ფაბიო კაპელოს — გადავა თუ არა „რომაში". თუ დათანხმდა, ყმაწვილკაცს რომაელები ახალი სეზონიდან უზარმაზარ ხელფასსა და ტოტი-ბატისტუტას დუეტის გვერდით თამაშს შეჰპირდნენ, თუ არა, ანტონიოს სილვიო ბერლუსკონიც ეკურკურება. „მილანის" მფლობელს უთქვამს, მომავალი სეზონისთვის ბირჰოფს გავუშვებთ, სამაგიეროდ, „ვიჩენცას" 23 წლის ფორვარდ ლუკა ტონის და კასანოს გუნდში ხილვა მწადიაო. ეს სამომავლოდ, მანამდე კი ჯენტილეს რჩეულთ გაეცანით:

*მეკარეები: ივან პელიცოლი (ატალანტა), ჯენეროზო როსი (ვენეცია);*

*მცველები: ჯამპაოლო ბელინი (ატალანტა), ანტონიო ბოკეტი, ემანუელე ტროიზე (ორივე ნაპოლი), დანიელე ბონერა (ბრეშა), მატეო ფერარი (ინტერი), ალესანდრო გამბერინი (ბოლონია);*

*ნახევარმცველები: ჯუზეპე კოლუჩი (ვერონა), ნიკოლა კორენტი (სიენა), მასიმო დონატი (ატალანტა), მარკო მარკიონი (ემპოლი), ენცო მარესკა (ბოლონია), ანდრეა პირლო (ბრეშა), სალვატორე ვიკარი (რეჯინა);*

*თავდამსხმელები: ანტონიო კასანო (ბარი), კორადო კოლომბო (ტორინო), ალბერტო ჯილარდინო (ვერონა), ჯუზეპე მაკარონე (ემპოლი), ალექს პინარდი (ატალანტა).*

**გიორგი გუგაძიძე**

# კაცმა კაცს გაუგო

### უნგრეთი



გაბორ კირალი: მერე რა, რომ გოგოა

**— მე** ვენდობი მას, ვიცი მისი შესაძლებლობები, ამიტომაც არ გამოვიძახე, თუმცა...

ასე ახსნა უნგრეთის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბერტალან ბიჩკეიმ ბერლინის „ჰერტას" მეკარის გაბორ კირალის შეკრებაზე გამოუძახებლობა.

უნგრეთი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მერვე ევროპულ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეა, 28 თებერვალს ზენიკაში ამხანაგურად ბოსნიის ეროვნულ გუნდს გაეჯიბრება.

და მაინც, რატომ არ ითამაშებს კირალი? ჟურნალისტებს რას გამოაპარებ — ჰოდა, ბიჩკეიმ იმ „თუმცაში" აი, რა იგულისხმა: კირალი მამა გამხდარა. ქალიშვილის შეძენით ბედნიერმა მეკარემ თავად სთხოვა ნაკრების მწვრთნელს, თუ შეგიძლიათ, არ გამომიძახოთო. ბიჩკეიმაც გაუგო, მაგრამ საკვირველია, უნგრელთა თავკაცს რად დასჭირდა სასიხარულო ცნობის დამალვა?

ბერტალან ბიჩკეიმ ბოსნიელებთან სათამაშოდ ესენი შეარჩია:

*მეკარეები: გაბორ ბაბოში (ბრედა, ჰოლანდია), ზაბოლც შაფარი (ზალცბურგი, ავსტრია);*

*მცველები: დიორდ კორსოში (შტურმი, ავსტრია), ვილმოშ შებოკი (კოტბუსი, გერმანია), ატილა დრაგონერი (ფერენცვაროში, ბუდაპეშტი), ტამაშ იუჰარი (ვაშაში, ბუდაპეშტი), ლასლო ბოდნარი (დინამო, კიევი, უკრაინა);*

*ნახევარმცველები: ტიბორ დომბი (უტრეხტი, ჰოლანდია), გაბორ ჰალმაი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), პალ დარდაი (ჰერტა, გერმანია), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი, გერმანია), მიკლოშ ლენდვაი (ბეერსხოტი, ბელგია), ვასილე მირიუტა (კოტბუსი, გერმანია), იშტვან ჰამარი (მაკაბი, ნეთანია, ისრაელი), ჰენრიკ როშა (დუნაფერი);*

*თავდამსხმელები: ფერენც ჰორვატი (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი), მიკლოშ ფეჰერი (ბრაგა, პორტუგალია), გაბორ ტორმა (როდა, ჰოლანდია).*

**გიორგი გუგაძიძე**

# ველით ჩვიდმეტწლამდელებს!

**გერმანიის** ქალაქ ნორდლინგენში ერთკვირიან შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებმა მეორე საკონტროლო მატჩი გამართა 1984 წელს დაბადებულ გერმანელ ყმაწვილთა ნაკრებთან და ისევ დამარცხდა. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა 0:3 დათმო შეხვედრა.

გეხსომებათ, ამ გუნდების პირველ მატჩში გერმანელებმა 4:0 იმარჯვეს.

ქართველმა ჩვიდმეტწლამდელებმა მეორე შეხვედრაში ამ შემადგენლობით ითამაშეს:

*მუჯრიშვილი, ახალაია, ჭელიძე, ებრალიძე, ლომიძე, კაპანაძე, ხოჯავა, კვახაძე (ვოგბაიძე), ელიავა (ხმალაძე), კაციტაძე, იაშვილი (ლუჭაშვილი).*

ქართველი ჟურნალისტები შეჩვეულნი ვართ მწვრთნელებისგან თავის მართლებას, ამა თუ იმ ოფიციალურ თუ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებში დამარცხების შემდეგ და მართალი გითხრათ, კობა ჟორჟიკაშვილისგანაც იგივეს ველოდით. ჰქონდა კიდეც კონკრეტული მიზეზების დასახელების საშუალება, ქართველი ჩვიდმეტწლამდელები ხომ, ფაქტობრივად, ერთი წლით უფროსებს შეხვდნენ. თანაც მეტოქე ნაკრები ბუნდესლიგის წამყვანი კლუბების ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და ესპანური შეკრებაც ჰქონდა მოვლილი. გერმანელებმა ფაქტობრივად გენერალური რეპეტიცია გაიარეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წინ (მარტში ჩაებმებიან გათამაშებაში).

ასეთი სერიოზული არგუმენტის მიუხედავად, ჟორჟიკაშვილმა ეს გვითხრა:

„ორივე მატჩში პირწმინდად დავმარცხდით. მეტოქემ ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაგვჩაგრა. დროა, გამოვფხიზლდეთ და რეალურად შევხედოთ ყველაფერს. ჩვენსა და გერმანელებს შორის ფეხბურთში ისეთი სხვაობაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ამ ერთმა კვირამ ბევრი რამ გამოაჩინა, ბევრ ისეთს დაანახვა თავისი შესაძლებლობა, თავი რომ ფეხბურთელი ეგონა. თითქმის ყველა სათამაშო რგოლში ხარვეზები გვაქვს, განსაკუთრებით უკანა ხაზშია დიდი პრობლემები. თბილისში დაბრუნებისთანავე დაუყოვნებლივ გავაგრძელებ სასელექციო სამუშაოებს და დღეს ჩემს ხელთ არსებული კონტინგენტიც ალბათ, საგრძნობლად შეთხელდება, ნაკრები შეიცვლება.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპამდე მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ისეთი გუნდი შევქმნათ, რომელიც თავს არ შეირცხვენს საერთაშორისო სარბიელზე".

საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები გუშინ გამოემგზავრა გერმანიიდან და თბილისში გამთენიისას დაბრუნდა.

**ბაადურ კვანტალიანი**

UEFA CUP

## უეფას თასი. მერვედფინალის საპასუხო მატჩები. 22 თებერვალი


THE SUN

ლივერპული — რომა. სტუმართა მასპინძელს ჩახადა: ვალტერ სამუელი და ემილ ჰესკი

### ინტერი (იტალია) 0:2 ალავესი (ესპანეთი) (3:3)

0:1 კრუიფი (78), 0:2 ტომიჩი (83)

ინტერი: ფრეი, ჩირილო (პაჩეკო 84), ბლანი, კორდობა, ბროკი (ზეედორფი 46), ძანეტი, ფარინოსი, დი ბიაჯო, სერენა (ფერარი 70), რეკობა, ვიერი

ალავესი: ერერა, კონტრა, ეგენი, ტელიესი, ჟელი, დესიო, იბონ ბეგონა (მაგნო 46), პაბლო ლაგო (ივან ალონსო 46), ტომიჩი, კრუიფი, ხავი მორენო (ასკოიტია 82)

მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)

9 845 მაყურებელი

### კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 1:0 სლავია (ჩეხეთი) (0:0)

1:0 ლოკვენცი (59)

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, ჰ. კოხი, შტრასერი, ბუკი, ბასლერი, ჯორკაეფი, ხრისტოვი, პეტერსონი (რაიხი 90), ლოკვენცი (მარშალი 85), კლოსე

სლავია: ჩერნი, სუხოპარეკი, სუსკავჩევიჩი, სამკოვიჩი, ლ. დოშეკი, ულიხი, პისკი (კუჩარი 69), დოშტალეკი, პეტროუში (სვანჯარა 78), ტ. დოშეკი, ზელენკა

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

28 000 მაყურებელი

### ბარსელონა (ესპანეთი) 5:0 აეკ (საბერძნეთი) (1:0)

1:0, 2:0 ლუის ენრიკე (22, 31), 3:0 რივალდო (57), 4:0 ლუის ენრიკე (60), 5:0 ხერარდი (87პ)

ბარსელონა: რეინა, გაბრი, რაიციგერი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა (ხავი 58), კოკუ, ლუის ენრიკე (ხერარდი 66), რივალდო, ოვერმარსი (სანტამარია 46), კლუივერტი

აეკ: ატმაციდისი, კოსტენოღლუ (ფერუზემი 41), კაშიასი, დელასი, კასაპისი, ზიკოსი, ლაკისი, მალადენისი (ზაგორაკისი 36), რუისი, ცარტასი (პეტკოვი 73), ნიკოლაიდისი

გაძევება: კაშიასი (29)

მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)

50 000 მაყურებელი

### პარმა (იტალია) 3:2 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (1:2)

0:1 რომედალი (32), 0:2 კეჟმანი (45), 1:2, 2:2 მილოშევიჩი (64პ, 69), 3:2 მონტანო (90)

პარმა: ბუფონი, ფ. კანავარო, ტორიზი, პ. კანავარო (მონტანო 78), ჟუნიორი, ლამუში (ბოლანო 55), ბაბა, ფუზერი, დი ვაიო, სერჟიუ კონსეისაუ, ამოროზო (მილოშევიჩი 46)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი (ვან დერ დულენი 90), რომედალი (კოლკა 80), ბუმა, კეჟმანი, დე იონგი (ლუსიუსი 87)

მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

11 883 მაყურებელი

### სელტა (ესპანეთი) 2:1 შტუტგარტი (გერმანია) (0:0)

1:0 კარპინი (6), 1:1 ბლანკი (45), 2:1 მოსტოვოი (85)

სელტა: ხ. პინტუ, ველასკო (ედუ 60), კასერესი, ბერიზო, იაგო, ვაგნერი (ხაიო 82), ჯოვანელა, კარპინი (ხესული 82), მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი, კატანია

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ბლანკი, ბორდონი, სოლდო, ტიამი, კარნელი, რ. პინტუ, ჰინკელი, ლისტეში (დანდი 40), კაუფი, განია (ტაიფერტი 83)

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

20 000 მაყურებელი

### ბორდო (საფრანგეთი) 1:2 რაიო ვალეკანო (ესპანეთი) (1:4)

0:1 სემბრანოსი (20პ), 1:1 მინგო (24ს.კ.), 1:2 ბოლო (50)

ბორდო: რამე, გრენე (ფეინდუნო 46), როში, სომეილი, ბასტო, სმერტინი, ლევზინსკი (აფანუ 81), ბატლე (რუ 19), დიუგარი, ლასლანდი, პაულეტა

რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ალკასარი, დე კინტანა, ბალესტეროსი, მინგო, ჰელდერი, პოშნერი, ჰკვიდო (გლაუჩიო 60), მიჩელი (სეტვალსი 73), სემბრანოსი, ბოლო (ბოლიჩი 52)

გაძევება: რამე (18)

მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

22 000 მაყურებელი

### ლივერპული (ინგლისი) 0:1 რომა (იტალია) (2:0)

0:1 გიგუ (70)

ლივერპული: ვესტერველდი, ენჩოსი, ციგე, ბაბელი, ჰიიპია, ჰამანი, მაკალისტერი, ბარმბი (ფაულერი 81), კარაგერი,ოუენი (შმიცერი 68), ჰესკი

რომა: ანტონიოლი, ძაგო, მარკოს ასუნსაო, ძებინა, სამუელი, რინალდი (გიგუ 59), კანდელა, ტომაზი, ნაკატა, დელვეკიო (ბატისტუტა 59), მონტელა (ბალბო 79)

გაძევება: ტომაზი (85)

მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)

43 688 მაყურებელი

### ნანტი (საფრანგეთი) 2:1 პორტუ (პორტუგალია) (1:3)

0:1 პენა (35), 1:1 ვაირუა (68), 2:1 არმანი (74)

ნანტი: ლანდრო, ლასპალი, ფაბრი, ჟილე, არმანი, ბერსონი (როშა 86), ზიანი, კარიერი, ტური (მონტერუბიო 61), მოლდოვანი (ვაირუა 61), აპამადა

პორტუ: ოვჩინიკოვი, სეკრეტარიუ, ანდრადე, ალოიზიო, ნელსონი, დეკო სოუზა (ზაჰინიუ 77), პარედესი, ალენიჩევი, ნუნუ კაპუშე, პენა (ს. მარიჩი 89), დრულოვიჩი (პაულინიუ სანტუში 84)

გაძევება: ალენიჩევი (83)

მსაჯი: ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)

29 000 მაყურებელი

**მეოთხედფინალი. 8-15 მარტი**

კაიზერსლაუტერნი — პსვ ეინდჰოვენი
ბარსელონა — სელტა
ალავესი — რაიო ვალეკანო
პორტუ — ლივერპული

# არ ენდო არანდას!

## ალავესმა ინტერს ცეცხლი წაუკიდა

„რომა“ 1:0 იგებს. ერთი გოლიც და საქმე დამატებით დრომდე მივა, იქ კი ვინ იცის, ეგებ, რომაელებმა მეოთხედფინალში გაძრომაც მოახერხონ. ამ დროს მარკო დელვეკიო ლივერპულელთა საჯარიმოში აწვდის. ბურთი მარკუს ბაბელს ხელზე ხვდება და მოედანს ტოვებს. არბიტრი ხოსე მანუელ გარსია არანდა პენალტის ნიშნულისკენ მიუთითებს. რომაელები ხარობენ, დარწმუნებულები არიან, რომ გატანას შეძლებენ. სტუმართაგან მხოლოდ გაბრიელ ომარ ბატისტუტას არ უხარია. მან უბრალოდ ვერ შენიშნა, საითაა მიმართული მსაჯის ხელი, არც ის დაუნახავს სხეულის რომელ ნაწილზე მოხვდა ბურთი ბაბელს და ამიტომაც კუთხური ჰგონია. ის ალამთან მიდის და ჩამოსაწოდებლად ემზადება. გარსია არანდა ჯერ ბაბელის გაოცებულ სახეს უყურებს, მერე კუთხურის ჩასაწოდებლად გამზადებულ ბატისტუტას და გადაწყვეტილებას ცვლის — პენალტის ნაცვლად კუთხური! რომაელები აპროტესტებენ და შედეგად სამ ყვითელ ბარათს იმკიან. „რომა“ თამაშს აგებს...

იტალიაში არ დარჩენილა გაზეთი, რომელიც ამ ეპიზოდს არ გამოეხმაურა. სპორტულმა გაზეთებმა პირველ გვერდზე ესპანელი არბიტრის სალანძღავი სათაურები გამოიტანეს. ისიც გაიხსენეს, რომ 1997 წელს „სან სიროზე“ უეფას თასის ფინალს „ინტერსა“ და „შალკეს“ შორის სწორედ ეს მსაჯი ემსახურებოდა და მისმა რამდენიმე შეცდომამ იტალიელებს თასი დააკარგვინა.

„უეჭველი პენალტი იყო, აკი მსაჯმაც თავიდან ეს აღნიშნა — თქვა ფაბიო კაპელომ — უსირცხვილოდ წაგვაგებინა თამაში“. რომაელები მსაჯის გადაწყვეტილებას, უფრო სწორად, მის შეცვლას უეფაში გააპროტესტებენ. და ჟერარ ულიე? არ ვიცი, სადაც მე ვიჯექი, არაფერი ჩანდაო, თქვა „ლივერპულის“ მწვრთნელმა. აბა, როდის ყოფილა, მსაჯის შეცდომით ნახეირებ მწვრთნელს, სხვაგვარად ეთქვას.

ჰო, ამ მატჩში არანდა სხვა ეპიზოდშიც შეცდა, როცა მე-60 წუთზე „რომას“ კარში პენალტი დანიშნა — ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ საკამათო პენალტი იყო. რომაული შეხვედრის გმირის, მაიკლ ოუენის დარტყმული მეკარე ანტონიოლიმ მოიგერია, არადა, რომ გასულიყო, თავში აღწერილი ამბავიც ინტრიგას დაკარგავდა.

არანაკლები (უერესიც კი) ამბები დატრიალდა მილანში, სადაც უეფას თასის სამჯერ მომგები „ინტერი“ ევროტურნირების დებიუტანტ „ალავესს“ შეხვდა.

თამაშის მიწურულს მეოთხე მსაჯი მინდორზე გავიდა და არბიტრს მატჩი დაასრულებინა. საინფორმაციო საშუალებებმა მაშინვე გადმოსცეს, თამაში ჩაიშალაო, მაგრამ საბოლოოდ უეფამ ის დასრულებულად მიიჩნია და შედეგიც უცვლელად დატოვა.

აი, რა მოხდა: ერთი კვირის წინ მილანელები ვიტორიაში 3:1 იგებდნენ და სამ წუთში ორი გოლი გაუშვეს. ქომაგებმა ეს იწყინეს, მაგრამ საპასუხო მატჩის წინ ფავორიტად მაინც „ინტერი“ რჩებოდა და განსაკუთრებული ხმაური არ აუტეხიათ. უქმეებზე „ინტერი“ „ნაპოლისთან“ დამარცხდა — ესეც შეუნდეს, რა ხანია, მათი გუნდი სკუდეტოსთვის ველარ იბრძვის. მაგრამ მოთმინების ფიალა ოდესმე ხომ უნდა ავსებოდათ? 78-ე წუთამდე კიდევ ითმენდნენ, 0:0 ხელს აძლევდათ, აი, ხორდი კრუიფისა და ივან ტომიჩის გოლებმა კი ხალხი გააგიჟა.

მსაჯი, სხვათა შორის, ინგლისელი, იძულებული გახდა, თამაში შეეწყვიტა — მინდვრიდან ნასროლი სკამებისა და სხვა საგნების გატანას დრო სჭირდებოდა. როცა სიტუაცია თითქოს მიწყნარდა, ხოლო მატჩის 90 წუთი მიილია, მეოთხე მსაჯმა ტაბლოზე ათიანი აციმციმა.

ამ ათი წამატებული წუთიდან ხუთი იყო გასული, როცა ტრიბუნებზე არეულობებმა ახალი ძალით იფეთქა, აქა-იქ ცეცხლი ავარდა და მსაჯსაც თამაში შეაწყვეტინეს.

სტუმართა მწვრთნელმა ხოსე მანუელ ესნალმა პრესკონფერენციაზე მასპინძელ ქომაგთა ბობოქრობაზე არაფერი თქვა და უბრალოდ აღნიშნა, „ალავესი“ ახლა ქმნის თავის ისტორიას და სასიამოვნოა, რომ „ინტერის“ დარი გუნდების დამარცხებითო.

მარკო ტარდელი პრესკონფერენციას არ დასწრებია და, როგორც ამბობენ, მისი ინტერული კარიერა დღედღეზე დასრულდება.

მეოთხედფინალისტთა შორის ვერც მესამე იტალიურ კლუბ „პარმას“ მოძებნით და ვერც ფრანგულ კლუბებს. სამაგიეროდ, ტრიუმფით მიდიან ესპანელები და მათ უკვე გაინაღდეს ორი ადგილი ნახევარფინალში.

„შტუტგარტმა“ რანგნიკი უნდა გაუშვას — ეს სიტყვები „შტუტგარტერ ნახრიხტენში“ დაიწერა. ბოლო დროს რალფ რანგნიკის გუნდიდან დათხოვნაზე ბევრს საუბრობდნენ, ისიც ითქვა, „სელტასთან“ უეფას თასის საპასუხო მატჩი მწვრთნელის ბოლო შანსიაო. ფაქტია, ეს შანსი რანგნიკმა ვერ გამოიყენა. მისმა დამოძღვრილმა გუნდმა ვიგოში 1:2 წააგო და რადგან პირველი შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, ევროტურნირებს დაემშვიდობა. ჰოდა, გუშინ „შტუტგარტის“ ხელმძღვანელობამ რალფ რანგნიკი თანამდებობიდან დაითხოვა

არადა, „შტუტგარტს“ მეოთხედფინალში გასვლამდე ხუთი წუთი დააკლდა. 85-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, ესპანელთა რუსმა კაპიტანმა მოსტოვოიმ მსაჯის უხეში შეცდომით ისარგებლა — თამაშგარე ადგილიდან გაიტანა, არბიტრმა კი გოლი ჩათვალა.

ხუთშაბათს ვიგოში რუსების დღე იყო. „სელტას“ ლეგიონერები — ვალერი კარპინი და ალექსანდრ მოსტოვოი მასპინძლებს ლიდერებად მოევლინნენ და ორრაუნდიანი დუელის ბედიც გადაწყვიტეს. შეხვედრის დებიუტშივე, მე-6 წუთზე კარპინმა ლოპესის პასი მიიღო და დაახლოებით 12 მეტრიდან ანგარიში გახსნა. „შტუტგარტს“ ეს ხელს არ აძლევდა, ამიტომ შეტევებზე გადასვლა მართებდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მიუხედავად ამისა, ანგარიში მაინც გაათანაბრა — პირველი ტაიმის მესამე დამატებული წუთი მიმდინარეობდა, როცა პინტოს კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი სოლდომ თავით ბლანკს მიაწოდა, მან კი კარში გადაგზავნა. ეს შტუტგარტელთა პირველი დარტყმა გახლდათ „სელტას“ კარისკენ.

მეორე ნახევარში სულ ორი მომენტი შეიქმნა ლოპესის ჯარიმიდან დარტყმული ჰილდებრანდმა მოიგერია, მოსტოვოის კი, ასევე ჯარიმიდან გატანაში ძელმა შეუშალა ხელი. აი, 85-ე წუთზე კი მას წინ მსაჯიც ვერ აღუდგა.

გერმანული „კაიზერსლაუტერნისა“ და ჩეხური „სლავიას“ შეხვედრის ბედი ჩეხმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა, რაც იმას როდი ნიშნავს, რომ „სლავიამ“ მოიგო. ვრატისლავ ლოკვენცმა, „ლაუტერნის“ ჩეხმა ლეგიონერმა 59-ე წუთზე კლოსეს თავური პასი მიიღო და ლამაზი გოლი გაიტანა, რითაც შემდგომ ეტაპზე გერმანული გუნდი გაიყვანა.

მასპინძელთა თავკაცმა ანდრეას ბრემემ ავანტიურისტული ტაქტიკა აირჩია — ძირითადში სამი თავდამსხმელი დააყენა. ლოკვენცს, კლოსეს და პეტერსონს ასევე შემტევი ნახევარმცველები — ბასლერი, ჯორკაეფი და ხრისტოვი ეხმარებოდნენ. შეტევა და არაფერი შეტევის გარდა — დაახლოებით ასეთი გახლდათ მასპინძელთა დევიზი, რომელმაც კინაღამ თამაშის დასაწყისშივე გამოიღო შედეგი: მე-6 წუთზე კლოსემ სამიოდე მეტრიდან ააცილა, ორ წუთში კი ჯორკაეფსაც იგივე შეემთხვა. ტაიმის შუაგულში კი გერმანელებს აშკარად გაუმართლათ, როცა ულიხის დარტყმულს და ზელენკას დამატებულს გეორგ კოხი გადაელობა.

იღბალი 49-ე წუთზეც „ლაუტერნის“ მხარეს იყო — იმავე ზელენკას თავური ხარიხამ უკუაგდო. მალე დოსეკს ისევ კოხმა აუღო. მერე კი მასპინძლებმა მატჩის სადავეები ისევ ხელთ იგდეს და გოლიც გაიტანეს.

„გამოუშვით „ეინდჰოვენი“, მათ უფრო შავ დღეს დავაყრით“ — დაიმუქრა ნამატჩევს კაიზერსლაუტერნელი ანდრეას ბუკი.

**ვანო ოქროპირიძე**
**გიორგი დარჯანია**




მარკო ტარდელი: გამიშვებენ? რალფ რანგნიკი: მორჩა, გამიშვეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარჩელო ლიპი: დამსაქმეთ!

# მიხმე, იტალია!

**მარჩელო** ლიპი ის კაცია, ვისი ხელმძღვანელობითაც ტურინის „იუვენტუსს“ მრავალი ტიტული მოუხვეჭია. ევროპის ჩემპიონთა თასი, სკუდეტო, იტალიისა და საკონტინენტთაშორისო თასები, მოკლედ ყოველივე, რისი მოგებაც კი შეიძლება — ასეთია მარჩელო ლიპის ტურინული მოღვაწეობის მოკრძალებული ნუსხა. ეს მწვრთნელის ოქროს ხანა გახლდათ. თუმც სიმაღლის დაპყრობაზე, ვარსკვლავებთან თამაშზე ძნელი მოპოვებულის შენარჩუნება ყოფილა.

დიდმა გურუმაც ვერ შეძლო საფეხბურთო ოლიმპზე ხანგრძლივი ბოგინი და ერთ დროს უდიდესი მოძღვარი ახლა უგუნდოდ და უმუშევრად დარჩა. მარჩელო ლიპიმ ბოლო წლებში ლამის მსოფლიოს ნაკრებში, სუპერფეხბურთელებით გადაჭედილ მილანის „ინტერში“ მოინდომა ტურინული ტრიუმფის გამეორება, თუმც თავისი წინამორბედი მწვრთნელების — ჯიჯი სიმონისა და მირჩა ლუჩესკუს დარად მხოლოდ თავი შეირცხვინა.

გუნდი, რომელსაც რონალდო, ზეედორფი, ვიერი, რეკობა და მრავალი ასეთი ოსტატი ჰყას, „ჰელსინგბორგთან“ არ უნდა მარცხდებოდეს. „ინტერი“ არაა ის, ვინც წოდებას „ვიცეს“ ან „ექსს“ შეიფერებს. წინა სეზონში „ინტერი“ მეოთხე ადგილს და ჩემპიონთა ლიგის სათუო საგზურს დასჯერდა. შემდეგ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ გასცდა, სერია A-შიც უსახურად გამოიყურებოდა და ლიპის წასვლის დროც დადგა. წავიდა დიდი მწვრთნელი და თითქოს საფეხბურთო სამყარომ მიივიწყა მისი დამსახურებანი, მაგრამ თვით მწვრთნელი იმედიანადაა. ამას წინათ ლიპი „ფრანს ფუტბოლმა“ გაიხსენა. გულღია საუბარში ლიპიმ მისი იტალიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელობის ნატვრა ბუნებრივ, საკმაოდ რეალურ ფერებში, დახატა. თურმე მარჩელო ლიპის ბევრი უცხოური წამყვანი გუნდიც ეპატიჟება, მაგრამ დიდ მოძღვარს სამშობლო არ ეთმობა და სერია A-ში მობურთალ რომელიმე გუნდში მუშაობა სწადია. „როგორც კი მივხვდები, რომ იტალიას აღარ ვჭირდები, დაუყოვნებლივ წავალ“ — განუცხადა მან „ფრანს ფუტბოლის“ ჟურნალისტებს. მართლაც, რომელიღაც არაიტალიური გუნდი შეეცდება, ამით იხეიროს.


გეპატიჟებათ ბაკურიანში სასტუმრო საბა



სასტუმრო
მდებარეობს
დაბის ცენტრში,
„ოცდახუთიანისა“
და პარკის საბავშვო
გზებთან ახლოს

- ორ და სამადგილიანი კომფორტაბელური ნომრები;
- მუდმივი დენი, გათბობა, ცხელი წყალი;
- სამჯერადი კვება, სამზარეულო ქართული, ფრანგული, ევროპული კერძებით;
- თხილამურების გაქირავების პუნქტი;
- სათხილამურო სპორტის გამოცდილი ინსტრუქტორი;
- სათხილამურო ტრასებამდე ავტომანქანით მომსახურება;
- სატელიტური ტელეარხები.

ბაკურიანი. კოსტავას ქ. №25 ტელ: 8 (99) 10-24-63



ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში

ფეხბურთი, NHL, NBA

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)


# ნუნუს, პაულუს და აბელს საბელი ახსნეს

**ნუნუ გომეშმა**, აბელ შავიერმა და პაულუ ბენტუმ ერთად გაიხარეს. როგორც იქნა, გაწყდა დისკვალიფიკაციის ხუნდები და ფეხბურთელებიც მშობლიურ ნაკრებს დაუბრუნდნენ. ისინი პორტუგალიის ეროვნული გუნდის თავკაცმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ანდორას წინააღმდეგ სათამაშოდ მიიწვია.

გეხსომებათ, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი საფრანგეთისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის. თამაშმა ნერვიულ ატმოსფეროში ჩაიარა, ხოლო ბოლო წუთებზე, როდესაც მსაჯმა სადავო თერთმეტმეტრიანი დანიშნა, კულმინაციას მიაღწია. სწორედ მაშინ უმტყუნა სამეულს ნებისყოფამ. მსაჯთან კამათისთვის ფეხბურთელები მკაცრად, ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ. აგერ, უკვე მერვე თვეა, რაც მათ ეროვნული გუნდის მაისურა არ მოურგიათ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სამეულიდან ადგილი ძირითადში მხოლოდ ნუნუ გომეშს აქვს დაჯავშნული, რომლის თამაშმა და მეგოლეობამ ევროპის ჩემპიონატზე მას „ფიორენტინასთან“ სარფიანი კონტრაქტი მოუტანა.



ევრო-2000. პორტუგალია — საფრანგეთი. ავსტრიელმა მსაჯმა გიუნტერ ბენკომ აბელ შავიერს შელაპარაკება ძვირად დაუსვა

პორტუგალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე წარმატებულ სვლას ზემოთ ნახსენები სამეულის გარეშეც ახერხებდა. მათ ჰოლანდიის ეროვნული გუნდი ნიდერლანდებში 2:0 დაამარცხეს. ახლა შვიდი ქულა აქვთ და ჯგუფსაც სათავეში უდგანან. რაღა თქმა უნდა, ბრწყინვალე თავდამსხმელის, ნუნუ გომეშის დაბრუნება გუნდის შეტევებს მეტ სიმწვავეს შესძენს, ხოლო ჯერჯერობით სავარაუდო სათადარიგოების — ნახევარმცველ პაულუ ბენტუს და მცველ აბელ შავიერის გამოცდილება პორტუგალიის ნაკრების სათადარიგოთა სკამს ერთობ საიმედოს გახდის.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# ანჩელოტის არჩევანი

## იტალიელი მწვრთნელის ბედს „იუვენტუსი“ და „ბარსელონა“ ელიან

**ფაბიო კაპელო**, არსენ ვენგერი, ახლა კიდევ კარლო ანჩელოტი — ესპანური „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან გასპარს გემოვნება ნამდვილად არ დაეწუნება.

შეშფოთებულია გასპარი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, მისი პრეზიდენტობის პირველივე წელს „ბარსელონა“ უტიტულოდ დარჩება — სრული კრახი ჩემპიონთა ლიგაში, თერთმეტქულიანი ჩამორჩენა პრიმერადივიზიონში საძულველ მეტოქე მადრიდის „რეალთან“. კატალონიელებს ნუგეშად ესპანეთისა და უეფას თასებიღა შემორჩენია, სადაც ჯერჯერობით წარმატებით გამოდიან, მაგრამ „სამეფო თასი“ ესპანეთშიც არცთუ დიდად ფასობს. მისი მოგებით საკლუბო ალაფს თუ გაიმდიდრებს „ბარსა“, თორემ ნახეთ, კატალონიელებმა ქვეყნის თასი მოიგესო, არავინ იტყვის. ვერც უეფას თასი ფასობს ძველებურად. აგერ „რომამ“ „ლივერპულთან“ ლამის მეორე შემადგენლობა გაიყვანა მინდორზე, რათა წამყვანი ფეხბურთელები სერია A-სთვის შემოენახა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ლორენს სერა ფერერი თუ მოეჭიდება ხავსს და თავს ამ თასების მოგებით (ისე, ჯერ მანამდე დიდი დროა) გაიმართლებს. თუმცა სერა ფერერის საქმე დიდი ხნის გადაწყვეტილია, იგი, ალბათ, მომავალ სეზონშიც „ბარსელონაში“ იმუშავებს, ოღონდ სხვა თანამდებობაზე, სავარაუდოდ, ტექნიკური დირექტორის ადგილს დაიკავებს.





კარლო ანჩელოტი: ოოო, ბარსელონა?!

და ვინ გახდება სერა ფერერის მემკვიდრე? ჯერ კიდევ საკითხავია. ის სამი სახელგანთქმული მწვრთნელი, თავში რომ ვახსენეთ, კანდიდატები არიან. უფრო სწორად, კაპელო და ვენგერი კანდიდატყოფილებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ, რადგან პირველმა „რომასთან“ გააგრძელა კონტრაქტი, მეორემ კი „ბარსას“ „არსენალი“ ამჯობინა.

დარჩა ანჩელოტი. იტალიურ გაზეთებს თუ ვერწმუნებით, ახლახან კატალონიელები „იუვენტუსის“ თავკაცს შეეხმიანნენ და „კამპ ნოუზე“ გადასვლის სანაცვლოდ წლიურ 2 მილიონ დოლარს დაჰპირდნენ, პლუს ნახევარ-ნახევარი მილიონი ჩემპიონთა ლიგის და პრიმერადივიზიონის მოგების შემთხვევაში. ანჩელოტის პასუხი ჯერჯერობით არ უთქვამს, თუმცა ცნობილია, რომ მის ხელშეკრულებას ტურინის „იუვენტუსთან“ 30 ივნისს გასდის ვადა. ტურინელებს მწვრთნელის გაშვება არც მერე სურთ და უკვე ახალი კონტრაქტის თაობაზეც ელაპარაკებიან.

სწორედ ამ დროს გამოყო ფეხი „ბარსელონამ“ და იტალიელი სპეციალისტი თავისთან ორი წლით მიიწვია, ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ორივე მხარე თანახმა იქნება, ანჩელოტი კიდევ ერთი წელი დარჩება გუნდში — ასეთია ესპანელთა პირობები.

საბოლოო სიტყვა ანჩელოტიზეა. იტყვის და საქმეს ბეჭედსაც დაუსვამს.

**განო ოქროპირიძე**




გერმანული ფირმის OTTO

OTTO SCHWAB VERSAND

ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში გთავაზობთ

კატალოგებში წარმოდგენილი ევროპული სტანდარტის საქონლის გამოწერას გერმანიიდან

მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე

www.otto.de

## იტალია

პაპუნა კედია



პაოლო მალდინი და ზინედინ ზიდანი ერთმანეთს ხვალაც გაეჯიბრებიან

# მოდი, ზიზუს ვკითხოთ

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატალანტა | — | ბარი |
| ფიორენტინა | — | ბრეშა |
| **ხვალ** | | |
| იუვენტუსი | — | მილანი |
| ბოლონია | — | ნაპოლი |
| პარმა | — | პერუჯა |
| ლეჩე | — | რეჯინა |
| ვიჩენცა | — | რომა |
| ინტერი | — | უდინეზე |
| ლაციო | — | ვერონა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 19 | 14 | 3 | 2 | 36:14 | 45 |
| იუვენტუსი | 19 | 11 | 6 | 2 | 33:15 | 39 |
| ლაციო | 19 | 11 | 4 | 4 | 34:20 | 37 |
| ატალანტა | 19 | 8 | 7 | 4 | 23:16 | 31 |
| პარმა | 19 | 8 | 5 | 6 | 24:18 | 29 |
| უდინეზე | 19 | 9 | 1 | 9 | 33:31 | 28 |
| მილანი | 19 | 7 | 7 | 5 | 30:29 | 28 |
| ფიორენტინა | 19 | 6 | 8 | 5 | 31:26 | 26 |
| პერუჯა | 19 | 7 | 5 | 7 | 25:23 | 26 |
| ინტერი | 19 | 6 | 7 | 6 | 21:21 | 25 |
| ბოლონია | 19 | 7 | 4 | 8 | 23:25 | 25 |
| ლეჩე | 19 | 5 | 7 | 7 | 23:30 | 22 |
| ბრეშა | 19 | 4 | 8 | 7 | 22:26 | 20 |
| ნაპოლი | 19 | 5 | 5 | 9 | 21:30 | 20 |
| ვიჩენცა | 19 | 5 | 5 | 9 | 20:30 | 20 |
| ვერონა | 19 | 4 | 6 | 9 | 22:33 | 18 |
| რეჯინა | 19 | 4 | 3 | 12 | 14:32 | 15 |
| ბარი | 19 | 3 | 3 | 13 | 16:32 | 12 |

**კახა კალაძეს** იტალიის სერია A მორიგ გამოცდას უწყობს — „ტუტოსპორტში" გამოქვეყნებული ვარაუდის თანახმად, კვირას, იქაური დროით საღამოს ცხრის ნახევარზე, ტურინის „სტადიო დელე ალპიზე" საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს „იუვენტუსის" ვარსკვლავის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ზინედინ ზიდანის მეურვეობა მოუწევს. ვიმეორებთ, ეს „ტუტოსპორტის" ვარაუდია, თორემ სინამდვილეში რას ფიქრობს კახა კალაძის ანუ „მილანის" მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი, ცხადია, არავინ იცის. აქ ერთი ვარიანტია, რომელიც უფრო ლოგიკურად გვეჩვენება: მოგეხსენებათ, წინა ტურში, „ბოლონიასთან", ძაკერონიმ კალაძე ნახევარდაცვის შუაში ათამაშა. თუ ხვალაც იგივე განმეორდება, მაშინ მილანელთა მეცამეტე ნომერს ცხადია, მოედნის იმავე მონაკვეთში მოუწევს სირბილი, სადაც ჩვეულებისამებრ ზიდანი მოქმედებს ხოლმე.

ტურის მთავარი შეხვედრის წინ ჟურნალისტებმა ზიდანს მიაკითხეს. ბუნებრივია მათი ინტერესის საგანს ვარსკვლავის ზოგადი მოსაზრებანი წარმოადგენდა და არა კალაძე, რომელიც ჯერჯერობით არ გახლავთ ამდენად სახელმოხვეჭილი.

„ასეთი შეხვედრების შედეგს ვერავინ იწინასწარმეტყველებს" — განაცხადა ფრანგმა — „ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ „მილანი" ცხრილის თავში არ ტრიალებს. მას დიდებული მოთამაშეები ჰყავს და ნებისმიერ დროს შეუძლია რაღაც მნიშვნელოვნის შექმნა. არ გამოვრიცხავ: რომ მილანელები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჩვენზე მეტად იყვნენ დაღლილნი, რადგან მათ გასული კვირის შუაში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა ჰქონდათ პარიზში, მაგრამ „იუვენტუსთან" თამაშის წინ, ეჭვი არაა, ძალებს უპრობლემოდ მოიკრებენ. და მაინც, თუ ისე ვითამაშებთ როგორც გვეხერხება, ძაკერონის გუნდს ჩვენი დამარცხება ძალიან გაუჭირდება. „იუვენტუსში" თავს ყველა ჩინებულად გრძნობს, რაც, მნიშვნელოვნად, წინა ტურში ალესანდრო დელ პიეროს მიერ „ბარის" კარში გატანილმა საუცხოო გოლმა განაპირობა".

რაც შეეხება „იუვენტუსის" მთავარ კონკურენტ, „რომას", რომელიც ცხრილის სათავეშია და, როგორც ჩანს იქიდან ძვრას ძნელად თუ ვინმე უზამს, მასზე ზიდანმა ასე თქვა:

„ისინი ქულას ქულაზე იმატებენ და მათი ლიდერობაც სამართლიანია, მაგრამ მე არანაირი კამათი და თეორია არ მაინტერესებს. ერთადერთი, რაც მინდა, ყოველი მატჩის მოგება და ჩემპიონობაა".

უეჭველად იგივე მიზანი აქვთ რომაელებსაც, რომლებიც „იუვენტუსს" 6 ქულით უსწრებენ და კვირას ვიჩენცაში თამაშობენ. „ვიჩენცა" მე-15 ადგილზეა ანუ ბოლოდან მეოთხეზე, რაც მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ დიდი დროა, ძალიან უსიამოვნოა — საბოლოოდ ამ პოზიციაზე გასული გუნდი მომავალ სეზონს სერია B-ში დაიწყებს. მართალია, „ვიჩენცას" ტოლად 20 ქულა აქვთ „ნაპოლისა" და „ვერონასაც", მაგრამ ვიჩენცელთათვის ეს ვერაფერი ნუგეშია, ასე რომ, „რომას" სერიოზული ბრძოლა ელის.

ახლა შევეცადოთ ამ მატჩის წინ რომაელთა განწყობაც წარმოვიდგინოთ. ხუთშაბათს ისინი უეფას თასის გათამაშებას გამოეთიშნენ. შინ „ლივერპულთან" წაგებულ 0:2-ს, იქ, „ენფილდ როუდზე" ვერაფერი მოუხერხეს, მხოლოდ 1:0 მოიგეს და თან გული დაწყვიტათ ფრიად უჩვეულო გარემოებამ. ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯმა მათ სასარგებლოდ პენალტი ჯერ დანიშნა, მერე კი გადათქვა. ასე მოხდა თუ ისე, ამბიციურ გუნდს, წესით, წარუმატებლობიდან სამ დღეში თავმოყვარეობის აღდგენა უნდა სწყუროდეს, ჩემპიონატის ცხრილსა და ქულათა ანგარიშს სულ რომ თავი დავანებოთ.

სკუდეტოსთვის ბრძოლაში ნუ დავივიწყებთ „ლაციოსაც". რომის ეს გუნდი, მართალია, „რომას" „იუვენტუსზე" მეტით, 8 ქულით ჩამორჩება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილს ამიერიდან ძალ-ღონის მოკრება ერთ შეჯიბრებაშიღა მოუწევს. ხვალ „ლაციო" „ვერონას" მასპინძლობს. „ვერონას", როგორც ზევით მოგახსენეთ, „ვიჩენცასა" და „ნაპოლის" მსგავსად 20 ქულა აქვს.

## ინგლისი

გიგა კობახიძე

# სანამ არ ჩამომკიდებენ...

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბრედფორდი | — | ვესტ ჰემი |
| ქოვენთრი | — | ჩარლტონი |
| დერბი ქაუნთი | — | ასტონ ვილა |
| იფსვიჩი | — | ევერტონი |
| ლესტერი | — | სანდერლენდი |
| ლივერპული | — | ჩელსი |
| მიდლსბრო | — | საუთჰემპტონი |
| ნიუკასლი | — | სიტი |
| ტოტენჰემი | — | ლიდსი |
| **ხვალ** | | |
| მანჩესტერ იუნ. | — | არსენალი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 27 | 19 | 6 | 2 | 59:17 | 63 |
| არსენალი | 27 | 14 | 8 | 5 | 43:23 | 50 |
| ლივერპული | 26 | 13 | 6 | 7 | 47:28 | 45 |
| სანდერლენდი | 27 | 12 | 8 | 7 | 32:25 | 44 |
| ლიდსი | 27 | 11 | 7 | 9 | 39:35 | 40 |
| იფსვიჩი | 26 | 12 | 4 | 10 | 37:33 | 40 |
| ჩარლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 36:38 | 40 |
| ლესტერი | 26 | 11 | 6 | 9 | 27:29 | 39 |
| ჩელსი | 26 | 10 | 8 | 8 | 48:33 | 38 |
| ნიუკასლი | 26 | 11 | 4 | 11 | 32:37 | 37 |
| ტოტენჰემი | 27 | 9 | 9 | 9 | 31:34 | 36 |
| საუთჰემპტონი | 26 | 9 | 8 | 9 | 31:34 | 35 |
| ასტონ ვილა | 25 | 8 | 9 | 8 | 28:27 | 33 |
| ვესტ ჰემი | 26 | 7 | 11 | 8 | 33:31 | 32 |
| ევერტონი | 27 | 8 | 7 | 12 | 30:40 | 31 |
| დერბი ქაუნთი | 27 | 6 | 10 | 11 | 27:43 | 28 |
| მიდლსბრო | 27 | 5 | 12 | 10 | 31:34 | 27 |
| სიტი | 27 | 5 | 8 | 14 | 30:46 | 23 |
| ქოვენთრი | 27 | 5 | 7 | 15 | 24:46 | 22 |
| ბრედფორდი | 26 | 3 | 7 | 16 | 16:48 | 16 |

**ბოლო** შანსი „არსენალს" — ხვალ მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" ლონდონელ მეთოფეებს 13-ქულიანი ჩამორჩენის შემცირება სურთ. თუ სტუმრებმა ვერ იმარჯვეს, ინგლისურ ტოტალიზატორებში „იუნაიტედის" ჩემპიონობაზე ფსონების მიღებას საერთოდ შეწყვეტენ. არადა, მანჩესტერელთა კაპიტანი როი კინი ამბობს, სანამ მედალს არ ჩამომკიდებენ, მანამ არ ვიტყვი, ჩემპიონი ვარ-თქო.

ორივე გუნდი ერთნაირ განწყობაზე ხვდება გადამწყვეტ თამაშს: შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩებს ორივე თითქოს წარმატებით ამთავრებდა, მაგრამ აქეთ უესლი ბრაუნმა დააბრუნა ჯგუფში ცალი ფეხით მეოთხედფინალში გასული „იუნაიტედი", იქით კი ლიონელმა ედმილსონმა



პირველი წრის „არსენალი" — „მანჩესტერი". ტიერი ანრიმ თანამემამულე ბარტეზს ისეთი გაუტანა, ამას არც სწყენია

ჩაყარა ვენგერის გუნდის ნაჯაფი წყალში. რაც შეეხება შინაურ სარბიელს, ამათი ბოლოდროინდელი შედეგები აქაც ერთმანეთისას წააგავს — მაქსიმუმი შედეგი ძალების მაქსიმალური დაზოგვით. თავად განსაჯეთ: ალექს ფერგიუსონის გუნდმა ბოლო 9 პრემიერლიგურ შეხვედრაში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა, ლონდონელებმა კი ბოლო ათი მატჩიდან (ყველა შეჯიბრში) შვიდი მოიგეს, ლიგაში კი 4 შეხვედრა ისე ჩაატარეს, დევიდ სიმენის ზურგსუკან ბადე არ შერხეულა.

რაც შეეხება დანაკლისს, აქაც ორივე ლიდერის მდგომარეობა ანალოგიურია — მხოლოდ თითო-თითო დაშავებული: მასპინძლებს „ვალენსიასთან" კუნთატკივებული რაიან გიგზი არ ეყოლებათ, სტუმრებს კი ზურგის ტრავმით გატანჯული ტონი ადამსი. და კიდევ, საინტერესოა, დააბრუნებს თუ არა არსენ ვენგერი ძირითად შემადგენლობაში ნიგერიელ ნვანკვო კანუს, ვინც ბოლო დროს სათადარიგოთა სკამზე ჯდომით აღშფოთდა და გუნდიდან წასვლით დაიმუქრა.

ამ გუნდების შეხვედრა პირველ წრეში, ალბათ გახსოვთ, „არსენალმა" ფრანგი ტიერი ანრის ულამაზესი გოლის წყალობით მოიგო. „მახსოვს ის ჩინებული დარტყმა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ კვირას ანრი იგივეს ველარ გაიმეორებს. ბოლო დროს ლონდონელები შესამჩნევად დაიღალნენ" — ამბობს მისი თანამემამულე, იუნაიტედელი მცველი მიკაელ სილვესტრი.

ხვალვე ინგლისური სეზონის კიდევ ერთი გამორჩეული მატჩია, ოღონდ მას პრემიერლიგასთან საერთო არაფერი აქვს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ინგლისში არც ტარდება. საუბარია ლიგის თასის ფინალზე, რომელიც „უემბლის" რეკონსტრუქციის გამო უელსის დედაქალაქ კარდიფის „მილენიუმზე" შედგება. „რომასთან" გამარჯვებული „ლივერპული", ბოლო დღეების ქანცგამწყვეტი ბრძოლების მიუხედავად, მაინც ფავორიტად ითვლება, ვინაიდან მისი მეტოქე პირველდივიზიონელი „ბირმინგემ სიტია".

სანამ მერსისაიდელები სეზონის პირველი ჯილდოს მოგებას ეცდებიან, მათი უპირველესი მდევარი და მომავალ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის მოსურნე „სანდერლენდი" ლესტერს სტუმრობს. იქაური „სიტი" მომხვდურს კბილალესილი ელის, ვინაიდან ბოლო შვიდ თამაშში ხუთჯერ წააგო და ევროსაგზურისთვის ბრძოლაში პოზიციები დათმო. ლესტერელთა მწვრთნელ პიტერ ტეილორს გუნდში ყველა ჯანმრთელად ჰყავს, აი, სტუმრებს კი დისკვალიფიკაციების გამო არ ეყოლებათ კაპიტანი მაიკლ გრეი, სქოთი ნახევარმცველი დონ ჰაჩისონი, ალექს რაე და მთავარი მეგოლე კევინ ფილიპსი (ვილა დარჩა?).

როგორც ნიუკასლში იმედოვნებენ, მათ საყვარელ „იუნაიტედს" დღეს ტრავმამოშუშებული ალან შირერი დაუბრუნდება, რაც „მანჩესტერ სიტისთვის" არცთუ სახეირო ცნობაა.

ქინქლაძის ყოფილი გუნდისა არ იყოს, კარგ დღეში არც მისი ახლანდელი „დერბია". ქართველი ნახევარმცველი კვლავ ვერ თამაშობს, „ასტონ ვილასთან" კი ჯიმ სმიტს არც მალკოლმ კრისტი ეყოლება და არც არგენტინელი მცველი კარბონარი, თუმცა ამის მიუხედავად, „ცხვრები" პირველ წრეში განცდილი 1:4-სთვის რევანშის აღებას მაინც შეეცდებიან.

| ლიგის თასის ფინალი | | |
|---|---|---|
| **ხვალ** | | |
| ბირმინგემ სიტი (I) | — | ლივერპული |

**გზა ფინალამდე**

**ბირმინგემ სიტი**

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | საუთენდი | 0:0, 5:0 |
| II ეტაპი | უიკომბი | 1:0, 4:3 |
| მეთექვსმეტედფინალი | ტოტენჰემი | 3:1 |
| მერვედფინალი | ნიუკასლი | 2:1 |
| მეოთხედფინალი | შეფილდ უენსდი | 2:0 |
| ნახევარფინალი | იფსვიჩი | 0:1, 4:1დ.დ. |

*მეგოლეები: დელე ადებოლა (5), ჯეფ ჰორსფილდი (4), ენდრიუ ჯონსონი (3), მაიკლ ჯონსონი (2), ნიკი იდენი (1), მარსელო (1), ბრაიან ჰიუზი (1), პიტერ ნდლოვუ (1), მარკ ბერჩილი (1), დენი სონერი (1), მარტინ გრაინერი (1)*

**ლივერპული**

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | გამოტოვა | |
| II ეტაპი | გამოტოვა | |
| მეთექვსმეტედფინალი | ჩელსი | 2:1დ.დ. |
| მერვედფინალი | სტოკ სიტი | 8:0 |
| მეოთხედფინალი | ფულემი | 3:0დ.დ. |
| ნახევარფინალი | კრისტალ პალასი | 1:2, 5:0 |

*მეგოლეები: რობი ფაულერი (5), დენი მერფი (4), ვლადიმირ შმიცერი (4), კრისტიან ციგე (1), მარკუს ბაბელი (1), სემი ჰიიპია (1), მაიკლ ოუენი (1), ნიკ ბარმბი (1), იგორ ბისკანი (1)*

## გერმანია

ვანო ოქროპირიძე

# კმარა ცეკვა თამაში... რომელ ბაიერნს ნახავს არჩილ არველაძე?

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბაიერნი | — | კიოლნი |
| აინტრახტი | — | ვერდერი |
| ფრაიბურგი | — | მიუნხენ 1860 |
| ჰამბურგი | — | ვოლფსბურგი |
| ჰერტა | — | უნტერჰახინგი |
| შალკე | — | დორტმუნდი |
| ხვალ | | |
| ბოხუმი | — | შტუტგარტი |
| კაიზერსლაუტერნი | — | ჰანზა |
| გუშინ | | |
| ლევერკუზენი | — | კოტბუსი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 13 | 3 | 6 | 44:24 | 42 |
| შალკე | 22 | 12 | 4 | 6 | 43:25 | 40 |
| ლევერკუზენი | 22 | 12 | 4 | 6 | 39:25 | 40 |
| დორტმუნდი | 22 | 12 | 4 | 6 | 35:28 | 40 |
| ჰერტა | 22 | 12 | 1 | 9 | 44:39 | 37 |
| ლაუტერნი | 22 | 11 | 4 | 7 | 32:29 | 37 |
| ფრაიბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 30:21 | 34 |
| ვოლფსბურგი | 22 | 8 | 8 | 6 | 40:28 | 32 |
| ვერდერი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:31 | 31 |
| კიოლნი | 22 | 8 | 5 | 9 | 39:36 | 29 |
| მიუნხენი | 22 | 7 | 7 | 8 | 27:37 | 28 |
| აინტრახტი | 22 | 8 | 3 | 11 | 28:38 | 27 |
| ჰანზა | 22 | 7 | 4 | 11 | 21:34 | 25 |
| ჰამბურგი | 22 | 7 | 3 | 12 | 42:43 | 24 |
| უნტერჰახინგი | 22 | 6 | 6 | 10 | 21:35 | 24 |
| კოტბუსი | 22 | 7 | 2 | 13 | 26:38 | 23 |
| შტუტგარტი | 22 | 5 | 6 | 11 | 31:37 | 21 |
| ბოხუმი | 22 | 5 | 4 | 13 | 19:43 | 19 |

**დღეს** ბუნდესლიგაში გამორჩეული მატჩია — გელზენკირხენში ჩემპიონობის მაძიებლები ხვდებიან — მეორეადგილოსანი „შალკე“ მეოთხე საფეხურზე მყოფ „დორტმუნდს“ მასპინძლობს. დღემდე ორივე გუნდს 40 ქულა მოუგროვებია და ლიდერ „ბაიერნს“ ორი ქულით ჩამორჩება.

„ცხრილში ერთი ჩახედვაც კმარა, რომ გაიგო ამ მატჩის მნიშვნელობა. ჩემპიონობისთვის ისეთი დაძაბული ბრძოლაა, წაფორხილების უფლება არა გვაქვს. წინა ტურში ბრემენში 1:2 მარცხიც გვეყოფა“ — ამბობს „შალკეს“ ვეტერანი ანდრეას მიოლერი, რომელიც გასულ ზაფხულამდე სწორედ „დორტმუნდის“ ლიდერი გახლდათ.

„შალკე“ დღეს ქომაგებს ლამაზ თამაშს და სამ ქულას ჰპირდება. „ჩემპიონობა თუ გვინდა, მაშინ კონკურენტები უნდა დავამარცხოთ“ — მასპინძელთა თავკაცი ჰუუბ სტევენსი შეგირდებს აგულიანებს.

მათიას ზამერის გუნდიც დარაზმულია. „დორტმუნდს“ საკმარისზე მეტი მოტივაცია აქვს, რათა მოსაგებად გავიდეს მინდორზე — წლეულს ეს გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორჯერვე „შალკემ“ იძალა. პირველ წრეში გელზენკირხენელებმა სტუმრად 4:0 გაანადგურეს მეტოქე, ქვეყნის თასზე კი 2:1 მოუგეს და გათამაშებას გამოთიშეს. ზამერი შეგირდებს საამმატჩოდ საგანგებოდ ამზადებს — სამშაბათს დორტმუნდელებმა საკონტროლო შეხვედრაც კი ჩაატარეს რეგიონალლიგელ „როტ-ვაისთან“ და 0:2 წააგეს, რაც ვესტფალენელთა ექსპერიმენტებით აიხსნება.

„ერთ გუნდთან სეზონში სამი მარცხი მეტისმეტი იქნება, თავს უნდა ვაჯობოთ და მოვიგოთ“ — ამბობს ფრედი ბობიჩი, „ბორუსიას“ მთავარი მეგოლე.

ზამერსა და სტევენსს თამაშამდე პრობლემები მოსძალებიათ. მასპინძლებს ვან ვერკჰოვენი, ტონი, ვალდოხი, კამპუისი, ჰელდი და ლეგატი არ ეყოლებათ, ექვსივე ტრავმირებულია. სტუმრები იმავე მიზეზით როიტერს მოისაკლისებენ, ადლო კი განის ნაკრებშია მიწვეული და ამ მიზეზით დააკლდება თავისიანებს.

გერმანელებმა ბოლო ერთ კვირაში ორი მიუნხენის „ბაიერნი“ იხილეს. ერთი — გასულ შაბათს, უნტერჰახინგში, შერცხვენილი და დაუძლურებული, მეორეკი ოთხშაბათს, მოსკოვში, მრისხანე და თავაწეული. საკითხავია, რომელი „ბაიერნი“ დაუპირისპირდება დღეს მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ არჩილ არველაძის „კიოლნს“.

კიოლნელებს ახლა ჩავარდნა აქვთ, არც ერთი ქულა ბოლო სამ მატჩში — ასეთია გუნდის შედეგი. მწვრთნელმა ევალდ ლინენმა მდგომარეობის გამოსასწორებლად დისციპლინის გამკაცრება გადაწყვიტა და ფეხბურთელები გააფრთხილა, თუ ვინმე დროსტარებაში შეგნიშნეთ, ჩათვალეთ, თავისუფლები ხართ გუნდიდანო. რას მოუტანს ეს ნაბიჯი მეათე ადგილზე მყოფ გუნდს, ამ საღამოს გამოჩნდება. „სათადარიგოთა სკამზე რამდენიმე კარგი ფეხბურთელი მეგულება, წაგების შემთხვევაში ძირითადშიც მათ დავაყენებ“ — იმუქრება ლინენი.

ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია და ამიტომაც გვგონია, რომ დღეს „ბაიერნი“ მორიგ ქულებს ჩაიწერს და ლიდერობას შეინარჩუნებს. ისე, შესაძლოა ბავარიელებს პირველი ადგილი დასაბრუნებელი ჰქონდეთ, რადგან ტური გუშინ „ლევერკუზენი“ — „კოტბუსის“ მატჩით გაიხსნა და მასპინძლები მოგების შემთხვევაში ცხრილს სათავეში მოექცეოდნენ.

პირველ წრეში „ფრაიბურგი“ მე-5 ადგილზე იყო, როცა „მიუნხენ 1860“-ს ეწვია და 1:3 დამარცხდა. იმ მატჩით ფრაიბურგელთა წარუმატებელი სერია დაიწყო, რომელმაც ფოლკერ ფინკეს გუნდი ერთი ხანობა გასავარდნ ზონაშიც დააქვეითა. დაცემას აღზევება მოჰყვა და ახლა იაშვილის, კობიაშვილის, ცქიტიშვილისა და კიკნაძის გუნდი უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის. თანაც „ფრაიბურგი“ აგერ უკვე ათი მატჩია, წაუგებელია, ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ გუნდის მეკარე რიხარდ გოლცს ბოლო ხუთი მატჩია, ბურთი არ გაუშვია.

ახალგაზრდული გუნდი მყავს, რომელსაც სტაბილურობა აკლიაო, განუცხადა გუშინწინ ფინკემ „კიკერს“, თუმცა როცა ჟურნალისტმა გაიკვირვა, ათი მატჩია, არ დამარცხებულხართ და საწუწუნო რა გაქვთო, უპასუხა, ეგ ჩვენი სტაბილურობის მხოლოდ პირველი ნიშანიაო.

„ფრაიბურგი“, ალბათ, ორი ქართველით დაიწყებს თამაშს. ტრავმირებული იაშვილის არყოფნაში თავდასხმის ხაზს კობიაშვილ-ცქიტიშვილი უკნიდან წაეშველებიან. იაშვილის გარდა მასპინძლებს კონდე, ბაია და კულიბალი არ ეყოლებათ. ვერც სტუმრები ჩავლენ სრული შემადგენლობით. არ იქნებიან რისეტი, კურცი, ტაპალოვიჩი, მიუკლანდი, აგოსტინო და ვინკლერი.

„ფრაიბურგის“ კონკურენტები უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში „ჰერტა“ და „კაიზერსლაუტერნი“ არიან. ამ ტურში ორივე შინ თამაშობს, თან ისეთ მეტოქეებთან, რომ სამი ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეთ. ბერლინელები „უნტერჰახინგს“ იღებენ, „ლაუტერნი“ კი „ჰანზას“ დაუხვდება.

შაბათს შურისძიებისთვის გავალთ მინდორზე, პირველ წრეში 2:5 მარცხისთვის რევანში უნდა ავიღოთ“ — „ჰერტას“ კაპიტან მიხაელ პრეეცის ნათქვამიდან ჩანს, რომ ბერლინელებს გასულ შემოდგომაზე „ბრიყვული წყენა“ ჯერაც არ დავიწყებიათ.

„კაიზერსლაუტერნის“ სახვალეო თამაშს კი, შესაძლოა, ხუთშაბათს პრაღის „სლავიასთან“ უეფას თასის საპასუხო მერვედფინალურმა მატჩმაც დაასვას დაღი.

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# ვისი არგენტინელი სჯობს?

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| დეპორტივო | — | რეალი |
| ხვალ | | |
| ალავესი | — | სელტა |
| ოვიედო | — | ოსასუნა |
| ვალიადოლიდი | — | სარაგოსა |
| ვალენსია | — | ვილიარეალი |
| მალაგა | — | ლას პალმასი |
| ბილბაო | — | ნუმანსია |
| რასინგი | — | მალიორკა |
| ბარსელონა | — | სოსიედადი |
| რაიო ვალეკანო | — | ესპანიოლი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 23 | 16 | 3 | 4 | 52:25 | 51 |
| დეპორტივო | 23 | 14 | 5 | 4 | 45:24 | 47 |
| ვალენსია | 23 | 12 | 6 | 5 | 36:16 | 42 |
| ბარსელონა | 23 | 12 | 4 | 7 | 48:34 | 40 |
| ვილიარეალი | 23 | 11 | 5 | 7 | 31:24 | 38 |
| მალიორკა | 23 | 10 | 8 | 5 | 32:29 | 38 |
| რაიო ვალეკანო | 23 | 8 | 9 | 6 | 42:37 | 33 |
| ალავესი | 23 | 10 | 3 | 10 | 32:29 | 33 |
| ლას პალმასი | 23 | 9 | 4 | 10 | 24:39 | 31 |
| სარაგოსა | 23 | 7 | 9 | 7 | 35:32 | 30 |
| ესპანიოლი | 23 | 9 | 3 | 11 | 30:27 | 30 |
| ბილბაო | 23 | 8 | 6 | 9 | 30:35 | 30 |
| ვალიადოლიდი | 23 | 6 | 11 | 6 | 26:27 | 29 |
| მალაგა | 23 | 8 | 4 | 11 | 35:37 | 28 |
| სელტა | 23 | 7 | 7 | 9 | 27:33 | 28 |
| ოვიედო | 23 | 8 | 3 | 12 | 29:42 | 27 |
| ნუმანსია | 23 | 6 | 5 | 12 | 23:38 | 23 |
| სოსიედადი | 23 | 5 | 6 | 12 | 26:47 | 21 |
| რასინგი | 23 | 4 | 5 | 14 | 26:40 | 17 |
| ოსასუნა | 23 | 3 | 8 | 12 | 22:36 | 17 |

**გასულ** უქმეებზე „დეპორტივომ“ პირველად მოიგო „კამპ ნოუზე“. შუა კვირაში მან მოზრდილი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისკენ. დღეს „სუპერდეპორმა“ პრიმერადივიზიონში პირველობის დასაბრუნებლად უდიდესი შრომა უნდა გასწიოს. მართალია, ამ ტურში ლიდერის შეცვლა ვერ მოხერხდება, მაგრამ „რეალთან“ სხვაობის ქულამდე შემცირება ძალიან ბევრს ნიშნავს.

გალისიელთა მწვრთნელი ხავიერ ირურეტა „რეალთან“ გაჯიბრებისას იგივეს ამბობს, რასაც ყოველი საშინაო მატჩის წინ — „რიასორის“ ატმოსფერო ყველა მეტოქეს თრგუნავს, რაც ჩვენ საქმეს ერთიორად გვიიოლებსო. მართლაც, ამ სეზონში პრიმერადივიზიონელთაგან ლა კორუნიაში გამარჯვება ვერავინ მოახერხა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ასეთი მხოლოდ „მილანია“. მაგრამ აქ ერთი კითხვაც უნდა დავსვათ — „რეალი“ ხომ ყველა არაა, მით უფრო, რომ ის საუკეთესო ფორმაშია. თუმცა აქ ისიც შეიძლება ითქვას, რომ „სამეფო კლუბს“ „რიასორზე“ ბოლო ცხრა სეზონია, არ მოუგია. ეს, რა თქმა უნდა, ყურადსაღები ფაქტია, მაგრამ, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ რაკი აქამდე ვერ იგებდა, ახლაც ვერ მოიგებს. აკი „დეპორტივოსაც“ არასდროს მოეგო ბარსელონაში.

„რეალის“ ძალას ირურეტაც აღიარებს: „ურთულესი თამაში გველის. ის, რომ „რეალი“ დივიზიონის ლიდერია და ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად ითვლება, ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარი ისაა, რომ მადრიდელები ახლა ბრწყინვალე ფორმაში არიან“.

გალისიელებს შემადგენლობაში პრობლემები არა აქვთ. როი მაკაიმ სრულიად მოირჩინა ტრავმა, ხოლო ოდინდელმა რეალელმა, ნახევვარმცველმა ვიქტორმა „ბარსელონას“ და „გალათასარაის“ სამი გოლი გაუტანა, რაც მის სრულ მზადყოფნაზე მეტყველებს. პრობლემად შეგვეძლო მიგვეჩნია ხოსე მოლინას ტრავმა, რომელიც ესპანეთის ნაკრების მეკარემ ერთი კვირის წინ პატრიკ კლუივერტთან შეჯახებისას მიიღო, მაგრამ თავად მწვრთნელს ეს ნაკლებად აწუხებს, ჟაკ სონგო ისე კარგად თამაშობს, მოლინას არყოფნა არ იგრძნობაო.

არც „რეალია“ ტრავმირებულებით სავსე. სტივ მაკმანამანი და ფერნანდო მორიენტესი მომჯობინებულან და, მოლინასი არ იყოს, არც კლოდ მაკელელეს დისკვალიფიკაციაა მადრიდელთათვის დიდი დანაკლისი — სანტიაგო სოლარიმ „ლაციოსთან“ ჩინებულად ითამაშა.

საერთოდ ხომ ძალიან ძნელია, ფეხბურთში რაიმეს წინასწარ განსაზღვრა და „ბარსელონაზე“ თუა ლაპარაკი, მით უმეტეს, ყოველგვარი პროგნოზისგან თავი უნდა შეიკავო. აბა, რა უნდა ვთქვათ გუნდზე, რომელიც ჯერ 7:0 იგებს, მერე 0:4 აგებს და ისევ დიდი ანგარიშით — 5:0 ამარცხებს მეტოქეს? და ეს სამკვირიან შუალედში. ამიტომ, ასე ვთქვათ, „ბარსა“ „სოსიედადზე“ ბევრად ძლიერია, ლუის ენრიკემ მთლად თავი გაიგიჟა და ხუთ თამაშში რვა გოლი გაიტანა, მაგრამ...



პირველი წრის მადრიდულ მატჩში ფერნანდო იერომ ლაკორუნიელებს თავით გაუტანა

„ვალენსიამ“ წინა ტურის მერე გადაუსწრო „ბარსელონას“ და ახლა პოზიციის განმტკიცებაზე უწევს ზრუნვა — უფრო მაღლა ექტორ რაულ კუპერის გუნდი ჯერჯერობით ვერ წაიწევს, „ვილიარეალს“ კი ოთხეულში თავის ამოყოფა განუზრახავს.

კუპერი თამაშის აგებას იმგვარად აპირებს, რომ ყმაწვილ პაბლო აიმარს თანაგუნდელებმა საგოლე პასი მისცენ. ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ არგენტინელი „ვალენსიას“ იერიშებს უფრო ამწვავებს, მაგრამ „ვილიარეალსაც“ რომ ჰყავს თავისი არგენტინელი? და ისიც საკითხავია, ვინ უკეთესია — აიმარი თუ მარტინ პალერმო, რომელმაც წინა ტურში მის თანაგუნდელთა გატანილ ორივე გოლში გვარიანი წილი დაიდო.

„ოვიედო“ შინ მხოლოდ „ბარსელონამ“ დაამარცხა, სხვებს კი თავად უგებს. გასულ უქმეებზე სარაგოსაში განადგურებულები ახლა „ოსასუნას“ მასპინძლობენ, რომლის ადგილიც გათამაშების ცხრილის ფსკერზეა. ჰოდა, „ოვიედო“ შინ ასე კარგად რომ თამაშობს, რაღა ახლა უნდა წაიფორხილოს?

გასაოცარი იქნება, „ნუმანსიამ“ ზედიზედ მეორე თამაში რომ მოიგოს. მით უფრო, რომ ბილბაოელები შინ ძნელად თუ თმობენ რამეს. ისე, „ატლეტიკს“ ბასკურივე „სოსიედადისთვისაც“ შეუძლია კარგი საქმის გაკეთება — სორიელები ხომ ცხრილში სანსებასტიანელთა უშუალო მეზობლები არიან.

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ეს ამბავი ნაღდია, „ფ.კ. მაგრების" ექიმმა ალო მასხარაშვილმა მიამბო. სახელი ალო ნუ გაგიკვირდებათ, ტელეფონთან კავშირი არ აქვს, უბრალოდ ბ-ნ-მა მასხარაშვილმა ბავშვობაშივე ითაკილა მშობლების დარქმეული ალმასხანი და სხვა შემოკლება რომ ვერ მოიფიქრა, ალო დაირქვა. ამან, მართალია, გარკვეული უხერხულობა შეუქმნა, რადგან მეგობრები კარგა ხანს ბზზზზ-ს და ტუ-ტუ-ტუ-ს ეძახდნენ, რაც გულში სწყინდა, მაგრამ როდესაც ცხოვრებაში გზა გაიკაფა, საფეხბურთო გუნდის ექიმი გახდა და თავად ენგელბერტ პონტელავა გაიცნო, რომელიც, ერთხელ, შინაც დაპატიჟა, მისი ბზზზზ-ობა აღარავის გახსენებია.

აქამდე ყველაფერი იმიტომ მოვყევით, რომ იმაში, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, ეჭვი არ შეგპარვოდათ, ახლა კი თავად ბ-ნი ალოს მონათხრობს გადმოგცემთ.

„ფ.კ. მაგრებს" დრუბილოვკაში, დობრინოვკაში თუ დრულოვებანიში ჰქონია (ქალაქის ზუსტ სახელწოდებას და ქვეყანას ბ-ნი ალო ვერ იხსენებს) ამხანაგური მატჩი იქაურ გუნდთან. „მაგრები" სეზონისთვის ემზადებოდნენ. თამაში პატარა სტადიონზე, სადღაც გარეუბანში ჩატარებულა, ბ-ნი ალოს თქმით პუტანკებიანი ქუჩა რომ მთავრდება იქ. „მაგრებს" 3:2 თუ 3:4 მოუგიათ. იქაურ გუნდს ორი გოლი ოფსაიდიდან გაუტანია — მსაჯიც იქაური ყოფილა — ჩვენთვის ორი პენალტი არ მოუციათ და მაინც ძალიან კარგად გვითამაშია. ტრიბუნაზე, თურმე, ცოტა ხალხი იჯდა, სტადიონის ორი მუშა, მსუქანი მენაყინე ქალი და ვიღაც ხუჭუჭა.

ხუჭუჭს ერთხელ, რაღაცაზე, ხმის ამოუღებლად ხელები გაუშლია, რაც ენგო პონტელავას შეუნიშნავს და ალოსთვის უთქვამს, ეს კაზიოლი გაჩერდეს, თორემ მაგის ძვლებს დავთელავო.

საღამოს ენგო პონტელავა, ალო და გურამა ტოროშილაძე ქალაქის დასათვალიერებლად რესტორანში წასულან და რას ხედავენ, გვერდით მაგიდასთან ის ხუჭუჭა მარტო ზის. ენგო კარგ ხასიათზე ყოფილა და ხუჭუჭისთვის ერთი დიდი კათხა „ჰეინეკენი" გაუგზავნია — საჭმელს მიაყოლებს, ყელში გადაუვაო. ხუჭუჭმა გაუღიმა და თავი დაუკრა. გავიდა ნახევარი საათი, ენგო, ალო და გურამა ტოროშილაძე კომუნისტების დროს და მოსკოვს იხსენებდნენ, ხუჭუჭისკენ აღარც გაუხედავთ. უცბათ, ის წამოდგა, ეტყობა ჭამას მორჩა, ჩვენს სამეულს ისევ დაუკრა თავი და გასასვლელისკენ დაიძრა.

— ეი, ბრატ — თითები გაანკაპუნა ენგომ და მობრუნებული ხუჭუჭა ხელით მოიხმო, ხოლო როცა ის მიუახლოვდა, მისი ყოფილი სკამი გვერდით მაგიდიდან მოატრიალა და იგივე ხელი დაჰკრა, ჩამოჯექიო. ხუჭუჭა ჩამოჯდა.

— პანრავილას იგრა? — ჰკითხა ენგომ.

— სორი? — უპასუხა ხუჭუჭმა ცუდი ინგლისური აქცენტით.

ალომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ენგოს კითხვა გაიმეორა, ოღონდ სიტყვა იგრა სიტყვით ფუტბოლ შეცვალა და ცერა თითი აღმართა, მოწვეულს შინაარსი კარგად რომ გაეგო.

— ვერი გუდ — ძალიან კეთილად გამოეხმაურა ხუჭუჭა, რომელიც კითხვას აშკარად მიხვდა. და, ალბათ, უფრო ეს უხაროდა.

— ონ ტრენერ — გურამა ტოროშილაძემ თითი ენგოსკენ გაიშვირა და მრავალმნიშვნელოვნად დასძინა — პონტელავა.

ხუჭუჭმა კიდევ უფრო კეთილად გაიღიმა და რაღაც ისეთი თქვა, თან ისეთი ჟესტიკულაცია დააყოლა, მხოლოდ საზღვარგარეთელებმა რომ იციან და აზრს რომ ვერ გამოიტან.

— ხარაშო — ენგომ იმპერატიულად აწია ხელი. ამით ვერ შემდგარი საუბარი უნდა დამთავრებულიყო. საუბარი, რომელმაც ტრიოს მოსკოვის მოგონება შეაწყვეტინა. ხუჭუჭამ ისევ გაიღიმა, წამოდგა და დარბაზიდან გავიდა.

ორი კვირის შემდეგ თბილისურმა სპორტულმა გაზეთებმა მეშვიდე-მერვე გვერდებზე წვრილი ასოებით გამოაქვეყნეს არაფრისმთქმელი ცნობა, რომ იტალიურმა „რომამ" ჩეხური ოლომოუცის „სიგმიდან" გადაიბირა ნახევარმცველი პაველ დრუბკა, რომელზეც რომაელთა მწვრთნელი ფაბიო კაპელო დიდ იმედებს ამყარებს...

**ბაჩუნა ძიძია**

**ავტორის ხელთ არსებული ინფორმაციით საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა ფულოვანი ვარიანტი. წინააღმდეგ ოპოზიციიდანაც კი არავინ წასულა.**



მე ის კაცი ვარ, ხუჭუჭა...

# რივალდო: მტკივა!

## მძიმე ბავშვობა: საუკეთესო სკოლა მწერლებისა და ფეხბურთელებისთვის

### ოქროს გულმა ოქროს ბურთი მთელ ბარსელონას გაუყო

**როგორ** გავხდეთ ვარსკვლავი? ამის მზა რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ ვარსკვლავები ერთმანეთს ჰგვანან, მით უფრო, ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელები. მათი უმრავლესობა განდიდების მანიითაა შეპყრობილი და უზომოდ ჭირვეულია.

რივალდოსთან საუბარი კი ჭირს, თუმცა სულ სხვა მიზეზით. ის საოცრად მორიდებულია. სანამ რამეს იტყვის, თითოეულ სიტყვაზე ფიქრობს. ჰო, ერთიცაა, პორტუგალიურ-ესპანურის საშინელი ნარევით ლაპარაკობს. ამ დროს მოსაუბრეს თითქოს თვალებით ეკითხება: გაიგე? არადა, რივალდო, 1999 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი თითქოს სხვანაირი უნდა იყოს...

*— კარგი მეხსიერება მაქვს. ჯერ კიდევ 8-10 წლის წინ ჩემი აყვანა არც ერთ გუნდს არ უნდოდა, უბრალოდ, თავიდან მიცილებდნენ. წარმოიდგინეთ, პერნამბუკოს შტატის ქალაქ რესიფეში, სადაც მე დავიბადე, ახალგაზრდულ შემადგენლობაშიც არ ვუნდოდით, არადა, „რესიფე" ძალიან სუსტი გუნდი იყო.*

თუ დაკვირვებიხართ, რივალდოს ძალიან ნაღვლიანი გამოხედვა აქვს. ეს უიღბლო ბიჭის გამოხედვაა, რომელსაც ცხოვრებამ ბევრი ტკივილი მიაყენა. ბავშვობის ყველაზე ნათელი მოგონება მისთვის მამა იყო.

რომილდო ვიტორ გომეშ ფერეირა რესიფეს მერიაში მბეჭდავად მუშაობდა. ფეხბურთი სიგიჟემდე უყვარდა. ოცნებობდა, რომ მისი შვილები — რიკარდო, რინალდო და რივალდო (სახელები საგანგებოდ შეურჩია ერთი და იგივე ასოზე) დიდი ფეხბურთელები გამოსულიყვნენ, მაგრამ ყველაზე მეტად უმცროსი შვილისა ეიმედებოდა, სუსტი, ავადმყოფი და მუდამ მდუმარე რივალდო სადაც წავიდოდა, ბურთს თან დაატარებდა.

*— მამა რატომღაც ფიქრობდა, რომ ძალიან კარგად ვთამაშობდი. არადა, ასე არ იყო. ეზოში თითქმის ყველა ბიჭი მჯობდა. მახსოვს, ათი წლის ვიყავი და მამამ „სანტა კრუზის" მაისური და ბუცები მაჩუქა. ჩვენი შტატის გუნდი იყო და მთელი ოჯახი ვქომაგობდით. ის მაისური ჩემთვის საუკეთესო საჩუქარი იყო.*

1989 წლის 6 იანვარი რივალდოს შავი დღეა. დილით ის „რესიფეში" მივიდა ბავშვთა გუნდში გასასინჯად. გასინჯეს და მიახალეს: შენგან ფეხბურთელი არ დადგება, მონაცემები არ გაქვსო. რივალდომ შინისკენ გასწია და ფიქრობდა, როგორ ვუთხრა მამას ეს ამბავიო. თქმა არ დასჭირდა — მამამისს ქუჩაში ავტობუსი დაჯახებოდა...

დასაფლავების შემდეგ რივალდომ ფეხბურთზე გული აიყარა: ჩემი ერთადერთ კაცს სჯეროდა და ისიც ცოცხალი აღარააო. დედამ არ იცოდა, როგორ გამოისტუმრეს რივალდო „რესიფედან" და ხვეწნა-მუდარის შემდეგ ფეხბურთელობაზე დაიყოლია, მამას ასე უნდოდაო. მეზობელ დასახლებაში უსუსტესი გუნდი იყო — „ბაია". დედამ იქაურ მწვრთნელს სთხოვა და რივალდოც „დიდსულოვნად" ახალგაზრდულ გუნდში აიყვანეს.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 19 წლისა, მაინც მოხვდა საოცნებო „სანტა კრუზში", რომელიც რეგიონალური ჩემპიონატის მეორე დივიზიონში თამაშობდა. რივალდოს იქ „დაგრეხილ ფეხებიანი იხვი" შეარქვეს, გამუდმებით უსტვენდნენ და აგინებდნენ. რივალდო ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა, მაგრამ ძალიან ნელი იყო და გოლები იშვიათად გაჰქონდა.

1992 წელს, როცა კრუიფის „ბარსელონამ" ჩემპიონთა თასი მოიგო, რივალდომ პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა და ისიც შემთხვევით. სან პაულუს „მოჟი-მირიმმა" „სანტა კრუზიდან" მცველი იყიდა და რივალდო ხურდაში გაატანეს. „მირიმში" მას შეხედეს და რაკი მაღალი, ძალიან გამხდარი, სუსტი ბიჭი იყო, სატრენაჟორო დარბაზში უკრეს თავი.



რივალდო მთელ დროს დარბაზში ატარებდა, მალე კუნთებიც დაეტყო და მინდორზეც უკეთ ირჯებოდა.

დღემდე ვერ აუხნია რივალდოს, რატომ დაინტერესდა მისით „კორინთიანსი". არ გაურისკავთ — ერთწლიანი იჯარით აიყვანეს და 250 ათასი დოლარი გადაიხადეს. მოეწონათ. კიდევ ნახევარი წლით დაიტოვეს. ამასობაში რივალდოს ნაკრებიდანაც დაადგეს თვალი და „მირიმსაც" მადა გაეხსნა: გინდათ? ოთხი მილიონი გადაიხადეთ. „კორინთიანსმა" უარი თქვა.

„პალმეირასმა", „კორინთიანსის" მარადიულმა მექიშპემ, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ რივალდოში 2,4 მილიონი გადაიხადა. რივალდო გაოგნებული დარჩა: ამდენი „ბარსას" ფიგუში არ გადაუხდია! იმ სეზონში რივალდო ბრაზილიის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც არ წაიყვანეს.

1996 წელს რივალდო ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. სელექციონერებს მისმა თამაშმა თავბრუ დაახვია და წინადადებებიც წამოვიდა: „პარმა", „დეპორტივო"... რივალდო ახალმოყვანილ ცოლთან ერთად უკვე ფიქრობდა ევროპაში გადაბარგებაზე, სადაც რონალდოს, რომარიოს და ბებეტოსთან ერთად უამრავი უსახელო ბრაზილიელი თამაშობდა.

დაიწყო ოლიმპიადა. მარიო ზაგალომ რივალდო რომარიოს ამჯობინა და განრისხებულ გულშემატკივრებს უთხრა: „რივალდო — ეს პელეა! ვინც ამას ვერ ხედავს, ბრმაა." მაგრამ ბრაზილია ნახევარფინალში ნიგერიასთან დამარცხდა და ზაგალომ რივალდო განტევების ვაცად აქცია. რივალდომ საკუთარ საჯარიმოსთან ბურთი დაკარგა და ნიგერიელებმა გაიტანეს. მთელი ბრაზილია მას ლანძღავდა, დედა კარგა ხანს სახლიდან გასვლას ვერ ბედავდა. ეს ხომ ბრაზილიაა! დრო იყო, იგი სადმე წასულიყო...

„დეპორტივოში" ბებეტოს რეკომენდაციით მოხვდა, კარგადაც თამაშობდა, მაგრამ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა ვერააწყო. მაურო სილვამაც, რომელსაც კლუბში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ვერ შეარიგა ისინი.

მერე „ბარსა". რივალდო იმ დროისთვის უკვე ვარსკვლავი იყო, მაგრამ ლუის ვან გაალი მუდამ ცინიკურად ექცეოდა და რივალდოც აფეთქდა. ვან გაალი-მწვრთნელი რომ დიქტატორი იყო, ყველამ იცოდა, მაგრამ რივალდოს აფეთქება რაღაც ახალი იყო.

„ბარსა" ესპანეთის ჩემპიონი გახდა, სხვა მიზეზებთან ერთად რივალდოს 24 გოლის წყალობით.

„ბარსელონაში" მიჩვეულნი იყვნენ, რომ მოედანზე მბრწყინავი ვარსკვლავები მის გარეთ ბევრ პრობლემებს უქმნიდნენ კლუბს. რომარიო ყოველ ღამე კლუბებში დადიოდა და მუდამ სკანდალურ ქრონიკებში ხვდებოდა, რონალდოს ვარჯიშზე მეტად სარეკლამო კლიპებში გადაღება და ბევრი ფულის მოხვეჭა აინტერესებდა, ჯოვანი არაერთხელ გამოუგდიათ რესტორნიდან, როგორც ჩხუბისთავი.

რივალდო სხვანაირი იყო. ცეკვა არ უყვარდა, ვარჯიშებზე არ აგვიანებდა, მის გარშემო მუქთამჭამელები არ დაძვრებოდნენ, ღამით შინ მიდიოდა. ცოლი, ბავშვები — რივალდინიო და ტამირისი, ტელევიზორი, კომპიუტერული თამაშები — რივალდოს არასაფეხბურთო ცხოვრებაც ეს იყო.

ხანდახან მაღაზიებიც. ტანსაცმელი მხოლოდ „ვერსაჩესგან". პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად „ფერარი" იყიდა და... გარაჟში დააყენა. ძირითადად პატარა „სმარტით" დადის, თუმცა მესამე მანქანაც ჰყავს — „მერსედესი".

მშობლიურ ქალაქში რივალდომ ფონდი შექმნა, რომელიც ღატაკებს ეხმარება. ამაზე არ ლაპარაკობს, გაჭირვებულ ხალხზე რეკლამის კეთება უზნეობააო. და გეგმები: ბრაზილიაში საკუთარი საფეხბურთო სკოლის გახსნა სურს — უფრო ღარიბი ბავშვებისთვის. მწვრთნელობა არ უნდა, ჩემი საქმე მართვაა, ოდესღაც მათემატიკაში ძალიან ძლიერი ვიყავიო.

იცით, რა უქნა რივალდომ ფიფასგან მიღებულ „ოქროს ბურთს"? ნაცნობი იუველირი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაყაბულდა — ჯილდო სამოც თანაბარ ნაწილად დახერხა. რივალდომ თითოეული ნაჭერი წარმატების თანამონაწილეებს აჩუქა: ფეხბურთელებს, მწვრთნელებს (მათ შორის ვან გაალსაც), ექიმებს, მასაჟისტებს, გასახდელის დამლაგებელსაც...

**გიორგი დარჯანია**



ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ ემერსონ ლეაოს რივალდოს იმედი მუდამ აქვს

*საქართველოს მორაგბეთა ნაკრები „ევროპის ერთა თასზე" გამოდის და ორიდან ორი მატჩიც მოიგო. შარშან ამ თასის დაუფლებამდე სულ მცირედი დაგვაკლდა. მსოფლიოს თასზე კინაღამ გავედით. თბილისში ტონგა დავამარცხეთ. ქუთაისის „აია" რამდენჯერმე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ჩვენებური მორაგბეები საფრანგეთის საკმაოდ ძლიერ გუნდებში გამოდიან. ერთი სიტყვით, ქართული რაგბი საკმაოდ ძლიერია, ფეხზე დგას და მსოფლიოშიც დაფასებულია.*

*და იცით, როგორ ჩაეყარა საქართველოში რაგბის საფუძველი? მგონი, ჩემი თაობის უმეტესმა ნაწილმა არც იცის. ბოლომდე არც მე ვიყავი გარკვეული, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გავიგე, რომ...*

*პორტუგალიასთან მატჩის წინ საფრანგეთიდან ორი ადამიანი ერთად ჩამოვიდა. გრეგუარ იაშვილი უკვე გაგაცანით. ჟაკ ასპეკიანზე კი მაშინ გაკვრით გესაუბრეთ და შევპირდით, რომ მის შესახებ უახლოეს მომავალში შედარებით დაწვრილებით მოგითხრობდით. დღეს დაპირებას ვასრულებთ და წარმოგიდგენთ ბატონ ჟაკ ასპეკიანს, საქართველოში რაგბის ფუძემდებელს. უფრო სწორად, თავად ბატონ ჟაკს მოვუსმინოთ:*



ჟაკ ასპეკიანი

# ქართველებზე უზომოდ შეყვარებული სომეხი

## ოვალურ ნერგზე ამოზრდილი ხე

„საბჭოთა კავშირში 1947 წელს ჩამოვედი საფრანგეთიდან. 9 წლის განმავლობაში ერევანში ვცხოვრობდი და ველოსპორტს მივსდევდი. ამ სახეობაში სპორტის ოსტატის წოდება მოვიპოვე. ტრეკზე ორჯერ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც დავისაკუთრე. თუმცა ტრეკის მრბოლთა კარიერა 30-32 წლის ასაკში მთავრდება და გამონაკლისი არც მე ვიყავი, ველოსიპედს 1958 წელს გამოვეთხოვე.

იმ დროს უკვე ორი წელი იყო, რაც თბილისში ვცხოვრობდი. სპორტის გარეშე სიცოცხლე ახლაც არ შემიძლია და მაშინ როგორ გავძლებდი. საფრანგეთიდან წამოსვლამდე რაგბს ვთამაშობდი ლიონის „ოლიმპიკის" ახალგაზრდულ გუნდში და ქვეყნის ვიცე-ჩემპიონიც გავხდი. იქიდან მორაგბის მთელი აღჭურვილობა მქონდა წამოღებული — ბუცები, მაისურა, ბურთი... ჰოდა, საქართველოშიც ვითამაშებ მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ აქ რაგბი არ არსებობდა. არადა, ქართველებს რომ შეხედავ, რაგბის სათამაშოდ არიან გაჩენილებიო, იფიქრებ. ისინი ფიზიკურად ძლიერები, ჩაფსკვნილები არიან. თანაც გაგონილი მქონდა, რომ აქ ლელოს თამაშობდნენ, რომლის წესებიც საკმაოდ ჰგავდა რაგბისას, ოღონდ ბურთი იყო მრგვალი.

ბევრი აღარ მიფიქრია, გადავწყვიტე, თქვენთან რაგბი დამენერგა და საქმეს უკვე 1959 წელს შევეჭიდე. თავიდანვე დიდებთან რომ დამეწყო მუშაობა, ძალიან გამიჭირდებოდა. ამიტომ რაგბის პოპულარიზაცია ბავშვებთან ვცადე. ცოტა ხანში ტაქტიკა შევცვალე და უმაღლეს სასწავლებლებს მივაკითხე. სტუდენტები ხომ სიახლეს პირველნი აიტაცებენ ხოლმე.

თავიდან ოთხი გუნდის შექმნა შევძელი, რომელთაგან ორი სტუდენტური იყო — პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებისა. ვარჯიშებს იპოდრომზე ვატარებდით, იქ ვასწავლიდი შებოჭვას, შერკინებას, მარაოს... ბიჭებს ძალიან მოსწონდათ რაგბი და მიუხედავად იმისა, რომ ცხენებისგან გაკეთებულ ორმოებში ფეხის მოტეხვის საშიშროებაც იყო, მაინც უდიდესი ენთუზიაზმითა და მონდომებით ვარჯიშობდნენ.

ცოტა ხანში „ბურევესტნიკის" სტადიონის დირექტორთან, ბატონ ბორის პაიჭაძესთან მივედი და მინდვრის გამოყოფა ვთხოვე. მან მითხრა, რაგბი, ჩვენში ფეხს ვერ მოიკიდებს, აქ მხოლოდ ფეხბურთი უყვართო, და როცა აღარ მოვეშვი დააყოლა, რაგბი კაპიტალისტების სპორტიაო. კრივი და ფეხბურთი ვილას მოგონილია-მეთქი. კიდევ ბევრი ვარწმუნე, ბოლოს სპორტკომიტეტთან შევათანხმებინე და იპოდრომზე ოფიციალურად დაგვრთეს ვარჯიშის ნება. ამით კმაყოფილი დავრჩით. მერე სხვა მოედნებიც გამოჩნდა და წინსვლაც დაიწყო.

მერე მე ისევ საფრანგეთში დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ საქმის უპატრონოდ მიტოვება არ მინდოდა. საბედნიეროდ ამ ხანებში მოსკოვიდან ჩამოსული გივი მრელაშვილი გავიცანი, რომელიც რაგბში საკმაოდ კარგად ერკვეოდა და საქმის გაგრძელება მას ვთხოვე, მე კი წავედი.

საფრანგეთში მუდმივად ვცდილობდი, საქართველოს ახალი ამბები შემეტყო, რადგან ქართველები უზომოდ მიყვარს. ისინი აი, ასეთები არიან (ბატონმა ჟაკმა მარჯვენა ხელის ცერა თითი ასწია, გ.გ.). წლები გავიდა. 30-35 წლის შემდეგ საქართველოში რაგბი უკვე ძალიან განვითარდა. თქვენი ქვეყანა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, კინაღამ მსოფლიოს თასზეც გახვედით, ტონგას მოუგეთ... როცა მე დავიწყე არაფერი იყო. მაშინ ევროპაზე, მსოფლიოზე არც კი ვფიქრობდი. ახლა კი თქვენი მორაგბეები საფრანგეთის მშვენიერ კლუბებში თამაშობენ, ნაკრებიც საკმაოდ ძლიერია.

1959 წელს მე მხოლოდ ნერგი ჩავრგე, რომელსაც რამდენიმე წელი ვუვლიდი. ახლა ის ნერგი უზარმაზარი ხეა, რომელიც კიდევ გაიზრდება. აი, ესაა საქმე. მე რომ არ დამეწყო, ვილაც სხვა იზამდა იმას, ოღონდ რამდენიმე წლის შემდეგ და დრო დაიკარგებოდა. თუმც საქართველოში რაგბის განვითარება მარტო ჩემი დამსახურება არაა. ჩემს შემდეგ კოლოსალური სამუშაო შესრულდა.

ახლა საქართველოს ნაკრების მატჩს პირველად დავესწარი, რომელიც თქვენი, ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. მსოფლიოში ჩემზე ბედნიერი და ამაყი ადამიანი ალბათ ამ წუთებში არ მოიძებნება. დარწმუნებული ვარ, საქართველო კიდევ ბევრს მიაღწევს, ამას ვგრძნობ, ისევე როგორც ერთ დროს ომარ ფხაკაძის წარმატებები ვიგრძენი. მაშინ მას ვუთხარი, რომ თუ სიგარეტს თავს დაანებებდა და ბევრს ივარჯიშებდა, მსოფლიოს ჩემპიონობასაც მიაღწევდა. ხომ გამოვდექი მართალი! ასეა ახლა რაგბიც. თუ მეტ ყურადღებას მიაქცევთ, უფრო მეტ წარმატებებსაც მიაღწევთ."

*ეს გვითხრა ბატონმა ჟაკ ასპეკიანმა, 74 წლის სიცოცხლით სავსე კაცმა, რომელიც 1992 წელს საფრანგეთის ჩემპიონი გახდა სამჯლისო ცეკვებში.*

*იმედია, გავითვალისწინებთ მის რჩევას და რაგბის კიდევ უფრო მეტად მოვუფრთხილდებით, ეგებ ქართველებზე უზომოდ შეყვარებული კაცის მეორე წინასწარმეტყველებაც ახდეს.*

**გაგი გურული**



1959 წელი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მორაგბეთა გუნდი და მისი მწვრთნელი ჟაკ ასპეკიანი

ზე-12

# ზე-რაგბი იწყება!

***დღეს ზე-12 იწყება, სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი საკლუბო ტურნირი 12 გუნდის მონაწილეობით.***

***ჯგუფური ტურნირის შემდეგ ოთხი საუკეთესო ნახევარფინალში გავა, რასაც ფინალი მოჰყვება. მანამდე კი მონაწილეებს წარმოგიდგენთ.***

## ავსტრალია

### კანბერა

შარშანდელი ჯგუფური ეტაპის გამარჯვებული უმთავრესი ფავორიტია. გასული გათამაშების ფინალში კრაისტჩერჩთან ერთი ქულით დამარცხებულმა გუნდმა შემადგენლობის ბირთვი შეინარჩუნა. ავსტრალიის ნაკრების ბევრ წევრს წინ ახალი კაპიტანი, ჯორჯ გრეგანი გაუძღვება. მას გარდა აქ არიან ჯო როფი, ჯორჯ სმიტი, სტივენ ლარკემი, რომელსაც, იმედია, შარშანდელივით ტრავმები აღარ გააწამებს.

### სიდნეი

ზე-12-ის ყველაზე სუსტმა ავსტრალიურმა კლუბმა წლეულს ჯიბეზე ხელი გაიკრა და ბევრი ახალი წევრი შეიმატა. მთავარი, რა თქმა უნდა, მისი მთავარი მწვრთნელი ბობ დვაიერია, კაცი, რომელმაც 1991 წელს ავსტრალია მსოფლიოს ჩემპიონი გახადა. სიდნეისთან კონტრაქტი გააგრძელა მცველმა მეტ ბერკმაც, რომელსაც ნაკრებში 566 ქულა მოუხვეჭია. თუმცა, ჯეისონ ლითლი ინგლისურ „გლოსტერში" გადავიდა, რაც ძალიან დიდი დანაკლისია.

### ბრისბენი

სავსებით შესაძლებელია, ბრისბენმა, რომელიც აქამდე ნახევარფინალში ორჯერ გასულა, სიურპრიზი შემოგვთავაზოს. მხრის ტრავმისგან განკურნებული ჯონ ილზი შეიძლება პირველივე ტურში გამოჩნდეს მოედანზე. ბრისბენისა და „ვოლაბების" კაპიტანმა მოსამზადებელი პერიოდის მატჩები კი გამოტოვა, მაგრამ ვარჯიში უკვე განაახლა. შერკინების ნახევარმცველად სემ კორდინგლი აღარ ითამაშებს. მას ფიჯელი რაულუნი შეცვლის. ბრისბენის შერკინების მესამე ხაზი ძალიან ძლიერი ჩანს, რადგან იქ მეტ კოკბეინი და ტუტაი კეფუ არიან. ინგლისში გადაბარგებული დევიდ უილსონის მაგივრობა სკოტ ფავამ უნდა გასწიოს. უკანა ხაზში სტივ კეფუმ და ელტონ ფლეტლიმ ინგლისის „სარასენში" წასული ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სამმეოთხედელი, ტიმ ჰორანი უნდა შეცვალონ.

## ახალი ზელანდია

### კრაისტჩერჩი

ზედიზედ სამგზის ჩემპიონი ფინალურ მატჩს მუდამ მეტოქის მოედანზე იგებს. კრაისტჩერჩი წლეულსაც ფავორიტთა შორისაა, ოღონდ ტიტულის შენარჩუნება ძლიერ გაუჭირდება. გამარჯვებულებს არ განსჯიანო, ნათქვამია, ჩვენ კი ისიც დავამატოთ, რომ მათ შემადგენლობასაც არ ცვლიან. ასე რომ, კრაისტჩერჩი ფაქტობრივად იგივე გუნდია, თუ შერკინების მესამეხაზელ რონ რიბის წასვლას არ ჩავთვლით. დამრტყმელი ენდრიუ მერთენსი, მორკინალები — ნორ მაქსველი, დევიდ ჰიუიტი და გრეგ ფიკი დაშავებულები არიან, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდებიან.

### ოკლენდი

ზე-12-ის პირველი ორი გათამაშების გამარჯვებულს ოდინდელი სახელის დაბრუნება სურს. ამისთვის ოკლენდის ხელმძღვანელებმა კრაისტჩერჩიდან „ოლ ბლექსის" მესამეხაზელი რონ კრიბი გადმოიყვანეს. მის გარდა ამ გუნდში ახალი ზელანდიის ნაკრების კიდევ რამდენიმე წევრია, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მორკინალი ტროი ფლეველი.

### ჰამილტონი

ახალზელანდიელთაგან უარეს გუნდს დიდი წარმატებების მიღწევის შანსი არც წლეულს უნდა ჰქონდეს. ზე-12-ის ისტორიაში ჰამილტონს ერთხელაც ვერ დაუმთავრებია ჯგუფური ტურნირი მოწინავე ექვსეულშიც კი. გუნდის თავკაცებს, ეტყობა, ბევრად არც ანაღვლებთ თავიანთი ბედი, რადგან სეზონის წინ მეტ-ნაკლებად ძლიერი მორაგბე ერთიც არ უყიდიათ. ჰამილტონი ერთადერთი გუნდია ზე-12-ში, რომელსაც შემადგენლობაში ნაკრების მხოლოდ ერთი მოთამაშე ჰყავს — ბრიუს რეიჰანა.

### დანიდინი

„უძღები შვილის დაბრუნება" — წერენ ახალზელანდიური გაზეთები დანიდინში ჯეფ უილსონის გამოჩენაზე, მაგრამ არავის ეგონოს, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი სადმე იყო გაქცეული და ახლაღა დაბრუნდა. უბრალოდ, იგი გასულ სეზონში ტრავმებმა ისე გატანჯეს, ლამის ორი მატჩი არ ჩაუტარებია ზედიზედ. დანიდინს შერკინების პირველი ხაზი უძლიერესი ჰყავს, რადგან იგი მთლიანად ოლბლექსელებისგან შედგება. კლუბს ჩემპიონობისთვის ბრძოლა სწყურია და ამიტომ ექვსი ახალი წევრი შეიმატა, რომელთაგან სამი (ფინაუ მაკა, სამიუ ვაჰაფალუ, ილიესა ტანივულა) ოკლენდს წაჰგვარა.

### ველინგტონი

გასული სეზონის მთავარი იმედგაცრუება ველინგტონი იყო, რომელმაც ნახევარფინალშიც კი ვერ გააღწია, არადა, უკანა ხაზში მას „შავების" ჯადოსნური ტრიო — ჯონა ლომუ, კრისტიან კალენი, ტანა უმაგა — ჰყავდა. გასული სეზონის ბოლოს ლომუმ ისიც კი განაცხადა, ჯერ ფორმაში ვერ შევედითო, მაგრამ აბა, ვინ დაუჯერებდა. წლეულს ველინგტონი ისევ შეეცდება ჩემპიონობისთვის ბრძოლა¹, მაგრამ თავიდან გაუჭირდება, რადგან არც ლომუ (ტრავმა) ეყოლება, არც კალენი (ტრავმა) და არც უმაგა, რომლის ცოტა ხნით დასვენებაც თავად გუნდის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს.

## სამხრეთ აფრიკა

### იოჰანესბურგი

სამხრეთაფრიკელთაგან საუკეთესო შარშან იოჰანესბურგი იყო, რომელმაც ჯგუფური ტურნირის ბოლოს ზედიზედ რამდენიმე თამაში მოიგო და ნახევარფინალში გააღწია, სადაც კანბერასთან დამარცხდა სტუმრად. ტრანსფერების ბაზარზეც შედარებით პასიურობა, ალბათ, ამით აიხსნება.

### კეიპტაუნი

ამ გუნდს გასულ სეზონში ნახევარფინალამდე სულ ცოტა დააკლდა, მან მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია. ამჟამად კეიპტაუნი ბევრად გაძლიერებულა. მან პიტერ დიქსონი, ადრი ბადენჰორსტი, ნილ დე კოკი და მარიუს ჟუბერი აიყვანა. ეს სახელები შეიძლება ჯერჯერობით არ ჟღერს, მაგრამ 23-წლამდელ „ქურციკთა" შორის მათი დარი ბევრი არ მოიძებნება და მალე ეგებ მსოფლიოც აალაპარაკონ.

### დურბანი

დურბანი შარშანდელი მაჩანჩალაა. ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელობამ წინა ზე-12-ის შემდეგ მწვრთნელის შეცვლა მოისურვა და თავიდან პარიზული „სტად ფრანსეს" ჯონ კონოლის დაადგა თვალი, მაგრამ ამ უკანასკნელმა სამშობლოში დაბრუნებას საფრანგეთში დარჩენა არჩია. ამის მერე თანამდებობა „ქურციკების" ექსმორკინალ რუდი სტრაულის შესთავაზეს, იგიც დათანხმდა და გაამართლა კიდეც, რადგან მოსამზადებელ მატჩში დურბანმა იოჰანესბურგის ძლევაც კი შეძლო.

### პრეტორია

წინა სეზონი არც პრეტორიისთვის იყო წარმატებული, რადგან მან მხოლოდ დურბანის გასწრება შეძლო ჯგუფურ ტურნირში. შესაბამისად, მისმა მესვეურებმა თითქმის ნახევარი შემადგენლობა შეცვალეს და კვლავინდებურად სამხრეთაფრიკული რაგბის ფლაგმანობას ესწრაფვიან. ახალგაზრდა, ტალანტებით სავსე კლუბის მენეჯერმა ვინი სტრაიდომმა ორიოდ დღის წინ თქვა: „ახალი მოთამაშეები ძლიერები არიან, მაგრამ მათ ეს მინდორზე უნდა დაამტკიცონ და პრეტორიას შელახული სახელი აღუდგინონ. ჩვენ მათ ყველაფერში დავეხმარებით".

**გაგი გურული**

## საქართველოს ჩემპიონატი

# აჯობე შიშს — მოუგე ბასკოს



გურამ [illegible] ფოტო

ზვიად ბაბიაშვილის „აზოტმა“ ირაკლი მაისურაძის (№6) თსუ უკვე ორჯერ დაჩაგრა

მეათე ეროვნული დღეს განახლდება. გამოიზამთრა ქართულმა კალათბურთმა და ამიერიდან ძველებურად აჟრიამულდება ვერის ბაღი. სიახლე ისაა, რომ ახლებური ფარები დახვდებათ მობურთალთ და ოდნავ შემთბარი კედლები — გაუსაძლის პირობებში თამაშნაჩვევ ქართველ კალათბურთელთათვის გაზაფხულის მოახლოვება ხომ დიდი ნუგეშია.

ჰოდა, კალათბურთიც გახურდება, ინტრიგაც გაღვივდება, ზოგს გახარებულს ვნახავთ და ზოგსაც დამწუხრებულს, ასეთია თამაშის წესი.

ახლა ითქმის, ჩემპიონატი ეშხში შევიდაო. თუ აქამდე არაფრისმომცემ დაპირისპირებებსაც უხვად შევსწრებივართ, დღეიდან ნაღდად არ იქნება ასე. ექვსივე გუნდს, რომელთაც ელიტაში დაიმკვიდრეს ადგილი, შორს მიმავალი მიზნები აქვს და წარმატებული თამაშით მადაალძრულნი უბრძოლველად არაფერს დაუთმობენ ერთმანეთს. ქომაგიც ყოველთვის განსაკუთრებულად ელის ჩემპიონატში ამ ეტაპის დაწყებას, სხვა ჟინი და შემართებაა მოედანზე და იმიტომ.

აქედან გუნდები ოთხეულში შეღწევას შეეცდებიან. ფინალში, თუნდაც ნახევარფინალში, თამაში, სხვა თუ არაფერი, პრესტიჟულია და ექვსივე გუნდი საამისოდ გაიწევს. იქ მოხვედრის შანსი სადღეისოდ ყველას აქვს, თუმც მეტოქეთა შესაძლებლობებში შესამჩნევი სხვაობაა და ამის უთქმელობაც არ იქნება.

დიდი მარჩიელობა არ სჭირდება, რომ ამჟამინდელი ჩემპიონი და მიმდინარე გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი, ბათუმის „ბასკო“ აუღელვებლად დაიბევებს ადგილს ოთხეულში. ზღვისპირული გუნდის ფინალისტობაშიც აქამდე ეჭვი არავის შეუტანია და მისი ნახევარფინალს მიღმა დარჩენა ხომ სალაპარაკოდაც არ ღირს. „ბასკო“ ძლიერი გუნდია და არა მხოლოდ ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე: ტომარაძის გუნდმა ყოველივე სულ ახლახან დაამტკიცა, ჩრდილოური ლიგის პირველ ეტაპზე ბელარუს და ესტონელ მეტოქეებს ყველაფერში აჯობა და ჯგუფშიც არავის დაუთმო პირველობა.

ამ ამბების შემდეგ სხვა წონა აქვს „ბასკოს“ ჩვენში. ამ გუნდისადმი რიდი და მოკრძალება ვინძლო შიშშიც გადაეზარდათ დანარჩენ ქართულ კლუბებს, მათთვის „ბასკოს“ დამარცხება ახლა ერთიორად ფასობს, მით უფრო, რომ მეათე ეროვნულში ვერავინ შეძლო ამის გაკეთება.

ნაკლებსარწმუნოა „ბასკოს“ წარმატებული სვლა ახლო მომავალში შეფერხდეს. ბელარუსებთან და ესტონელებთან ჭიდილით პრაქტიკაშემატებული ჩემპიონი ახლა იშვიათ იმტაზეა და თბილისშიც არცთუ ძლიერ მეტოქეებს სტუმრობს ამ უქმეებზე — „შევარდენი“ და თსუ ბათუმელთათვის გადაულახავი ჯებირი ნამდვილად არ გახლავთ.

ერთი კი ნაღდია, შინ ოთხი ქულით გაბრუნების საფასურად საკმაო ჯაფა დაადგება ტომარაძის სამწყსოს. „შევარდენს“ ჩვენში მებრძოლი გუნდის სახელი აქვს და ნებისმიერ მეტოქეს ბოლომდე ეჯაჯგურება. ჩემპიონატის მიმდინარეობისას უმთავარმწვრთნელოდ დარჩენილ საავიაციოქარხნელთა თამაშს ახლა ამ გუნდის კალათბურთელი, ვასილ გოგუა უძღვება და რიგიანადაც. მისი სამწვრთნელო დებიუტიც ჩინებული გამოდგა, „შევარდენმა“ ხომ სწორედ გოგუას ხელმძღვანელობით დაიმკვიდრა ადგილი ექვსეულში.

კვირას „ბასკო“ თსუ-ს შეეტოქება. უნივერსიტეტელები ამ ჩემპიონატში არასტაბილური თამაშით გამოირჩევიან და იმდენი ქნეს, ერთხანს სათუოდ გაიხადეს ელიტაში მოხვედრა. ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა თსუ-სთვის, მაგრამ თუ ამ გუნდმა ძველებურად განაგრძო თამაში, ოთხეულზე არც უნდა იფიქროს. გაურკვეველია უნივერსიტეტელთა მთავარი მწვრთნელის ვინაობა, ზაზა ზამთარაძემ ჯანმრთელობის გაუარესების გამო შუა სეზონში მიატოვა გუნდი. მას მერე თავკაცის ფუნქციებს გია ჯავახიშვილი ასრულებდა, მაგრამ მერე ხმები დაირხა ზამთარაძე მობრუნდაო. ბოლო დღეებია, თსუ კვლავაც ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს, ასე რომ, ძნელი სათქმელია, შაბათს „აზოტთან“, მეორე დღეს კი „ბასკოსთან“ საუნივერსიტეტო გუნდს ვინ გამოუძღვება.

„აზოტში“ არაფერია ახალი. ოთარ ხმელიძის გუნდს წლეულსაც საჩემპიონო ამბიცია აქვს და შეეცდება, ეს ექვსეულის თამაშებშიც დაამტკიცოს. რუსთაველებს ძალიან დააკლდებათ რამაზ გოგობერიშვილი, რომელიც, მოგეხსენებათ, პორტუგალიურ „ავეირუში“ გადაბარგდა. კლუბის თავკაცობას იმედი აქვს, რომ „აზოტის“ ყოფილი ლიდერი მას შემდეგ, რაც პორტუგალიურ ჩემპიონატს მოილევს, საქართველოში დაბრუნდება და ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში მაინც შეეშველება მშობლიურ გუნდს. ფაქტია, გოგობერიშვილთან ერთად „აზოტს“ ერთიორად გაეზრდება გაჩემპიონების შანსი.

ხმელიძე ირაკლი ჯაფარიძის დაბრუნებაზეც ფიქრობს. საქართველოს 1999 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეც პორტუგალიურ „ავეირუში“ ირიცხება. მართალია, მას ერთი წლით აკრძალული აქვს ჩვენს ჩემპიონატში თამაში, მაგრამ „აზოტის“ მწვრთნელს ფედერაციელთა გულისხმიერების იმედი აქვს. ცნობისთვის: უცხოეთიდან ჩამომსვლელი 28 თებერვლამდე აქ უნდა იყოს, ჩემპიონატის დებულების თანახმად, მერე ეკრძალებათ გუნდებს მოთამაშის დამატება.

უმრავლესობის აზრით, „აზოტს“ ფინალში თამაშს სტუ შეეცილება. „ჯეოსელის“ მფარველობის ქვეშ მყოფი სტუდენტები შარშანაც ნახევარფინალში გადაელობნენ „აზოტს“, მაგრამ შედარებით მაღალი კლასის ხარჯზე მაინც რუსთაულმა კლუბმა იძალა. წარსული წყენა, ალბათ, კვლავაც გულში აქვს ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-ს და შეეცდება, წლეულს მოიფხანოს გული. „ბასკოს“ და „აზოტის“ მსგავსად ტექნიკოსებსაც ფინალში თამაში და ჩემპიონობა ამოუჭრიათ გულში და რაც გამოუვათ, მაგასაც ვნახავთ.

სხვათა შორის, ამ უქმეების ყველაზე გამოსარჩევი მატჩი „აზოტი“ — სტუ-ა. კვირას ერთმანეთს ჩემპიონატის მეორე და მესამე ადგილოსნები უპირისპირდებიან და ამ შაბათ-კვირის ყველაზე პრინციპულ შეხვედრადაც, ცხადია, ეს ჯახი მოინათლა. „აზოტს“ და სტუ-ს ერთმანეთისთვის ძალიან ბევრი აქვთ დასამტკიცებელი, აქედანვე შეუდგებიან ურთიერთობის გარკვევას.

ამ ჩემპიონატის აღმოჩენად „მაკაბი“ იქცა. ეს გუნდი არსებობის მანძილზე არასდროს ყოფილა ასეთი ძლიერი და ასე შორს ჯერ არ წასულა. „მაკაბი“ სადღეისოდ მეოთხე ადგილზეა მოკალათებული და დაქვეითებას ცოცხალი თავით არ აპირებს. წლეულს ეს კლუბი ნახევარფინალში თამაშზეა დაგეშილი.

„მაკაბის“ წარმატებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გუნდის კამერუნელ ლეგიონერებზე. ჟოლივეტ ტუჯანი და დიდიე დაჩუმი კარგად შეეწყვნენ ქართულ კლუბს და მალევე იქცნენ „მაკაბის“ წამყვან მოთამაშეებად. ტუჯანის კარგმა გარჯამ „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელის, ზურაბ ტომარაძის ყურადღებაც მიიქცია და აკი დაიხმარეს კიდეც ბათუმელებმა აფრიკელი ჩრდილოურ ლიგაში. „მაკაბიმ“ თუ ასევე განაგრძო, ნახევარფინალურ სერიაში თამაშის უფლებასაც დამსახურებულად მოიპოვებს, რაც ამ გუნდისთვის დიდ მიღწევად ჩაითვლება. თუმცა ერთი გარემოებაც გასათვალისწინებელია: „მაკაბი“ კარგი სათადარიგო კალათბურთელების ნაკლებობას განიცდის და აქამდე თუ იოლად გადიოდა ფონს, ამ ეტაპიდან ძალიან გაუჭირდება.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდა, შინაურ ბაზარზე ხმაურიანი ტრანსფერი არ განხორციელებულა. „ბასკო“, „აზოტი“, თსუ, სტუ და „მაკაბი“ იგივე შემადგენლობებით გააგრძელებენ ბრძოლას. გამონაკლისი „შევარდენია“, საავიაციოქარხნელებმა ორი კალათბურთელი შეიმატეს, ბექა ნუცუბიძე და ირაკლი გელაშვილი. აქამდე ეს ორივე მოთამაშე უგუნდოდ იყო.

შესაძლოა, უახლოეს მომავალში სხვა კლუბებშიც ვიხილოთ ახალი კალათბურთელები, დაშლილი „ვითა“-სტუ 2-ის უსაქმოდ დარჩენილ მოთამაშეებს უპრობლემოდ შეუძლიათ სხვადასხვა გუნდებში გადანაწილება, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე კლუბი ამის სურვილს გამოთქვამს. სავარაუდოა, რომ „ვითას“ ლიდერებს, მარხვაშვილსა და მდივანს სტუ არავის დაანებებს, შვიდგზის ჩემპიონს ბოლოს ხომ სწორედ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი მფარველობდა.

სხვა მხრივ ყველაფერი კლუბთა მარიფათზეა დამოკიდებული. ძლიერი და სუსტი მოედანზე გამოჩნდება, მალე შევიტყობთ, ვის რისი შნო აქვს, ვის რა მიზანი ამოძრავებს.

**გიორგი ბიძაშვილი**



გურამ [illegible] ფოტო

მაკაბელთაგან პირველ ეტაპზე კამერუნელი ლეგიონერი ჟოლივეტ ტუჯანი გამოირჩეოდა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 16 | 16 | 0 | 1656:1174 | 32 |
| აზოტი | 16 | 13 | 3 | 1324:1109 | 29 |
| სტუ-ჯეოსელი | 16 | 11 | 5 | 1493:1380 | 27 |
| მაკაბი | 16 | 9 | 7 | 1415:1317 | 25 |
| თსუ | 16 | 7 | 9 | 1361:1450 | 23 |
| შევარდენი | 16 | 7 | 9 | 1247:1288 | 22 |

*შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა*

## საქართველოს X ჩემპიონატი

მეორე ეტაპი. I–VI ადგილები

მატჩები

24 თებერვალი

აზოტი — თსუ 13.00
შევარდენი — ბასკო 14.45
სტუ-ჯეოსელი — მაკაბი 16.30

25 თებერვალი

თსუ — ბასკო 12.45
შევარდენი — მაკაბი 14.30
აზოტი — სტუ-ჯეოსელი 16.15

28 თებერვალი

ბასკო — თსუ

1 მარტი

ბასკო — შევარდენი

2 მარტი

ბასკო — აზოტი

5 მარტი

შევარდენი — აზოტი 13.00
თსუ — სტუ-ჯეოსელი 14.45
მაკაბი — ბასკო 16.30

6 მარტი

შევარდენი — სტუ-ჯეოსელი 13.00
თსუ — მაკაბი 14.45
აზოტი — ბასკო 16.30

7 მარტი

თსუ — შევარდენი 13.00
სტუ-ჯეოსელი — ბასკო 14.45
მაკაბი — აზოტი 16.30

10 მარტი

მაკაბი — შევარდენი 14.00
სტუ-ჯეოსელი — აზოტი 15.45

11 მარტი

სტუ-ჯეოსელი — თსუ 14.00
აზოტი — შევარდენი 15.45

12 მარტი

თსუ — აზოტი 14.00
მაკაბი — სტუ-ჯეოსელი 15.45

15 მარტი

აზოტი — მაკაბი 14.00
შევარდენი — თსუ 15.45

16 მარტი

სტუ-ჯეოსელი — შევარდენი 14.00
მაკაბი — თსუ 15.45

21 მარტი

ბასკო — მაკაბი

22 მარტი

ბასკო — სტუ-ჯეოსელი

### VII-X ადგილები

25 თებერვალი

ქუთაისი — სსუ

26 თებერვალი

ქუთაისი — დინამო

27 თებერვალი

სსუ — დინამო

3 მარტი

კოლეჯი — ქუთაისი

4 მარტი

კოლეჯი — სსუ

10 მარტი

სსუ — ქუთაისი
დინამო — კოლეჯი

11 მარტი

სსუ — კოლეჯი
დინამო — ქუთაისი

12 მარტი

ქუთაისი — კოლეჯი
დინამო — სსუ

17 მარტი

კოლეჯი — დინამო

# სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. XV ტური. 21-22 თებერვალი

## A ჯგუფი

### პანათინაიკოსი 84:77 ულქერი

პანათინაიკოსი: ალვერტისი (13), ბალოიანისი (6), ბოდიროგა (22), ბერკი (2), ფოცისი (9), ჯენტილე (6), კალაიძისი (1), კოხი (3), რებრაჩა (14), როჯერსი (8)

ულქერი: აჩიკი (4), ერდენაი (18), გოლიოვიჩი (7), გონლუმი, გიულერი, ჰენდლოგტენი (2), ლოლისი (17), ფაჩულია (5 წუთი, 0 ქულა), პერსევო (3), სარიჯა (14), ილდირიმი (12)

### სიენა 76:81 სპლიტი

სიენა: ალბერტი (7), კიაჩიგი (8), ბ. ევანსი (22), გორენცი (18), გრეი (9), როუენი (12), სკარონე

სპლიტი: ბადჟიმი (10), გრეგოვი (2), გრგურევიჩი (5), ლენდი (12), პოლიაკი (4), რენჩერი (18), სუბოტიჩი, ვუიჩიჩი (20), ჟიჟიჩი (10)

### ცსკა 89:86 ალბა

ცსკა: ალანოვიჩი, დომანი (13), ეინიკისი (14), ფეტისოვი (19), კუდელინი (14), ლარუ (10), მორგუნოვი (13), პადიუსი, პეტრენკო (6)

ალბა: კოტუროვიჩი (17), ლუტკე (10), ოზთურქი (8), პაპიჩი, პეშიჩი (16), ფელპსი (18), როდლი (16), შულცე (1)

### ცეპტერი 74:92 ლიეტუვოს რიტასი

ცეპტერი: ადომაიტისი (14), ავლიაში (5), კოსციუკი (2), მარქსი (1), მაკნაული (14), მიგლინიეკსი (4), ტომჩიკი (11), ვოიციკი (17), ზიელინსკი (6)

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (12), გედრაიტისი (17), ა. იავტოკასი, რ. იავტოკასი (10), კაზლაუსკასი (7), მასიაუსკასი (15), შესტოკასი (20), შიშკაუსკასი (11), სლეზასი

### ვილერბანი 93:71 რაანანა

ვილერბანი: ბილბა (13), ბლომი (4), ედვარდსი (27), ფრიგუ (14), ჰოფმანი (15), პაშუტინი (7), პლუვი (4), სკიარა (9)

რაანანა: კოენი, გუდესი (15), გრინი, იცხაკი (2), კანტორი (7), სელტერსი (11), სავანოვიჩი (8), სტანოევიჩი (28)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 15 | 11 | 4 | 1205:1142 | 26 |
| პანათინაიკოსი | 15 | 11 | 4 | 1231:1138 | 26 |
| სპლიტი | 15 | 10 | 5 | 1127:1092 | 25 |
| ულქერი | 15 | 9 | 6 | 1219:1156 | 24 |
| ვილერბანი | 15 | 8 | 7 | 1158:1141 | 23 |
| ალბა | 15 | 7 | 8 | 1196:1181 | 22 |
| ცეპტერი | 15 | 7 | 8 | 1186:1180 | 22 |
| ლიეტ. რიტასი | 15 | 5 | 10 | 1238:1283 | 20 |
| სიენა | 15 | 4 | 11 | 1157:1237 | 19 |
| რაანანა | 15 | 3 | 12 | 1076:1243 | 18 |

## B ჯგუფი

### ეფესი 88:65 ირაკლისი

ეფესი: ბეშოქი (14), პ. დრობნიაკი (21), მულაომეროვიჩი (13), ოქური (9), ონანი (16), შჩეპანოვიჩი (11), თუნჩერი, ილმაზი (4)

ირაკლისი: ხაძივრეტასი (13), ხრიზანტოპულოსი, დიამანტიდისი, კამარიოტისი (2), კარაგუტისი (20), კარასიოვი (2), ნაკიჩი (11), ნანისი, პაპადოპულოსი (6), პაპაიოაკეიმი (11)

### ბაიერი 88:79 პო ორტეზი

ბაიერი: ბესტი (22), ჩ. ევანსი (17), გაიბი (3), გისეკი, გნადი (7), ჰანსენი (4), ჰენიაკი (12), ჰაჩისონი (5), ლარკიო, ლოხმანჩუკი (18), ფერვიმპი, ვებერი

პო ორტეზი: დიავი (11), დროზდოვი (4), დიუბო (8), ესტელერი (8), ფოტუ (11), დ. გადუ (4), ლოუსონი (4), მაკკალოფი (12), მურეშანი (13), ფ. პიეტრუსი (4)

### მაკაბი 83:67 კრკა

მაკაბი: ბრისკერი (4), ბურშტეინი (6), ჩურჩიჩი (9), შაფმანი (17), მაკდონალდი (8), პარკერი (17), რადოვიჩი, შარფი (8), შელეფი (14)

კრკა: ანზულოვიჩი, არაპოვიჩი (7), ჩაპინი (13), კორტნი (17), დევისონი (10), დონჩიჩი (2), დ. დრობნიაკი (4), პეტროვი (14)

### პლანია 78:85 სკავოლინი

პლანია: აულანდერი, ფრედრიკსონი (4), ლუნდალი (3), ნიკოლასი (18), პარნი (4), პატიეიუნასი (14), რონდალი (9), ტომასი (29)

სკავოლინი: ბუკერი (14), გიგენა (9), ჯონსონი (17), მაჯოლი (11), მანიფიკო (5), ლ. მიდლტონი (11), პეჩილე, ტრაინა (6), ძანელი (12)

### ოსტენდე 94:88 პარტიზანი

ოსტენდე: ბეგინი, ბიგსი (17), დე ბელი (4), დოილი (19), ჰოლდენი (15), კულამი (8), პეჰკა, პრაშკევიჩუსი (17), ვან დენ შპიგელი (14)

პარტიზანი: ბერიჩი (19), ბულატოვიჩი (23), ჩანაკი (2), გლინტიჩი (11), მილისავლიევიჩი (17), პეტროვიჩი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 15 | 12 | 3 | 1333:1119 | 27 |
| ეფესი | 15 | 11 | 4 | 1222:1131 | 26 |
| პარტიზანი | 15 | 10 | 5 | 1259:1259 | 25 |
| პო ორტეზი | 15 | 8 | 7 | 1224:1178 | 23 |
| ირაკლისი | 15 | 8 | 7 | 1239:1240 | 23 |
| ოსტენდე | 15 | 7 | 8 | 1204:1258 | 22 |
| სკავოლინი | 15 | 7 | 8 | 1277:1236 | 22 |
| კრკა | 15 | 5 | 10 | 1149:1217 | 20 |
| ბაიერი | 15 | 5 | 10 | 1288:1338 | 20 |
| პლანია | 15 | 2 | 13 | 1130:1349 | 17 |

# ევროლიგა

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე).
პირველი მატჩები. 21-22 თებერვალი

### ფორტიტუდო 74:68 რეალი

ფორტიტუდო: ოტრი (2), პილუტი, ფუჩკა (34), მაიერსი (6), ს. ვრანკოვიჩი (6), ბაზილე (6), ლი (15), ე. ჟუკაუსკასი, გალანდა (2), მენეგინი (3)

რეალი: ა. ანგულო (2), სტრიულენსი (4), ჯორჯევიჩი (10), ლ. ანგულო (4), მიკი (12), ერეროსი (22), მილიჩი (5), ზიდეკი, ლოპესი (4), იტურბე (5)

### ოლიმპიაკოსი 72:78 ტაუ

ოლიმპიაკოსი: ბუდურისი, ვუკჩევიჩი (9), პაპანიკოლაუ (16), ეკონომუ (7), რიზაშე (18), სულისი (5), ტომიჩი (5), დე მიგელი (3), რაჯა (7), რივერსი (2)

ტაუ: სკოლა (8), ბენეტი (15), ფუარე (6), ტიმინსკასი (4), შტომბერგასი (3), ალექსანდერი (22), ობერტო (7), კორჩიანი (13)

### აეკ 97:89 ბენეტონი

აეკ: სტეფანოვი (6), ჰანსელი, კიკილიასი, ჰამინკი (2), ხაძისი (9), ქუთლუაი (25), დიკუდისი (10), მიუურსეპი (5), ბეტსი (13), კაკიუზისი (27)

ბენეტონი: ნიკოლა (5), ბრაუნი (25), პიტისი (8), მარკონატო (2), ბულერი (3), ნაუმოსკი (20), ნახბარი (7), ტომიდი (10), გარბახოსა (9)

### კინდერი 80:79 ოლიმპია

კინდერი: ჯინობილი (16), აბიო (7), ბონორა (4), იესტრატიევიჩი (5), ამბრასა, ფროზინი (7), დ. ანდერსენი (3), გრიფიტი (11), სმოდიში (4), იარიჩი (23)

ოლიმპია: ველში (13), უდრიში (15), ბეჩიროვიჩი (26), მოდრიჩი, ბრეჟეცი (4), კოტნიკი (2), სკოტი (4), არსიჩი, მ. ჟუკაუსკასი, კოვაჩიჩი (15)


TELEBASKET
აეკ — ბენეტონი. აეკელი ბასილეს კიკილიასი (№7) და რიკარდო პიტისი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დიდი კაცი დაახურდავეს

22 თებერვალი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო ბაზრის დახურვის დღე გახლდათ. ამიერიდან სეზონის დამთავრებადე ვერც ერთი კალათბურთელი კლუბს ვერ შეიცვლის, ჰოდა, 22 თებერვალს, თითქოს მანამდე ამის დრო არ ჰქონდათო, ყველა, როგორც ერთი, ალაპარაკდა და საკუთარი კალათბურთელებით უკმაყოფილო გუნდებმა რამდენიმე ჯგუფური გაცვლა გაჩარხეს.

ყველაზე ხმაურიანი „ფილადელფიასა“ და „ატლანტას“ გარიგება გახლდათ, რადგან ისეთი კალათბურთელები, როგორიც დიკემბე მუტომბოა, ყოველდე არ იცვლიან გუნდებს. მასთან ერთად კიდევ ხუთმა მოთამაშემ შეიცვალა ადგილსამყოფელი. აწ უკვე ექსატლანტელი მუტომბოს ხელში ჩასაგდებად „ფილადელფიამ“ ოთხი რიგიანი ბიჭი არ დაიშურა და ატლანტაში თეო რეთლიფი, ტონი კუკოჩი, ნაზრ მუჰამედი და პეპე სანჩესი გაგზავნა. მუტომბოს ხურდად მოჰყვა როშონ მაკლეოდი.

ვაჭრობის თავიდათავი მუტომბო გახლდათ. ტომით კონგოელ, ამპლუით ცენტრ და სიმაღლით 218-სანტიმეტრიან კალათბურთელს „ატლანტასთან“ კონტრაქტი ამ ზაფხულს უმთავრდებოდა და ცოცხალი თავით ამ გუნდში აღარ დარჩებოდა. „ატლანტა“ ახლა ყალიბდება, მე კი 34 წლისა ვარ და მის მოძლიერებას ვერ დაველოდებიო, უთქვამს აფრიკელს და ბოლოს გუნდებს მაშინვე ყური უცქვეტიათ. დიკემბე ბევრს სურდა, ყველაზე მეტად კი — „ნიუ იორკსა“ და „ფილადელფიას“. გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა, რადგან „სიქსერზმა“ „ატლანტას“ სასურველი კალათბურთელის სანაცვლოდ მეტი შესთავაზა. „ვფიქრობ, ცუდად არ გვივაჭრია — ამბობს „ატლანტას“ გენერალური მენეჯერი პიტ ბებკოკი — რეთლიფი დიკემბეს თითქმის სრულფასოვანი შემცვლელია, შარშან ლიგაში პირველი იყო დაფარებებში და ახლაც პირველია. ამასთან, იგი საკმაოდ ახალგაზრდაა და ვიმედოვნებთ, მომავალში უფრო მოუმატებს. მნიშვნელოვანი შესაძენია ტონიც (კუკოჩი). ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეა სწორედ ისეთი, როგორც მშენებარე, ახალგაზრდულ გუნდს რომ წაადგება“. ეჰ, ტონი! იყო დრო, ხორვატი მუტომბოში ერთ-ერთზე გაიცვლებოდა, მაგრამ დღეს იგი სულაც არაა საუკეთესო ფორმაში, წლეულს „ფილადელფიას“ სასტარტო ხუთეულშიც ვერ ხვდებოდა, ამიტომაც კლუბი იოლად შეელია მას. თუ კუკოჩმა ძველი ფორმის აღდგენა შეძლო, იქნებ „ატლანტას“ ლიდერადაც იქცეს.

თუ კალათბურთში ჭიპმოჭრილი კაცი, კლუბის გენერალური მენეჯერი, არ ცდება და რეთლიფს და მუტომბოს სრულფასოვან შემცვლელად ასახელებს, მაშინ რამ აიძულა „ფილადელფია“, რომელიც ისედაც ლიგის საუკეთესო გუნდია, ამ გაცვლაზე დათანხმებულიყო? მიზეზი რეთლიფის ტრავმაა, რომელიც მან ორი კვირის წინ მიიღო და რის გამოც კიდევ ორ და იქნებ მეტ კვირასაც ვერ მოახერხოს თამაში. ისიც არავინ უწყის, გამოჯანმრთელებული თეო აღიდგენს თუ არა ჩვეულ ფორმას. მის შემცვლელ მეტ გეიგერს კი ხან ტრავმა აქვს, ხანაც სტეროიდების ხმარებისთვის იძულებით ისვენებს და როცა „სიქსერზის“ კიდევ ერთმა მეფარემ, თავდამსხმელმა ტაირონ ჰილმა ფეხი იტკინა, ფილადელფიაში სერიოზულად დაფიქრდნენ. პლეი ოფამდე ორი თვე დარჩა, „სიქსერზი“ კი ჩემპიონობას უმიზნებს და სათუოდ ვერ გაიხდის საქმეს. ტრავმების ეპიდემიას ისიც ემატება, რომ მთლიანობაში მუტომბო რეთლიფზე უკეთესი ცენტრია, მასზე ათი სანტიმეტრითაც მაღალია, „სიქსერზი“ კი წინ იხედება და ფინალში გასვლის შემთხვევაში აუცილებლად დასჭირდება დიდი მოთამაშე დასავლელ გიგანტებთან — შაკილ ონილთან, დევიდ რობინსონთან, არვიდას საბონისთან თუ ვლადე დივაცთან ჭიდილში. „ყველა გვეუბნებოდა, რომ ისედაც კარგი გუნდი ვართ და შუა სეზონში განხორციელებულმა ცვლილებებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს, მაგრამ, ვფიქრობ, არ შევცდარვართ, როცა ეს ნაბიჯი გადავდგით. თეო კარგი ბიჭია, ალალი და მშრომელი, მაგრამ იგი არა ნამდვილი ცენტრი. 208-სანტიმეტრიანი ცენტრით აღმოსავლეთში შეიძლება ყველას ვაჯობოთ, სულ სხვაა დასავლეთი. დარწმუნებული ვარ, ფინალში აუცილებლად ის გუნდი გავა, ვისაც დიდი მოთამაშე ჰყავს, მის წინააღმდეგ საბრძოლველად კი დიკემბე იდეალურ იარაღად მესახება. იგი დაცვის ბურჯია, გაუვალი კედელი და შეუძლია, სრულიად შეცვალოს თამაში“ — აფრიკელი ცენტრის ხელში ჩაგდებით ერთობ კმაყოფილი ჩანს „ფილადელფიის“ მწვრთნელი ლარი ბრაუნი.

შეტევაში დიკემბე მუტომბო დიდი არაფერია, წლეულს მის მიერ მატჩში საშუალოდ მოგროვებული 9,1 ქულაც ვერაფერი შედეგია. მუტომბო სხვა რამით უფრო დაიტრაბახებს — მიმდინარე სეზონში ლიგის უძლიერეს მომხსნელთა სიას დამაჯერებლად პირველობს და მეოთხეა დაფარებებში. მანამდე იგი სამჯერ ყოფილა პირველი დამფარებელი და ამდენჯერვე სეზონის საუკეთესო დამცველის ტიტულიც მოუხვეჭია, რაც ვერავის მოუხერხებია. მუტომბოს შვიდი „ოლ სტარიც“ ადებს ფასს და ისიც, რომ ათწლიან კარიერაში სერიოზული ტრავმა არ მიუღია. ასე რომ, შეიძლება ითქვას, „ფილადელფიამ“ ნამდვილად მიიღო ის კაცი, ვინც ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე სჭირდება. თავად მუტომბოს ჯერ სერიოზული არაფერი მოუგია, პლეი ოფში ყველაზე შორს, მეორე ეტაპზე გასულა, „სიქსერზთან“ ერთად კი ჩემპიონობაც რეალურია.

22 თებერვალი მხოლოდ ამ გაცვლით არ დასრულებულა. მუტომბო რომ ხელიდან გაუშვა, „ნიუ იორკმა“ „ტორონტოსთან“ გააჩაღა ვაჭრობა და იქიდან თავის რიგებში ორი ვეტერანი გამთამაშებელი — მარკ ჯექსონი და მაგსი ბოგსი გადაიყვანა, სანაცვლოდ კი მომავალი დრაფტის პირველ წრეში არჩევანის უფლება და ასევე ვეტერანი გამთამაშებელი კრის ჩაილდსი გაიღო, რომელმაც ვერა და ვერ ამოაგდო სასტარტო ხუთეულიდან ჩარლი ვორდი. სამაგიეროდ, ამას მოახერხებს ახალწვეული მარკ ჯექსონი. ჯექსონი გამოცდილი გამთამაშებელია, ლიგაში გატარებულ 14 სეზონში


ერთმანეთში გაცვლილები: დიკემბე მუტომბოს (№55) თეო რეთლიფი (მარჯვნიდან პირველი) უფარებს

იმდენი პასი გაუკეთებია, ნბა-ს ისტორიაში ოდენ სამ კაცს რომ დაუგროვებია. ჯექსონმა ნბა-ში „ნიუ იორკის“ მაისურათი შეაბიჯა, კარიერის პირველი ხუთი სეზონი იქ გაატარა და 1987-88 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედაც ამ გუნდში გახდა. ახლა, კარიერის მიწურულს, იგი ისეთი სწრაფი აღარაა, როგორც უწინ, მისი აქილევსის ქუსლი დაცვაში სუსტი თამაშია, მაგრამ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ „ნიუ იორკის“ დაცვით მანქანაში იგი იოლად იპოვის თავის ადგილს. თავის მხრივ, „ნიუ იორკს“ ერთობ წაადგება მისი გამოცდილება. სწრაფ შეტევებში არა და პოზიციურ თამაშში ნბა-ში მისი ბადალი ბევრი არ მოიძებნება.

„ტორონტო“ იოლად შეელია ჯექსონს. “რეპტორზს“ ხომ მფრინავი ოქრობიჭი ვინს კარტერი ჰყავს და რადგან ეს გუნდი სწრაფ კალათბურთს თამაშობს, ჯექსონი ერთგვარად ამუხრუჭებდა კიდეც.

„ტორონტო“ ამით არ დაკმაყოფილდა, „დეტროიტთანაც“ ივაჭრა, იქიდან ორი მეფარე — ჯერომ ვილიამსი და ერიკ მონტროსი გადაიყვანა, სანაცვლოდ კი კორლის ვილიამსონი, ტაირონ კორბინი, კორნელ დეივიდი და მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანი დათმო. „ტორონტომ“ „ნიუ იორკს“ ძირითადი გამთამაშებელი მარკ ჯექსონი გადაულოცა, რადაგნ უკანა ხაზში პრობლემები არა აქვს, ორი ექსდეტროიტელი კი კანადელთა ფარს კიდევ უფრო გაამაგრებს. ჯერომ ვილიამსი კარგი მეფარეა, ყოველ თამაშში საშუალოდ 8,4 ბურთს ხსნის. „დეტროიტმა“ თავის მხრივ, ძირითადი ხუთეულის წევრი მიიღო კორლის ვილიამსონის სახით, რომელიც ბოლო დროს ახალბედა მორის პეტერსონს ვერ სჯობნიდა, ახალ გუნდში კი ფრთის პოზიციის დაპყრობა არ გაუჭირდება, რადგან დეტროიტს გრანტ ჰილის დაკარგვის შემდეგ ამ ამპლუაში რიგიანი არავინ ჰყავს.

სხვებს არ ჩამორჩა კალათბურთის მეფე და ცუდი ხელმძღვანელი მაიკლ ჯორდანი, რომელიც აგერ ერთი წელია, „ვაშინგტონ ვიზარდსის“ მფლობელი და პრეზიდენტია. ყველაზე ხალხმრავალი გაცვლა მან მოაკვარახჭინა. „ვაშინგტონმა“ „დალასში“ ჯუონ ჰოვარდი, კელვინ ბუთი და ობონა ეკეზიე გაუშვა, მისგან კი კრისტიან ლეიტნერი, ჰუბერტ დევისი, კორტნი ალექსანდერი, ლოი ვოიტი და იტან ტომასი აიყვანა, გარდა ამისა, სამი მილიონი დოლარიც მიიღო. „ვაშინგტონი“ ისე შეელია ლიდერ ჯუონ ჰოვარდს, თვალიც არ დაუხამხამებია, პირიქით, დედაქალაქში გაუხარდათ კიდეც მისი თავიდან მოშორება. 1996 წელს ჰოვარდმა „ვაშინგტონთან“ შვიდწლიანი და 105-მილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა, რაც დედაქალაქელთა უდიდესი შეცდომა იყო. ამ კონტრაქტმა მინიმუმ 6-7 წლით გაუფუჭა გუნდს საქმე — კლუბის მამები ჰოვარდს იმხელა ხელფასს უხდიდნენ, რომ სხვა კარგი ბიჭების მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებდნენ. თავად ჰოვარდმა კი ვერ გაამართლა. მის მიერ ყოველ თამაშში საშუალოდ გაკეთებული 18 ქულა არაფერია იმ ფულთან შედარებით, რასაც იგი იღებდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

22 თებერვალი

### ვაშინგტონი 110:115 საკრამენტო

ვაშინგტონი: ჰამილტონი (29), რიჩმონდი (24), ვიტნი (24)
საკრამენტო: კრისტი (32), დივაცი (27), სტოიაკოვიჩი (22)

### შარლოტი 93:91 გოლდენ სტეიტი

შარლოტი: ბრაუნი (18), მაშბურნი (16)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (28), ჰიუზი (21), ბლეილოკი (18)

### პორტლენდი: 84:90 იუტა

პორტლენდი: ვოლესი (32 ქულა, 11 მოხსნა), სმიტი (16)
იუტა: მელოუნი (22), მარშალი (22), სტოქტონი (18)

### ჩიკაგო 80:93 კლიპერსი

ჩიკაგო: ჰოიბერგი (22), ბრენდი (17 ქულა, 16 მოხსნა)
კლიპერსი: მაკინისი (17), ოდომი (14 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)

### დალასი 98:91 ბოსტონი

დალასი: ნოვიცკი (23), ფინლი (19)
ბოსტონი: პირსი (23 ქულა, 11 მოხსნა), უოლკერი (17)

# სპორტული ლატარია კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანია. ბუნდესლიგა. 23-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | ფრაიბურგი-მიუნხენ 1860 | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-კიოლნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 004 | ბაიერნი-კიოლნი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.30 | 005 | ჰერტა-უნტერჰახინგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 006 | ჰერტა-უნტერჰახინგი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.30 | 008 | შალკე-დორტმუნდი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.15 | 009 | აინტრახტი-ვერდერი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 20.30 | 010 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 011 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 20.35 | 012 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 23-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | არმინია-ზანქტ პაული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 017 | მიუნხენგლადბახი-ალემანია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 018 | მიუნხენგლადბახი-ალემანია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 18.00 | 019 | ფიურტი-მაინცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 020 | ფიურტი-მაინცი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 021 | როიტლინგენი-ვალდჰოფი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 022 | კიკერსი-ალენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | | 26 თებერვალი | | | |
| 23.15 | 023 | ჰანოვერი-ოსნაბრიუკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 024 | ჰანოვერი-ოსნაბრიუკი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 28-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | ბრედფორდი-ვესტ ჰემი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 026 | ქოვენთრი-ჩარლტონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 027 | დერბი-ასტონ ვილა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 028 | იფსვიჩი-ევერტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 029 | ლესტერი-სანდერლენდი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 030 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 031 | ნიუკასლი-სიტი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 032 | ტოტენჰემი-ლიდსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 17.00 | 033 | მანჩესტერ იუნაიტედი-არსენალი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 34-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 035 | ბარნსლი-ქრიუ | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 036 | ბარნლი-ჰადერსფილდი | 1,65 | 3,5 | 4,2 |
| 19.00 | 037 | ჯილინგემი-ფულემი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 038 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 039 | ნოტინგემი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 040 | პრესტონი-უენსდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 041 | შეფილდი-კრისტალ პალასი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 042 | უოტფორდი-სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 043 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 044 | უიმბლდონი-ქუინზ პარკი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 34-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 045 | როტერჰემი-სტოკი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 046 | პიტერბრო-უიკომბი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 047 | ბრენტფორდი-ნოთსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 048 | როვერსი-კემბრიჯი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 049 | კოლჩესტერი-ბრისტოლი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 19.00 | 050 | ნორთჰემპტონი-უიგანი | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 19.00 | 051 | ოლდემი-ბორნმუთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 052 | ოქსფორდი-მილუოლი | 4,2 | 3,3 | 1,65 |
| 19.00 | 053 | პორტ ვეილი-ბერი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 054 | სუონსი-რედინგი | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 055 | სუინდონი-ლუტონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 056 | უოლსოლი-რექსემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 057 | უოლსოლი-რექსემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 34-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 058 | ბრაიტონი-იორკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 059 | ბრაიტონი-იორკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 060 | ჩესტერფილდი-ბლეკპული | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 061 | დარლინგტონი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 062 | ექსეტერი-კარლაილი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 063 | ჰალიფაქსი-ტორკი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 064 | ჰარტლპული-მენსფილდი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 065 | ჰალი-ბარნეტი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 066 | ლინკოლნი-ლეიტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 067 | პლიმუთი-ჩელტენემი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 068 | როჩდეილი-შრიუსბერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 069 | სკანთორპი-საუთენდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 16.00 | 070 | კიდერმინსტერი-კარდიფი | 3,0 | 2,9 | 2,3 |

### იტალია. სერია A. მე-20 ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 072 | ფიორენტინა-ბრეშა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 23.30 | 073 | ატალანტა-ბარი | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 18.00 | 074 | ბოლონია-ნაპოლი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 075 | პარმა-პერუჯა | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 18.00 | 076 | ლეჩე-რეჯინა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 077 | ვიჩენცა-რომა | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 18.00 | 078 | ინტერი-უდინეზე | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 18.00 | 079 | ლაციო-ვერონა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 080 | ლაციო-ვერონა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.30 | 081 | იუვენტუსი-მილანი | 1,7 | 2,9 | 4,7 |

### იტალია. სერია B. 24-ე ტური

25 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 083 | კიევო-კალიარი | 1,75 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 084 | პესკარა-ჩიტადელა | 1,85 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 085 | მონცა-კოზენცა | 2,9 | [illegible] | 2,5 |
| 18.00 | 086 | პიაჩენცა-ემპოლი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 087 | პისტოიეზე-რავენა | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 088 | ტერნანა-სიენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 089 | სამპდორია-ტორინო | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 090 | კროტონე-ტრევიზო | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| | | 26 თებერვალი | | | |
| 23.45 | 091 | სალერნიტანა-ჯენოა | 1,65 | 2,8 | 6,5 |

### იტალია. სერია C1/a. 24-ე ტური

25 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 092 | ჩეზენა-ალბინოლეფე | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| 18.00 | 093 | ბრეშელო-ალესანდრია | 1,8 | 2,5 | 5,6 |
| 18.00 | 094 | ლუმეცანე-ალძანო | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| 18.00 | 095 | არეცო-კარარეზე | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 096 | პიზა-ლეკო | 1,55 | 2,8 | 7,5 |
| 18.00 | 097 | კომო-ლივორნო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.00 | 098 | მოდენა-ლუკეზე | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 099 | სპალ-რეჯანა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 100 | სპეცია-ვარეზე | 1,6 | 2,7 | 7,0 |

### იტალია. სერია C1/b. 24-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 101 | ლოდიჯანი-დი სანგრო | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 18.00 | 102 | ატლეტიკო-აველინო | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 18.00 | 103 | ტორესი-ბენევენტო | 1,65 | 2,6 | 6,5 |
| 18.00 | 104 | სავოია-კატანია | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 18.00 | 105 | აკილა-ფერმანა | 1,65 | 2,6 | 6,5 |
| 18.00 | 106 | ასკოლი-ფიდელის ანდრია | 1,55 | 2,8 | 7,5 |
| 18.00 | 107 | პეზარო-ჯულიანოვა | 1,85 | 2,5 | 5,0 |
| 18.00 | 108 | ნოჩერინა-მესინა | 2,6 | 2,4 | 2,9 |
| 18.00 | 109 | პალერმო-ვიტერბეზე | 1,45 | 3,2 | 7,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 24-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 110 | დეპორტივო-რეალი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 20.00 | 111 | რაიო ვალეკანო-ესპანიოლი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 112 | ალავესი-სელტა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 113 | ოვიედო-ოსასუნა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 114 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 115 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 116 | მალაგა-ლას პალმასი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 117 | ბილბაო-ნუმანსია | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 118 | რასინგი-მალიორკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 119 | ბარსელონა-სოსიედადი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 120 | ბარსელონა-სოსიედადი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 26-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 121 | ტენერიფე-ულვა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 21.00 | 122 | ეიბარი-ხეტაფე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 21.00 | 123 | ლეიდა-ელჩე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 15.00 | 124 | ატლეტიკო-ბეტისი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 15.30 | 125 | ბადახოსი-ფეროლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 16.00 | 126 | უნივერსიდადი-ხაენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 127 | კორდობა-კომპოსტელა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 128 | ესტრემადურა-ლევანტე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 20.00 | 129 | მურსია-სპორტინგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 130 | სალამანკა-ალბასეტე | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 131 | სევილია-ლეგანესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 132 | სევილია-ლეგანესი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### პორტუგალია. I ლიგა. 22-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 135 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 136 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 19.00 | 137 | ფარენსე-ავეში | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 138 | ფერეირა-ლეირია | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 139 | კამპომაიორენსე-ბეირა მარი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 140 | ალვერკა-ბრაგა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.00 | 141 | მარიტიმუ-პორტუ | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 01.00 | 142 | ბენფიკა-ბოავიშტა | 1,75 | 3,0 | 4.4 |
| | | 26 თებერვალი | | | |
| 23.30 | 143 | გიმარაეში-სალგეიროში | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### პორტუგალია. II ლიგა. 22-ე ტური

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 144 | ოვარენსე-პენაფიელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 145 | რიუ ავე-შავეში | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 146 | რიუ ავე-შავეში 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | 25 თებერვალი | | | |
| 15.00 | 147 | ვარზიმი-აკადემიკა | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 19.00 | 148 | ფელგეირაში-ესპინიუ | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 149 | ლეცა-მარკუ | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 19.00 | 150 | ფრეამუნდე-სეტუბალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 151 | იმორტალი-ლამაში | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 152 | ნასიონალი-ნავალი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 153 | სანტა კლარა-მაია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 154 | სანტა კლარა-მაია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

24 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 157 | ტვენტე-ვიტესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 158 | ვალვაიკი-სიტარდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 159 | ვალვაიკი-სიტარდი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 160 | ალკმაარი-როდა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 161 | ფეიენოორდი-პსვ | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 17.30 | 162 | გრონინგენი-ბრედა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 17.30 | 163 | აიაქსი-უტრეხტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 164 | აიაქსი-უტრეხტი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. 22-ე ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 167 | ემენი-მაასტრიხტი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 22.00 | 168 | ჰაარლემი-ვენლო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.00 | 169 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 170 | კამბური-ტელსტარი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 22.00 | 171 | ჰერაკლესი-ეინდჰოვენი | 1,55 | 3,3 | 6,0 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 172 | იგლსი-დენ ჰააგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 173 | იგლსი-დენ ჰააგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 17.30 | 174 | ვოლენდამი-დენ ბოსხი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ბელგია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 175 | გენტი-ბრიუგე | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 176 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

**ბელგია. II დივიზიონი. 25-ე ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 177 | მონსი-ოსტენდე | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 178 | ლომელი-ტინენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 179 | ლომელი-ტინენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 180 | დაინცე-ჰეკელგემი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 181 | მაასლანდი-დესელი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 182 | ჰეუსდენი-ინგელმუნსტერი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 23.00 | 183 | ლიეჟი-დენდერლეუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 184 | მოლენბეკი-ტურნჰაუტი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 185 | რუზელარე-გეელი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

**საბერძნეთი. მე-20 ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 186 | პანილიაკოსი-პანათინაიკოსი | 4,7 | 3,3 | 1,65 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 187 | იონიკოსი-პანაჰაიკი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 18.00 | 188 | ეთნიკოსი-კალამატა | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 189 | არისი-ქსანთი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 18.00 | 190 | ათინაიკოსი-იანინა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 18.00 | 191 | ირაკლისი-პანიონიოსი | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 21.00 | 192 | ოფი-პაოკ | 3,5 | 3,0 | 1,9 |

**26 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 193 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**ჩეხეთი. მე-18 ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 195 | ჟიჟკოვი-სპარტა | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 17.00 | 196 | ბლშანი-სინოტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.00 | 197 | იაბლონეცი-ბანიკი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.00 | 198 | პრჟიბრამი-სიგმა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 199 | დრნოვიცე-პლზენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 200 | დრნოვიცე-პლზენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.30 | 201 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 202 | სლავია-ბოჰემიანსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 203 | სლავია-ბოჰემიანსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**თურქეთი. 22-ე ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 205 | ანკარაგიუჯიუ-იეთფა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 206 | ანკარაგიუჯიუ-იეთფა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 15.30 | 207 | რიზე-ანთალია | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 15.30 | 208 | ადანა-იოზგათი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 209 | ფენერბაჰჩე-ბეშიქთაში | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 210 | ბურსა-დენიზლი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 15.30 | 211 | ტრაბზონი-ისთანბული | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 212 | ტრაბზონი-ისთანბული 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 15.30 | 213 | ერზურუმი-სამსუნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 214 | გალათასარაი-ქოჯაელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 215 | გალათასარაი-ქოჯაელი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**შოტლანდია. 29-ე ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.55 | 216 | დანდი-რეინჯერსი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| 19.00 | 217 | აბერდინი-სენტ ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 218 | ჰართსი-დანფერმლაინი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 219 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1,45 | 3,6 | 5,0 |
| 19.00 | 220 | სენტ მირენი-მოზერუელი | 2,8 | 3,1 | 2,2 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.05 | 221 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 222 | სელტიკი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

**ავსტრია. გადადებული მატჩი**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 223 | შტურმი-ტიროლი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. 1-ლი ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 225 | ლოზანა-ციურიხი | 1,7 | 3,0 | 5,0 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 226 | ლუგანო-სიონი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.15 | 227 | სერვეტი-ბაზელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. 1-ლი ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 228 | ვილი-იანგ ბოისი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.30 | 229 | არაუ-ბელინცონა | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 230 | ქსამაქსი-ივერდონი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 17.30 | 231 | ვინტერთური-ლუცერნი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. 1-ლი ტური**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 232 | დელემონი-სოლოთურნი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 233 | კრინსი-ვანგენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.30 | 234 | ლოკარნო-ბადენი | 1,7 | 3,1 | [illegible] |
| 17.30 | 235 | თუნი-კარუჟი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**ინგლისი. ლიგის თასის ფინალი**

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 236 | ბირმინგემი-ლივერპული | 6,0 | 3,5 | 1,4 |

**საფრანგეთი. ლიგის თასის 1/4 ფინალი**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 237 | ამიენი-ლიონი | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 23.45 | 238 | შატორუ-მონაკო | 2,8 | 2,9 | 2,3 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.15 | 239 | ნიორი-სენტ ეტიენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**ბელგია. თასის 1/4 ფინალი. გადათამაშება**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 240 | გენკი-სერკლი | 1,4 | 3,6 | 5,6 |

**მჩ-შესარჩევი მატჩები**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 502 | ნამიბია-ეგვიპტე | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 18.30 | 503 | ბურკინა ფასო-ზიმბაბვე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 504 | მაროკო-სენეგალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 505 | მალავი-სამხრეთ აფრიკა | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 18.00 | 506 | ტუნისი-დრ კონგო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 18.30 | 507 | კამერუნი-ზამბია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 508 | კოტ დივუარი-კონგო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 19.00 | 509 | ლიბერია-სიერა ლეონე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 510 | სუდანი-განა | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**კალათბურთი**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 811 | ვაშინგტონი-ტორონტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 812 | შარლოტი-ფილადელფია | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 04.30 | 813 | მაიამი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 814 | დალასი-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.30 | 815 | ჩიკაგო-ვანკუვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 816 | დენვერი-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 817 | კლიპერსი-პორტლენდი | 3,1 | 12,0 | 1,25 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 818 | ნიუ იორკი-საკრამენტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 24.00 | 819 | ინდიანა-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 820 | ფინიქსი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 02.30 | 821 | ლეიკერსი-ორლანდო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 02.30 | 822 | მილუოკი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 823 | დეტროიტი-კლივლენდი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 824 | ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

**26 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 825 | ბოსტონი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.00 | 826 | შარლოტი-ინდიანა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.00 | 827 | ფილადელფია-მილუოკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 828 | ჩიკაგო-გოლდენ სტეიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 829 | ჰიუსტონი-პორტლენდი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 06.00 | 830 | დენვერი-ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 06.00 | 831 | იუტა-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 832 | კლიპერსი-დალასი | 2,8 | 12,0 | 1,3 |

**ჰოკეი**

**24 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 910 | აილენდერსი-ფლორიდა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 22.00 | 911 | ფილადელფია-ტამპა ბეი | 1,25 | 4,0 | 6,5 |
| 01.00 | 912 | ოტავა-ვანკუვერი | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 01.00 | 913 | ლოს ანჯელესი-კოლუმბუსი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 914 | ტორონტო-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 915 | კაროლინა-ვაშინგტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 916 | ნეშვილი-მინესოტა | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 05.30 | 917 | სენტ ლუისი-ბოსტონი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 07.00 | 918 | კალგარი-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**25 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 919 | ბუფალო-ტამპა ბეი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 24.00 | 920 | დეტროიტი-ფინიქსი | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 921 | კოლორადო-ატლანტა | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 02.00 | 922 | პიტსბურგი-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 05.00 | 923 | ფილადელფია-რეინჯერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 05.00 | 924 | ჩიკაგო-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 925 | ედმონტონი-დალასი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 926 | ანაჰაიმი-კოლუმბუსი | 1,65 | 4,0 | 2,8 |

**26 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 927 | რეინჯერსი-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 928 | ნიუ ჯერსი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 05.00 | 929 | სენტ ლუისი-სან ხოსე | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 05.00 | 930 | მინესოტა-ვანკუვერი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 06.00 | 931 | კალგარი-დალასი | 2,3 | 4,0 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სკადი მადაზე მოდის

**მემფისი (აშშ)**
**CROGER ST. JUDE-ის პირველობა**
**დარბაზი. ხალიჩა**
**საპრიზო 800 ათასი $**

მარკ ფილიპუსისი ამბიციების ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა. ოპერაციისა და რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ ჩოგბურთელთა უმეტესობა ერთი-ორი მატჩის მოგებითა და ხეირიანად გავარჯიშებითაც კმაყოფილი დარჩებოდა, მაგრამ „სკადს“ გაცილებით დიდი მადა აქვს.

„მართალი რომ გითხრათ, აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ სეზონი გამარჯვებით დავიწყო. ეს თავდაჯერებას შემმატებდა, ჩემს მეტოქეებსაც ეცოდინებოდათ, რომ მცირე ხნის არყოფნის შემდეგ დავბრუნდი და ისევ ჯანზე ვარ“ — არ მალავს გიგანტი ავსტრალიელი, რომელსაც ქრონიკულად მტკივანი მუხლის სამკურნალოდ დეკემბერში ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

ჯერჯერობით ფილიპუსისი ელვის პრესლის მშობლიურ ქალაქში მედგრად მიიწევს წინ. საფირმო ტყვია-მოწოდებების დახმარებით „სკადმა“ მერვედფინალში შვედი მაგნუს გუსტაფსონი დაამარცხა 6:3, 7:5. წლეულს ავსტრალიელი ერთადერთ მიზანს ისახავს — როგორმე „მუდმივად პერსპექტიულის“ იარლიყი ჩამოიხსნას და, ბოლოს და ბოლოს, დიდი სლემის ტურნირი მოიგოს.

24 წლის ოზი 1996-დან მოყოლებული „მომავლის ვარსკვლავად“ ითვლება, მაგრამ ამ მომავლის დადგომას საშველი არა და არ დაადგა: ნაწილობრივ ტრავმებისა და ნაწილობრივ საკუთარი ხისთავიანობის გამო შესაშური ფიზიკური მონაცემების პატრონი ფილიპუსისი კლასიფიკაციის საუკეთესოთა ათეულშიც კი ვერ დამკვიდრდა.

თავად „სკადი“ შედარებით წარუმატებლობას (აბა, საბანკო მილიონებისა და ძვირფასი სპორტული მანქანების კოლექციის პატრონ კაცს წარუმატებელი უწოდო, ენა როგორ მოგიბრუნდება) სიზარმაცით ხსნის და ანდრე აგასის მაგალითით შთაგონებული ამიერიდან თავდაუზოგავ ვარჯიშს აპირებს: „მას რომ ვუყურებ, ვხვდები, რაც უნდა გავაკეთო „მეიჯორის“ ტიტულის მოსაპოვებლად. თუ მინდა, მსოფლიოს პირველი, მეორე, მესამე ჩოგანი გავხდე, ამისთვის შრომა, შრომა და კიდევ შრომაა საჭირო“.

ფილიპუსისის მეტოქე მეოთხედფინალში მემფისის ტურნირის აღმოჩენა, 18 წლის დიმიტრი ტურსუნოვი იქნება. კალიფორნიაში მცხოვრები რუსისთვის ეს კარიერის პირველი ATP-ის პირველობაა, თუმცა თუ კვალიფიკაციასა და დაბალ ლიგებში ჩატარებულ მატჩებსაც ჩავთვლით, მისი გამარჯვებათა სერია უკვე 18 მატჩს ითვლის.

ტურსუნოვმა ამჯერად შვეიცარიელი გეორგ ბასტლი დაამარცხა 6:3, 7:6(7:4). „ბუნებრივია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად წავაგებ, მაგრამ ამ წუთისთვის საოცარ თავდაჯერებულობას ვგრძნობ. მწვრთნელი მეუბნება, ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, გაცილებით ადრე გამოიჩენდი თავსო. განსხვავება ის არის, რომ მან ზედმეტად რისკიან თამაშს გადამაჩვია“.

**მერვედფინალი: ტომი ჰაასი (3, გერმანია) — პოლ გოლდსტაინი (14, აშშ) 6:3, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (5, აშშ) — ხუან ბალსელსი (11, ესპანეთი) 6:0, 7:5; დავიდე სანგვინეტი (9, იტალია) — მაიკლ ჩანგი (6, აშშ) 6:2, 6:3; ჯეისონ სტოლტენბერგი (12, ავსტრალია) — ჰარელ ლევი (8, ისრაელი) 6:4, 6:7(6:8), 7:6(7:3); კრის ვუდრაფი (აშშ) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:3, 7:6(7:3)**

**როტერდამი (ჰოლანდია)**
**ABN/AMRO-ს პირველობა**
**დარბაზი. ხალიჩა.**
**საპრიზო 850 ათასი $**

**მერვედფინალი: ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) 6:4, 6:2; ალექს კორეჩა (3, ესპანეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:4, 4:6, 6:1; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (4, ინგლისი) 6:3, 7:5; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — არნო კლემანი (5, საფრანგეთი) 6:4, 6:4; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — სებასტიან გროჟანი (7, საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:4; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:7(2:7), 7:5, 7:6(7:5)**

**დუბაის (საემიროები)**
**საჩოგბურთო ჩემპიონატი**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

„როლან გაროსის“ ჩემპიონი მარი პირსი წლეულს ჩემპიონებს რომ შეეფერებათ, ისე ველარ თამაშობს. ფერხორციანმა ფრანგმა თებერვალში სამ ტურნირზე ითამაშა და პარიზში, დოჰასა და დუბაიში ერთად აღებული ერთადერთი მატჩი მოიგო.

ამჯერად მარის 28 წლის ავსტრალიელმა რეიჩელ მაკქვილანმა აწყვილინა თავბედი. ვეტერანმა ოზმა, რომელიც ჯერ კიდევ შარშან კლასიფიკაციის მესამე ასეულში იმყოფებოდა და სპორტიდან წასვლას აპირებდა, პირსი თამაშის ყველა ასპექტში დაიჩაგრა, 3:3-დან მოყოლებული ზედიზედ რვა გეიმი მოიგო და მატჩს სულ 53 წუთი დაახარჯა.

„საკუთარი თავიც გავაკვირვე. კვალიფიკაციის გავლის შემდეგ რომ ვთქვათ, ნახევარფინალში გააღწევო, ეს ხუმრობა მეგონებოდა, ბოროტი ხუმრობა. მარისთანა გოგონები ასეთ წარმატებებს ლამის ყოველ ტურნირზე აღწევენ, მე კი იმითაც ბედნიერი ვარ, თუ ეს მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც მოვახერხე“ — ბრწყინავდა ავსტრალიელი.

პირსი, რომელსაც ბოლო ხანებში თავის გასამართლებელი მიზეზების ძებნა უჩვეულოდ ხშირად უხდება, ძალიან დაბნეულად გამოიყურებოდა. „ალბათ ცოტა დაღლილად ვგრძნობ თავს, ასე მგონია, მთელი წელია, არ დამისვენია, ძალიან ბევრს ვმოგზაურობდი და ვთამაშობდი“ — არადა, ტრავმის გამო შარშან ფრანგმა მაისიდან მოყოლებული სულ ორ ტურნირზე ითამაშა.

სანდრინ ტესტიუს მარტინა ჰინგისის დამარცხება, ეტყობა, არასოდეს უწერია. ფრანგი მსოფლიოს პირველ ჩოგანს უკვე თხუთმეტჯერ შეხვდა, აქედან ნახევარზე მეტჯერ დიდი ბრძოლაც გაუმართა, მაგრამ სასურველ გამარჯვებას ვერა და ვერ ეღირსა. რომში მცხოვრები ტესტიუ ჰინგისს დუბაიშიც თავგანწირულად ეომა, გადამწყვეტ ხელში მოწოდება სამჯერ აართვა, თუმცა ორ საათზე მეტხანს გაწელილი თვალსასეირო მატჩი ისევ შვეიცარიელის გამარჯვებით დასრულდა.

სასწაული უნდა მოხდეს, რომ მარტინამ საემიროებიდან მთავარი ჯილდოც არ გააყოლოს ხელს.

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — სანდრინ ტესტიუ (5, საფრანგეთი) 6:3, 5:7, 6:4; რეიჩელ მაკქვილანი (ავსტრალია) — მარი პირსი (2, საფრანგეთი) 6:3, 6:1; ნატალი ტოზია (3, საფრანგეთი) — სელიმა სფარი (ტუნისი) 7:6(7:3), 5:7, 6:3; ტამარინე ტანასუგარნი (7, ტაილანდი) — ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) 7:6(7:1), 6:3**

**ოკლაჰომა სიტი (აშშ).**
**IGA-ის დარბაზის პირველობა.**
**ხალიჩა. საპრიზო 170 ათასი $**

ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა, თუმცა ჯენიფერ კაპრიატისთვის ამ დრომ წამივით ჩაირბინა — მელბურნის ტრიუმფატორი ღრუბლებიდან ცოდვილ დედამიწაზე დაშვებას არც ოკლაჰომა სიტის მოკრძალებული ტურნირზე აპირებს.

ჯანიანმა ჯენიმ მერვედფინალში ისეთივე აგრესიითა და მონდომებით ითამაშა, როგორც სეზონის პირველ „მეიჯორზე“, რაც მისი უმწეო მეტოქის, ესპანელი მარია ალეხანდრა ვენტოსათვის მეტად უსიამოვნო სიურპრიზი გახლდათ. ამ უკანასკნელმა მატჩში სულ სამი გეიმის მოგება მოახერხა 2:6, 1:6.

„ძალიან მაინტერესებდა, როგორ ფორმაში ვიმყოფებოდი ამჟამად, რადგან ავსტრალიიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღე დავისვენე და ვარჯიში მომაკლდა. ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, უკვე დიდი ვარ იმისთვის, რომ წარმატებამ თავგზა ამიბნიოს“ — აღნიშნა ყოფილმა ვუნდერკინდმა.

ახლა კაპრიატის იმ ჩოგბურთელთან ელის შეხვედრა, რომელთანაც უკანასკნელად იგემა მარცხის სიმწარე. ამერიკელმა ლაიზა რეიმონდმა თანამემამულე ზედ „ოუფენის“ დაწყების წინ, იანვარში სიდნეიში გაამწარა.

**მერვედფინალი: მონიკა სელეში (1, აშშ) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 7:6(7:1), 6:3; დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) — ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) 7:6(7:0), 3:6, 6:0; ლაიზა რეიმონდი (5, აშშ) — დონ ბუტი (აშშ) 6:3, 6:0; ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — იანა კანდარი (გერმანია) 6:3, 7:6(9:7)**

**ავთანდილ სვანიძე**

თხილამურობა

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ლაჰტი (ფინეთი)**


ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

გახარებულმა თანაგუნდელებმა მიკა მულულა ააბურთავვეს

# ნაგრიპალის ოქროს წილი

**მიკა მულულას** დრამას ბედნიერი ბოლო უჩანს. სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ერთგზის ვიცე-ჩემპიონი, როგორც იქნა, გრიპისგან განიკურნა და გუშინწინ ლაჰტის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინეთის საესტაფეტო ოქროში ლომის წილი დაიდო.

არადა, კვირის დასაწყისში მულულას გული უკვდებოდა. ესტონეთიდან ჩამოყოლილი ვირუსის გამო 15 კილომეტრზე კლასიკური რბოლა გამოტოვა, კომბინაციის პირველ ეტაპზე კი სანაქებოდ ისრიალა და როცა ოქროს მედალი უკვე მკერდზე ეგულებოდა, ექიმებმა სრიალის გაგრძელება აუკრძალეს. მწუხარე მიკა შინ წავიდა და შვილებთან თამაშით დარდს იქარვებდა. „თხილამურობის დავიწყება მინდოდა“ — დაახასიათა თავისი მდგომარეობა ფინელმა. მის გარეშე შედგა 30-კილომეტრიანი რბოლაც და მხოლოდ ხუთშაბათს, ვაჟთა 4X10 კილომეტრიანი ესტაფეტის წინ ექიმებმა მოთხილამურის ასპარეზობა შესაძლებლად მიიჩნიეს.

მასპინძლები უაღრესად დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ, 18 ათასი ქომაგის თვალწინ იმ დისციპლინის ოქროს მოპოვება სურდათ, რომელიც ფინელებმა უკანასკნელად მეოთხედი საუკუნის წინ, ინსბურკის ოლიმპიურ თამაშებზე მოიგეს. მსოფლიოს ჩემპიონატთან ინსბურკის ოლიმპიადა იმ კავშირშია, რომ ადრე თხილამურობის ორივე ღონისძიება ერთად ტარდებოდა და ოლიმპიადის ჩემპიონი ავტომატურად მსოფლიოს ჩემპიონიც ხდებოდა.

რბოლა დაძაბულად დაიწყო. ლაჰტიში დამკვიდრებული ტრადიციით, პირველობისთვის ბრძოლაში თავიდანვე სკანდინაველები ჩაებნენ. ნორვეგიელთაგან რბოლა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ფროდე ესტილმა დაიწყო და ესტაფეტა მორიგეობით აიღეს ერთიმეორეზე ცნობილებმა: ოდ-ბიორნ ჰიელმესეტმა, თომას ალსგაარდმა და ტორ არნე ჰეტლანდმა, რომელმაც წინადღეს სპრინტის მოგება მოასწრო. შვედებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი პერ ელოფსონი გამოირჩეოდა, რომელსაც დასკვნითი იერიში ევალებოდა. დანარჩენი ქვეყნები უკვე სტარტიდან უმედლობისთვის გაიწირნენ, თუმცა გერმანელთა ჯიქურობამ ერთხანს კინაღამ საქმე არია. მათ ცოტა არ ეყოთ, მეოთხე ადგილზე ხუთწამიანი დეფიციტით გავიდნენ. რაც შეეხებათ რუსებს, ავსტრიელებს, იტალიელებს, ესტონელებსა (ეს გუნდები დაკავებული ადგილების მიხედვით ჩამოვთვალეთ) და სხვებს — სულ 16 ნაკრები სრიალებდა — მათი პრეტენზიები თავიდანვე მოკრძალებული იყო და რბოლისას არ შეცვლილა.

მოკლედ, ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია... ბრჭყალები თავიდან უკანასკნელებმა გამოაჩინეს. დასავლეთსკანდინაველები ორი ეტაპის მანძილზე დამაჯერებლად ლიდერობდნენ, შემდეგ რიგიანად ირბოლა ფინელმა სამი რეპომ და ჩამორჩენა ოდნავ შეამცირა. იქით კი გაირკვა, რომ შვედები ოქროს ძნელად თუ მოიგებდნენ: სანამ ჯერი ელოფსონამდე მივიდოდა (მე-4 ეტაპზე), მათი ჩამორჩენა პრაქტიკულად აუნაზღაურებელი გახდა. მერე ბევრს ეცადა ელოფსონი, 15-გრადუსიან ყინვაში ჯოხები უწყვეტად და გამალებით ამუშავა, მაგრამ წინწასულებთან მხოლოდ მიახლოება შეძლო. სიცივე მეტად უჭირვებდა საქმეს ნაგრიპალ მულულას, რომელსაც თურმე ხორხი და ფილტვები ადვილად უცივდება და როცა მეტისმეტად ყინავს, თასის გარდა ნებისმიერ ასპარეზობას (თუნდ ქვეყნის ჩემპიონატი იყოს) ტოვებს ხოლმე. „გულით ვნატრობდი, ნეტავ, ტემპერატურამ მინუს ცამეტამდე მაინც მოიმატოს-მეთქი — აღნიშნა მულულამ რბოლის შემდეგ, როცა, წინასწარ გეტყვით, კისერზე უკვე ოქროს მედალი ეკიდა — თუ მცივა, მუდამ ცუდ შედეგებს ვუჩვენებ“.

როცა მულულამ ესტაფეტა ჩაიბარა, ნორვეგიელი სპრინტის ჩემპიონი, ტორ არნე ჰეტლანდი უკვე გამალებით მისრიალებდა ფინიშისკენ და მულულა მონადირესავით მის კვალზე შედგა. ფინელის სტრატეგია მარტივი იყო: დავეწიოთ და გავუსწროთ ნორვეგიას, ოღონდ დაუყოვნებლივ! „მე ვიცოდი, — ხსნის მულულა თავის მოქმედებას — ფინალური სპრინტით ჰეტლანდის გასწრების შანსი არ მქონდა“. ამიტომ ფინელმა პირველსავე ბორცვზე შეუტია. ჰეტლანდმა გაძლო, მაგრამ მულულამ ტემპი არ დააგდო და შეტევა მეორე ბორცვზე განაგრძო. ამჯერად კი ვერ აიტანა ნორვეგიელმა არაადამიანური დაძაბულობა და გატყდა. მულულა წინ გაიჭრა და კილომეტრიდან კილომეტრამდე ზრდიდა მეტოქესთან სხვაობას, თითქოს ათი კილომეტრი კი არა, იმის მეათედი ჰქონდა გასავლელი. ჰეტლანდმა მარცხი ადრევე იგრძნო და უფრო მოკრძალებული ამოცანის შესრულებაზე გადაერთო, გვარიანად ჩამორჩენილი ელოფსონი არ უნდა გაეკარებინა. ეს საქმე ძნელი არ ჩანდა და ხუთიანზე შესრულდა.

როცა მულულამ ფინიში გადალახა, ათასობით ფანი ტაშს უკრავდა. მას მაშინვე თანაგუნდელები ეცნენ და ჰაერში სამჯერ ააბურთავეს. ირგვლივ სიხარული სუფევდა, გვერდზე კი წყნარად იდგა 43 წლის ვეტერანი ჰარი კირვისნიემი და ჟურნალისტებს ამცნობდა, რომ 16-ჯერ გამოსულა ესტაფეტაში ოლიმპიადებსა და მსოფლიოს პირველობებზე, ოქრო კი პირველად მოიპოვა. „დროული იყო“ — თქვა ბებერმა ჰარიმ.

**დავით გულუა**

**ვაჟები. 4X10 კმ. ესტაფეტა**

1. **ფინეთი** (იანე იმონენი, ჰარი კირვისნიემი, სამი რეპო, მიკა მულულა) 1:36.15,5
2. **ნორვეგია** (ფროდე ესტილი, ოდ-ბიორნ ჰიელმესეტი, თომას ალსგაარდი, ტორ ანდრე ჰეტლანდი) 1:36.42,5
3. **შვედეთი** (ურბან ლინდგრენი, მატიას ფრედრიკსონი, მაგნუს ინგესონი, პერ ელოფსონი) 1:37.25,2

ჭადრაკი

# ქართული კვალი ჭადრაკის თეორიაში




**გუშინ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას წიგნის — „ლაზიერის გამბიტი და კატალონური დაცვა შავებისთვის“ — პრეზენტაცია გაიმართა. პრეზიდიუმში იყვნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი როინ მეტრეველი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი და სხვები. თავყრილობას როინ მეტრეველი უძღვებოდა. ლაშა ჯანჯღავას წიგნი ლონდონში გამოიცა ინგლისურ ენაზე. წიგნის წინაისტორია ასეთია: შარშან ზაფხულს ქართველმა დიდოსტატმა ლონდონიდან წინადადება მიიღო — მას თანამშრომლობას სთავაზობდნენ, ორი სერიოზული დებიუტის თეორიულ კვლევას. პრეზენტაციაზე გამომსვლელთა საერთო აზრით, სწორედ ისაა იშვიათი, რომ შეკვეთა თეორიის სფეროდანაა, თორემ პრაქტიკული შეკვეთები ჩვენთან ბევრად უფრო ხშირი ყოფილა.

ჯანჯღავამ წინადადება მიიღო. დღეს ჭადრაკში თეორიული მუშაობა კომპიუტერის გარეშე უაზრობაა, ამიტომ პირველ რიგში ეს პრობლემა უნდა მოგვარებულიყო, რაშიც დიდოსტატს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სოსო არჩვაძე დაეხმარა. უწყვეტი დენის პრობლემა ენათმეცნიერების ინსტიტუტში მოგვარდა და ჯანჯღავა მუშაობას შეუდგა. შედეგი სახეზეა: სერიოზული ნაშრომი დებიუტების თეორიაში, რომელსაც პრეზენტაციაზე მაღალი შეფასება მიეცა.

ახლა ჯანჯღავა მეორე წიგნზე მუშაობს. მასში რუსული პარტიის ასპექტები აისახება და თუ ყველაფერი კარგად აეწყო, წიგნი მაისის ბოლოს გამოვა, ხოლო ქართულ ჭადრაკს ერთი თეორეტიკოსი უკვე შეემატა.

# ზარალი და გულისტკენა

## ელიადისი VS ლუისი




ლენოქს ლუისი და პანოს ელიადისი ერთ დროს თანამშრომლობდნენ

ლენოქს ლუისი მძიმე წონაში მსოფლიოს უპირობო ჩემპიონია, მორალურად სამივე უდიდესი ორგანიზაციის, WBC-ს, WBA-ს და IBO-ს ქამრებს ფლობს (იურიდიულად WBA-მ ტიტული ჩამოართვა), თუმცა ამ წერილში სხვა თემა გვაქვს: ლუისისა და მისი ოდინდელი პრომოუტერის, პანოს ელიადისის ურთიერთობა. მოგეხსენებათ, ერთი ხნის წინ, ჩემპიონსა და ელიადისს შორის განხეთქილება ჩამოვარდა, რომლის შესახებაც ხუთშაბათს პრომოუტერმა ლონდონის ოფისში პრეს-კონფერენცია გამართა. ეს გახლდათ პირველი საჯარო საუბარი უსიამოვნების შესახებ.

მოგეხსენებათ, 21 აპრილს ლუისი სამხრეთ აფრიკაში ამერიკელ ჰასიმ რაჰმანთან იჩხუბებს. როდესაც ჩემპიონი ამ ბრძოლას საბოლოოდ და ოფიციალურად დაყაბულდა, იქვე განაცხადა, რომ ყოველგვარ კავშირს წყვეტს კომპანია „პანიქს პრომოუშენთან“ ანუ პანოს ელიადისთან, რადგან ელიადისი ხსენებული კომპანიის შეფი გახლავთ. ასეთმა განცხადებამ პრომოუტერს გული ატკინა და საპასუხო ნაბიჯი გადადგა: ლუისის წინააღმდეგ 2,5 მილიონიანი პროცესი წამოიწყო და ზედ დააყოლა, თუ 10 მილიონ დოლარს გადამიხდიან, ახლავე ჩემს გზას დავადგებიო.

„ლენოქსის საქციელმა ძალიან მატკინა გული“ — თქვა ელიადისმა — „მის პრომოუტერად მუშაობამ ჩემს ცხოვრებას უარყოფითი დაღი დაასვა. მე ხომ ეს სულაც არ მსურდა. ჩვენ ერთად ძალიან დიდხანს ვთანამშრომლობდით და მეგონა ის ღირსეული ადამიანი იყო“.

„მისი კონტრაქტი 1991 წელს როჯერ ლევიტისგან გადავიბარე, რაც ჯამში 218 ათასი გირვანქა სტერლინგი დამიჯდა. საკუთრივ კონტრაქტის ღირებულება 18 ათასი გახლდათ, მაგრამ 200 ათასი ვალი დამხვდა. ჩემი მხრივ ეს დიდი რისკი იყო, რადგან იმხანად კრივზე საერთოდ არ მქონდა წარმოდგენა“.

„შეთანხმების მიხედვით სამენეჯერო თანხიდან 30 პროცენტს ვიღებდი, თუმცა ამ გარიგებას დიდებულს ვერ ვუწოდებ, რადგან როჯერი როჯერია და მთელ ფულს მოკრივეს აძლევდა, ასე ჰქონდა დაწესებული. მომიწია საწვრთნელი ბანაკების მომსახურეობის ხარჯების გადახდა, სპარინგების დაფინანსება და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, დაახლოებით 5 პროცენტიღა მრჩებოდა“.

„მთელი ამ დროის განმავლობაში ფულს ვკარგავდი. პირველად მოგება ჰოლიფილდთან მეორე ბრძოლის დროს ვნახე, რვა წლისა და 5 მილიონი დოლარის დახარჯვის შემდეგ. ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლებოდა მშვიდად შევხვედროდი ცნობას იმის შესახებ, რომ ლუისის ახალი გუნდი ჩემთან ურთიერთობის გაწყვეტას აპირებს“?

„დიახ, ჩვენი კომპანია უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა. როდესაც ლუისი 3 მილიონიან ჰონორარებს იღებდა, ჩვენ დაზარალებულნი ვრჩებოდით. მაგალითად, ლუისისა და რეიზორ რადოკის საჩემპიონო ბრძოლამ, 1992 წელს, 2 მილიონი დამაკარგინა, თუმცა ღვთის მადლით ის იგებდა და იგებდა“.

„ამერიკელ ტონი ტაკერთან ბრძოლის დროს 600 ათასი დოლარი ვიზარალე, შემდეგ კი ლუისმა ოლივერ მაკკოლთან წააგო. ახლა შემეკითხებით მაკკოლთან დამარცხების შემდეგ რატომ განაგრძეთ ლუისის პრომოუტერობაო. გულწრფელად გიპასუხებთ, ყველაფრის ბოლომდე მიყვანა მიყვარს. ჩვენს თავს გუნდად აღვიქვამდი. იცით, რომ კლასიკური კონტრაქტი ანუ ფურცელზე გაფორმებული დოკუმენტი არასდროს გვქონია“.

„ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ლენოქსთან დაკავშირებით მაგიდაზე მიდევს, სატელევიზიოა, HBO-სთან დადებული და ისინი, დღეს, სწორედ მის წართმევას მიპირებენ. არადა კონტრაქტი იმიტომ არ მქონდა, რომ თავის დროზე ლუისმა მითხრა. რად გვინდა ქაღალდები, ჩვენ ხომ გუნდი ვართო. ამიერიდან ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებ“.

„გულწრფელად გეუბნებით, სასამართლოში სირბილი არ მსურს, მაგრამ თუ სხვა გზას არ დამიტოვებენ, მზად ვარ ვიბრძოლო. ვფიცავ, ლუისს მე რომ მოვუწყობ, ისეთი ბრძოლა ცხოვრებაში არ ექნება ნანახი“.

**ტუტა სიხარულიძე**



# ცივ ალიასკაზე სითბოს საძებრად

*საქართველოს სპეციალური ოლიმპიური ნაკრების წევრთა დებიუტი ზაფხულის მსოფლიოს სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე 1995 წელს შედგა კონექტიკუტში. მას შემდეგ ჩვენს სპეციალურ ოლიმპიელებს არაერთხელ უსახელებიათ თავი. აი, ზამთრის ანალოგიურ თამაშებზე კი არათუ თავი გამოუჩენიათ, არამედ მონაწილეობაც არ მიუღიათ. არადა, ინვალიდი ბავშვებისთვის ყველაზე დიდი წარმატება ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობაა, რადგან არათუ ინვალიდი, ჯანმრთელიც საჭიროებს სითბოს, მზრუნველობას, ყურადღებასა და ადამიანურ დამოკიდებულებას.*

*სპეციალური ოლიმპიური თამაშები, რომელიც ინტელექტდაქვეითებული თუ სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე მოზარდთა საზოგადოებაში რეაბილიტაციას უწყობს ხელს, ოლიმპიური თამაშების მსგავსად ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება.*

*თუ ზაფხულის სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა რის ვაივაგლახით, მაინც ხერხდებოდა, დღემდე განუხორციელებელია ზამთრის ანალოგიურ თამაშებში გამოსვლა.*

*ახლა სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი ზამთრის სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებამდე, რომელიც ალიასკაზე გაიმართება.*

*სხვათა შორის, ალიასკისთვის ეს ყველაზე დიდი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებაა, რომლისთვისაც კი ამერიკის ამ ყველაზე დიდ შტატს ოდესმე უმასპინძლია. ასე რომ, ალიასკელები 80 ქვეყნის 2 800-მდე სპორტსმენისა თუ მწვრთნელის, 7 000-მდე ოფიციალური პირის დასახვედრად გაათმაგებული მონდომებით ემზადებიან.*

*ანკორიჯში, სადაც თამაშები უნდა გაიმართოს, საქართველოს წარმომადგენლებიც იასპარეზებენ. ამის შესახებ ვესაუბრეთ საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს* ***თეიმურაზ მიქიაშვილს.***

— ჩვენ 1997 წელსაც ვემზადებოდით — ტორონტოში საასპარეზოდ, სადაც ზამთრის სპეციალური ოლიმპიური თამაშების დებიუტი შედგა. მაშინ ჩვენი ქვეყანა ექვსკაციანი გუნდით უნდა სწვეოდა კანადის ამ ქალაქს, მაგრამ სიდუხჭირის გამო მასპინძლები გავაწბილეთ. მოგეხსენებათ, რამხელა ხარჯებს საჭიროებს ზამთრის სახეობები. ვგულისხმობ სპორტსმენთა ეკიპირებას, შეკრებების მოწყობას გუდაურსა თუ ბაკურიანში და ა.შ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ჩვენში მაინცდამაინც სათანადო დონეზე არაა განვითარებული სათხილამურო სპორტი, ზამთრის სხვა სახეობებზე რომ არაფერი ვთქვათ. ყოველივე ამან საქართველოს სპეციალურ ოლიმპიელთა დებიუტი დააყოვნა. მართალია, არც ახლა გვილხინს, მაგრამ, მაინც რის ვაივაგლახით შესაძლებელი გახდა სამთომთხილამურეთა ოთხკაციანი ჯგუფის — ორ-ორი გოგო-ბიჭის მომზადება. სამწუხაროა, რომ დღევანდელი სიდუხჭირის გამო ყველას ვერ გავწვდით. არადა, სპეციალური ოლიმპიური თამაშების მიზანი ხომ ასეთ მოზარდთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საშუალებით რეაბილიტაციაა.

სხვათა შორის, მეცნიერულმა კვლევებმა დაადგინეს, რომ ჯანმრთელ და ინვალიდ სპორტსმენთა ერთობლივი წვრთნა და ასპარეზობანი საოცარ შედეგს იძლევა ამ უკანასკნელთა რეაბილიტაციისთვის. ასე რომ, ანკორიჯში ინვალიდებთან ერთად ჯანმრთელ მონაწილეებსაც ვიხილავთ.

**— ჩვენმა მოთხილამურეებმა თუ გაიარეს მოსამზადებელი პერიოდი და სხვა სახეობებში მონაწილეობაზე რატომ ვთქვით უარი?**

— ნაკრების წევრმა გოგო-ბიჭებმა მწვრთნელის, დავით ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ერთთვიანი შეკრება გაიარეს გუდაურში. იგი მათ ალიასკაზეც დამოძღვრავს, დელეგაციას კი რევაზ რევაზიშვილი უხელმძღვანელებს. რაც შეეხება სპორტის სხვა დისციპლინებს, რომლებიც ზამთრის სპეციალური ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია, ჩვენში არც მიმდევრები ჰყავს და არც ამის საშუალებაა. მიუხედავად ამისა, ახლო მომავალში დიდი სურვილი გვაქვს დავნერგოთ ისეთი სახეობები, როგორებიცაა თხილამურებით რბოლა და ჰოკეი.

საინტერესოა, რომ ჰოკეიში ასპარეზობები იმართება არა ყინულზე, არამედ ჩვეულებრივ იატაკზე, შაიბა კი დაწნეხილი რეზინის ნაცვლად ქსოვილისგანაა დამზადებული. ამგვარად თავიდან იცილებენ მოთამაშეთა ციგურებით დაზიანებას, თამაშის წესები კი ისეთივეა, როგორიც დიდ ჰოკეიში.

**— აკლიმატიზაცია ჯანმრთელ ადამიანს ჭირდება და საანკორიჯოდ თქვენ როგორ აგვარებთ ამ პრობლემას?**

— რომ არა ასეთი ტიპის ადამიანების მიმართ ორგანიზატორთა გულისხმიერება, მაშინ ასპარეზობებში, ალბათ, პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპიდან ჩავერთვებოდით. მასპინძელთა ძალისხმევით კი ანკორიჯში ოთხი დღით ადრე ჩავდივართ.

**— როგორ მოაგვარეთ ფინანსური პრობლემა და საერთოდ ვინმე თუ დაგეხმარათ?**

— არ შეიძლება არ აღვნიშნო ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მეგაკომი“ და მისი გენერალური მენეჯერი მამუკა ლობჟანიძე. ისინი რამდენიმე წელიწადია ერთგულად გვიდგანან მხარში. მათი ძალისხმევით საშუალება გვაქვს სრულიად უანგაროდ სატელეფონო კავშირი დავამყაროთ როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მზადების პროცესში დახმარების ხელი გამოგვიწოდა საერთაშორისო ენერგეტიკულმა კომპანია „იტერამ“. ყველას დიდი მადლობა მინდა მოვახსენო.

**გიგა გურასაშვილი**

**ავტორის ფოტო**



თეიმურაზ მიქიაშვილი



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# დომინატორთან ვერ იეშმაკეს

22 თებერვალი

**აილენდერსი 4:3 ფილადელფია**
(1:3 1:0 1:0 1:0)
0:1 პრიმო 11(26), 1:1 ჩერკავსკი 12(20), 1:2 განიე 13(27), 1:3 ლანგკოუ 19(12), 2:3 კოლნიკი 27(2), 3:3 კოლნიკი 42(3), 4:3 ჰამრლიკი 65(12)

**ნიუ ჯერსი 0:1 ბუფალო** (0:0 0:1 0:0)
0:1 ანდრეიჩუკი 31(14)

**კალგარი 0:2 ლოს ანჯელესი** (0:1 0:1 0:0)
0:1 რობიტაილი 12(29), 0:2 ბუშე 30(1)

**ოტავა 4:2 ფლორიდა** (1:1 0:0 3:1)
1:0 ბონკი 4(18), 1:1 ადამსი 16(7), 1:2 სილინჯერი 46(13), 2:2 იაშინი 49(28), 3:2 ჰოსა 55(24), 4:2 არვედსონი 57(14)

**ტორონტო 4:1 ვანკუვერი** (2:0 1:0 1:1)
1:0 ტომასი 7(4), 2:0 ველკი 12(7), 3:0 სუნდინი 34(21), 4:0 კოროლიოვი 56(9), 4:1 ნესლუნდი 59(35)

„ეს შოკია... ამას წინათ რაღაც ჭორებს კი მოვკარი ყური, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ბლეიკს მართლაც გადმოვიყვანდით. ვნახოთ, როგორ წაგვივა საქმე“ — მარტო კოლორადოს ლიდერი პეტერ ფორსბერგი როდი დააბნია მის გუნდსა და ლოს ანჯელესს შორის განხორციელებულმა სენსაციურმა გაცვლამ.

ბოლო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ყველა შეეჩვია კოლორადოს გენერალური მენეჯერის, პიერ ლაკრუას მოულოდნელ ტრეიდებს. რეი ბურკი, ტეო ფლერი, მანამდე პატრიკ რუა, ბოლოს — სანდის ოზოლინშის გაყიდვაც. ლაკრუამ იცოდა, რასაც აკეთებდა, მისი გუნდი ყოველთვის თასის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. მაგრამ ამჯერად კოლორადოელები ერთობ დაეჭვდნენ — გამოიღებს კი ნაყოფს ბლეიკის გადაბირება? მისი მისვლა ხომ გუნდს ადამ დედმარშისა და აარონ მილერის წასვლის ფასად დაუჯდა. არადა, პირველი კოლორადოს სული და გული იყო, მეორე კი გუნდის ყველაზე საიმედო მცველად ითვლებოდა. ფორსბერგსა და მის თანაკლუბელებს ყველაზე მეტად ის აღელვებთ, რომ ერთსულოვან კოლორადოს ახალი ვარსკვლავის შემატებამ შეიძლება გუნდური სულისკვეთება დაუკარგოს. გავიხსენოთ ბლეიკში გადახდილი თანხაც, რომელიც წყალში გადაიყრება, თუ კოლორადო წლეულს თასს ვერ მოიგებს.

მოკლედ, თუ დენვერელები დაღონებულნი არიან, სამაგიეროდ, ლოსანჯელესელები ზეიმობენ. მათ ხომ, როგორც იქნა, მოაგვარეს ბლეიკის გაყიდვასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემა და სწორად რომ მოიქცნენ, კალგარისთან შეხვედრამაც დაადასტურა. სახელოვანი ექსპარტნიორის არყოფნაში „მეფეებმა“ ერთობ ყურადღებით და მობილიზებულად ითამაშეს, მეკარე ფელიქს პოტვინიც ამჯერად არ სცოდავდა, ხოლო მილერი უმალ დაცვის საყრდენად იქცა. რაც შეეხება დედმარშს, მან ამ მატჩისთვის კალგარიში ჩასვლა ვერ მოასწრო.

დეივ ანდრეიჩუკის ერთადერთმა შაიბამ (კარიერაში 1200 ქულა) ბუფალოს ნიუ ჯერსისთან დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოუტანა. ოთხი წამყანი ფორვარდის არყოფნით დასუსტებულმა „ეშმაკებმა“ მხოლოდ ერთხელ შეძლეს დომინიკ ჰაშეკის კარის დალაშქვრა, მაგრამ ეს საფინალო სირენის შემდეგ წამნახევარში მოხდა და ცხადია, გოლი არ ჩაითვალა. დომინატორმა კი (25 მოგერიება) მე-8 შათაუტი მიითვალა და ლიგის ერთპიროვნული ლიდერი შეიქნა.

როგორც იქნა, გულზე მოეშვათ ტორონტოს ქომაგებს. კანადელებმა, მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც გაურკვეველია მათ რიგებში ერიკ ლინდროსის გადასვლის ამბავი, დამაჯერებლად ითამაშეს. თანაც, ხანგრძლივი წარუმატებლობის შემდეგ კვლავ გამოირჩა გუნდის ლიდერი მატს სუნდინი (1 გოლი, 1 პასი), რომელმაც გადამწყვეტი, მესამე შაიბა გაიტანა.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS პეკინიდან

# ბუბკა პეკინში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია ჩინეთის დედაქალაქ პეკინს ჩასულა. გამოცხადებული ამბავია, რომ პეკინს 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს. ახლადგადამდგარი ჭოკით ხტომის აკადემიკოსი სერგეი ბუბკა ამ დელეგაციის წევრია და ოფიციალურ ღონისძიებებიდან თავისუფალ დროს პეკინის მთავარ ბოულინგ-ცენტრში ატარებს.

# კვლავ ერთად

ორი დიდი საქმოსანი კაცი, სარბოლო საქმის ობერ უფროსი, „ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა დე მონტეძემელო სიხარულითართმევს ხელს „ფილიპ მორისის“ ევროპული განყოფილების თავმჯდომარეს ჰანს ფლურის. ეს კი ნიშნავს, რომ თამბაქო და მოტორი კვლავ ერთად არიან. ფორმულის ჩემპიონი და სიგარეტის ჩემპიონი კონტრაქტს ანახლებენ.

REUTERS ლოზანიდან



# გუგა ტანგოს ცეკვავს

ბუენოს აირესის „ლოუნ ტენის კლუბში“ საერთაშორისო შეჯიბრი მიმდინარეობს. ამ შეჯიბრში განთქმული ბრაზილიელი ჩოგბურთელი გუსტავო კუერტენიც მონაწილეობს, თუმცაღა, ბუენოს აირესი ისეთი ქალაქია, რომ იქ მყოფმა ერთხელ მაინც უნდა ჩაატარო თითები გიტარის სიმებზე და ერთხელ მაინც იცეკვო ტანგო. გუგას რაღა დააკავებდა?



REUTERS ბუენოს აირესიდან





REUTERS ჰონკონგიდან

# ფუ

კაპიტალიზმისთვის კარის გამღებ ჩინეთში „სპრაიტი“ სულაც აღარ არის მავნებელი სასმელი, ოღონდ ეს კია, რომ კომუნისტური ჩინეთი თავის კომუნისტურ ადათებს მაინც არ იშლის. აი, მაგალითად, ჩინეთის ტერიტორიაზე „სპრაიტის“ მთავარ მერეკლამედ ყოფილა იქ მეტად პოპულარული ტაივანელი მომღერალი ჩანგ ჰუეი მეი, ხალხში უფრო ა-მეის სახელით ცნობილი. ა-მეი „სპრაიტის“ სარეკლამო კლიპებიდან ყოველდღე ენახვებოდა მილიარდ ჩინელს, მაგრამ ერთი იაღლიში მოსვლია, ტაივანის პრეზიდენტის ჩენ შუიბიანის ინაუგურაციაზე ტაივანის ჰიმნი უმღერია. კომუნისტური ჩინეთი დღემდის საბრძოლო მზადყოფნაშია პაწაწინა, თავისუფალი ჩინეთის, ტაივანის წინააღმდეგ. ამიტომ, ჩინეთის პარტიულ უფროსობას ა-მეის თავიანთი ქვეყნის ტელეეკრანებზე გამოჩენა აუკრძალა. „სპრაიტსაც“ რაღა ექნა და



ახალი სარეკლამო ვარსკვლავი, ოლიმპიური ჩემპიონი, წყალში მხტომელი ფუ მინსია გამოძებნა. ფუ მინსია მშვენივრად ერგება ახალ როლს, თუმცა ეს კია, რომ გუანჯოუში გამართულ სპორტულ პრესკონფერენციაზე ფუ მეტად თამამი შარვლით მოსულა. ამ შარვალს მეტად უზრდელური სიტყვები აწერია და თანაც საზღვარგარეთული ასოებით. ემანდ კომუნისტები ისევ არ გაბრაზდნენ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge